პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

25 ივნისი **პარასკევი** 2010
№ 147 (13 135) ფასი 60 თეთრი

## 1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| 26 ივნისი, შაბათი. 18:00 | 26 ივნისი, შაბათი. 22:30 |
| **ურუგვაი** | **აშშ** |
| **სამხ. კორეა** | **განა** |
| პორტ ელიზაბეტი | რუსტენბურგი |
| 27 ივნისი, კვირა. 18:00 | 27 ივნისი, კვირა. 22:30 |
| **გერმანია** | **არგენტინა** |
| **ინგლისი** | **მექსიკა** |
| ბლუმფონტეინი | იოჰანესბურგი |
| 28 ივნისი, ორშაბათი. 18:00 | 29 ივნისი, სამშაბათი. 18:00 |
| **ჰოლანდია** | **პარაგვაი** |
| **სლოვაკეთი** | **იაპონია** |
| დურბანი | პრეტორია |

### იტალიური ტრაგედია ელის პარკზე

# ტახტი ცარიელია



# ლიპი: ყველაფერი ჩემი ბრალია!

» გვერდი 3

F ჯგუფი



E ჯგუფი

» გვერდი 2

## იაპონია ჰოლანდათი მიჰქრის

სამურაები მეოთხედფინალში,
ვიკინგები სახლში



## ფავორიტი უფსკრულთან

H ჯგუფი

» გვერდი 4

## რეჰაგელი დამთავრდა!

საბერძნეთს საქართველოსთან სხვა მწვრთნელი აჭიდავებს



» გვერდი 7

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

E ჯგუფი



# რობენი უკვე ამოქმედდა!

## ლე გენმა კამერუნის ნაკრები დატოვა

24 ივნისი. კეიპტაუნი. გრინ პოინტი.
60 000 მაყურებელი

**კამერუნი–ჰოლანდია 1:2**

**კამერუნი (4-4-2):** ჰამიდუ - ჯერემი, მბია, ნკულუ (74. რ. სონგი), ასუ-ეკოტო - ნგემო, მაკუნი, შეჰუ, ბონგი (56. აბუბაქარი) - ეტოო, ჩუპო-მოტინგი (72. იდრისუ)

**ჰოლანდია (4-2-3-1):** სტეკელენბურგი - ბულაჰრუზი, ჰეიტინგა, მატიისენი, ვან ბრონკხორსტი - ვან ბომელი, დე იონგი - კუიტი (66. ელია), სნეიდერი, ვან დერ ვაარტი (73. რობენი) - ვან პერსი (59. ჰუნტელაარი)

**გოლები:** 0:1 ვან პერსი (36. ვან დერ ვაარტის პასით), 1:1 ეტოო (65. პენ.), 1:2 ჰუნტელაარი (84)

**გაფრთხილება:** კუიტი (17), ნკულუ (25), ვან დერ ვაარტი (65), ვან ბრონკხორსტი (70), მბია (81)

**მატჩი დაიწყო:** კამერუნი; **დარტყმა:** 16(3)-14(7); **ჯარიმა:** 18-15; **კუთხური:** 6-1; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**არბიტრი:** პაბლო პოსო (ჩილე)

**საინტერესო მომენტები**

19' - **რობინ ვან პერსის** დარტყმულს **სულეიმანუ ჰამიდუ** დაეუფლა.

26' - კამერუნელთა მეკარე **რაფაელ ვან დერ ვაარტის** მიერ შესრულებულ ჯარიმასაც გაუმკლავდა.

31' - **დირკ კუიტმა** მახვილი კუთხიდან ააცილა.

36' - ჰოლანდიელთა ეფექტური, მრავალსვლიანი კომბინაცია ვან პერსის გოლით დასრულდა - 0:1.

52' - **ჟან მაკუნის** დარტყმა **მაარტენ სტეკელენბურგმა** მოიგერია.

64' - კამერუნელთა მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმა ცოცხალ კედელში მდგომ ვან დერ ვაარტს ხელზე მოხვდა და თერთმეტმეტრიანი დაინიშნა.

65' - **სამუელ ეტოომ** პენალტი უნაკლოდ შეასრულა - 1:1.

84' - **არიენ რობენმა ვესლი სნეიდერის** გამოზომილი გადაცემა მიიღო და ძლიერად დაარტყა. ბურთი ძელს მოხვდა, დამატებაზე კი ყველას **კლაას-იან ჰუნტელაარმა** დაასწრო - 1:2.

ჰოლანდიის ნაკრებმა ჯგუფურ ეტაპზე ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო და კვლავ დაგვიტოვა ის შეგრძნება, რომ წარმატებას ძალების დაზოგვით მიაღწია. ვფიქრობთ, **ბერტ ვან მარვიიკის** გუნდს თავისი შესაძლებლობები ბოლომდე ჯერ არ წარმოუჩენია და მერვედფინალიდან კიდევ უფრო მძლავრად ათამაშდება. ფლეი იფის დაწყებამდე ბევრი დრო აღარ დარჩა და ნარინჯისფერთა რეალურ ძალას სულ მალე გავიგებთ, მანამდე კი ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ჰოლანდიელებმა ჯგუფური ბარიერი მეტად დამაჯერებლად და დაუბრკოლებლად გადალახეს.

ჰოლანდიის ეროვნულ გუნდს მუნდიალის მერვედფინალში გასვლა ორი საწყისი მატჩის შემდეგ განაღდებული ჰქონდა და ამიტომაც სულაც არ იყო გამორიცხული, მის თავკაცს ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი დაესვენებინა და საქმეში რეზერვისტები ჩაერთო. თუმცა ასე არ მოხდა და ჰოლანდიელთა ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ახალი ფეხბურთელი ვიხილეთ - ახალგაზრდა მარჯვენა მცველის, **გრეგორი ვან დერ ვილის** ადგილი მასზე გაცილებით გამოცდილმა **ხალიდ ბულაჰრუზმა** დაიკავა. ვან დერ ვილს წინა შეხვედრაში ერთი გაფრთხილება ჰქონდა მიღებული და ვან მარვიიკმა იგი, ალბათ, დისკვალიფიკაციის საფრთხის გამო დაასვენა. თუმცა ანალოგიური საშიშროების წინაშე იდგნენ **ნაიჯელ დე იონგი** და **რობინ ვან პერსიც**, რომლებმაც გუშინდელი შეხვედრა „სუფთად" ჩაატარეს.

რაც ყველაზე მთავარია, სამხრეთაფრიკულ მუნდიალზე პირველად გამოჩნდა **არიენ რობენი**, რომელიც თავის გუნდს ერთიორად გააძლიერებს. რობენი მოედანზე შესვლისთანავე ენერგიულად ჩაერთო საქმეში და დაგვანახა, რომ ბოლო ტრავმამ კალაპოტიდან ვერ ამოაგდო. იმის მიუხედავად, რომ მოედანზე მცირე დრო დაყო, მაინც უმალ იქცა ერთ-ერთ უმთავრეს მოქმედ გმირად და გამარჯვების გოლის გატანა, რასთანაც ძალიან ახლოს იყო, ყველაზე მეტად მასზე იქნებოდა ალალი...

ზემოთ ძალების ეკონომია ვახსენეთ და ეს მოსაზრება იმ ფაქტმაც განგვიმტკიცა, რომ კამერუნის გოლისთანავე, მანამდე დუნედ მოთამაშე ჰოლანდიამ ტემპი მომენტალურად გაზარდა და დაწინაურებაც შეძლო.

კამერუნელებზე კი სათქმელი ბევრიც არაფერია. აფრიკელებმა შეუპოვრად იბრძოლეს და ცდა არც გუშინ დააკლეს, მაგრამ სულაც არ ყოფილა გასაკვირი, რომ იაპონიასა და დანიასთან განცდილი მარცხის შემდეგ, ჰოლანდიასთანაც ვერას გახდნენ.

კამერუნის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ეს უკანასკნელი მატჩი იყო **პოლ ლე გენისთვის**. ახალგაზრდა ფრანგ სპეციალისტს მოქმედი კონტრაქტი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ეწურებოდა, მაგრამ სამხრეთ აფრიკაში წარმატებული ასპარეზობის შემთხვევაში, ხელშეკრულების გახანგრძლივებას აუცილებლად შესთავაზებდნენ...

**საუკეთესო მოთამაშე**

ვესლი სნეიდერი (ჰოლანდია)

**ჰოლანდიამ გუშინაც გუნდური თამაშით მოიგო, მაგრამ სნეიდერმა ამჯერადაც მაღალ დონეზე შეასრულა გუნდის ლიდერის ფუნქციები. ჩინებულად ჩატარებული სეზონის შემდეგ, მას გადაღლა ოდნავადაც არ ეტყობა და ჰოლანდიის ნაკრებისთვისაც ზუსტად ისევე სასარგებლო და მნიშვნელოვანი ფიგურაა, როგორც მილანის „ინტერისთვის".**

**მატჩის შემდეგ**

ბერტ ვან მარვიიკი (ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): **„მეორე ტაიმი კარგად ჩავატარეთ, რამაც გამარჯვებამდე მიგვიყვანა. ყველა დარწმუნდა, რომ ჰოლანდიის ნაკრებს შედეგზე თამაში შეუძლია".**

პოლ ლე გენი (კამერუნის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): **„ვფიქრობდი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე უკეთესი შედეგის მიღწევა შეგვეძლო, მაგრამ სამწუხაროდ, მოვლენები სხვაგვარად წარიმართა. მომხდარში საკუთარი თავის გარდა, არავის ვადანაშაულებ. ამით კამერუნის ნაკრებში ჩემი მუშაობის პერიოდი დასრულებულია. ჩვენ ვტოვებთ მსოფლიოს ჩემპიონატს ნული ქულით და დიდი სინანულით, ვიცით რა, რომ კამერუნელ ხალხს იმედები გავუცრუეთ".**

ლევან ჯანეზაშვილი

# სამურაები მერვედფინალში, ვიკინგები სახლში

24 ივნისი. რუსტენბურგი.
როიალ ბაფოკენგი. 27 967 მაყურებელი

**დანია–იაპონია 1:3**

**დანია (4-2-3-1):** სორენსენი - ლ. იაკობსენი, კროლდრუპი (57. ლარსენი), აგერი, ს. პოულსენი - კალენბერგი (67. ერიკსენი), კ. პოულსენი - მ. იორგენსენი (34. ი. პოულსენი), ტომასონი, რომედალი - ბენდტნერი.

**იაპონია (4-1-4-1):** კავაშიმა - კომანო, ნაკაზავა, ტანაკა, ნაგატომო - აბე - ენდო (90. ინამოტო), მაცუი (75. ოკაზაკი), ჰასებე, ოკუბო (88. კონო) - ჰონდა.

**გოლები:** 0:1 ჰონდა (17), 0:2 ენდო (30), 1:2 ტომასონი (81), 1:3 ოკაზაკი (87)

*81-ე წუთზე ტომასონმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

გაფრთხილება: ენდო (12), ნაგატომო (26), კროლდრუპი (29), კ. პოულსენი (48), ბენტდნერი (66)

**მატჩი დაიწყო:** იაპონია; **დარტყმა:** 18(10)-16(8); **ჯარიმა:** 23-10; **კუთხური:** 7-2; **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**არბიტრი:** ჯერომ დეიმონი (სამხრეთ აფრიკა)

**საინტერესო მომენტები**

13' - **ჰასებე** შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში, ახლო ცხრიანს დაუმიზნა, თუმცა მცირედით არაზუსტად დაარტყა.

15' - **იონ დალ ტომასონი** გავიდა დასარტყმელ პოზიციაზე და სახიფათოდ გაისროლა, თუმცა არაზუსტად.

17' - **კეისუკე ჰონდამ** დაახლოებით 25 მეტრიდან დაარტყა საჯარიმო და ბურთი მეტოქის კარში მოათავსა - 0:1.

30' - ამჯერად, **ენდომ** შეასრულა საჯარიმო დარტყმა, ბურთი ცოცხალ კედელს შემოატარა და ანგარიში ორამდე გაზარდა - 0:2.

75' - ფლანგიდან ჩაწოდების შემდეგ **შინჯი ოკაზაკიმ** დაჰკრა თავური, თუმცა დანიელთა მეკარე აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე.

81' - ჰასებემ საჯარიმოში **დანიელ აგერის** წინააღმდეგ იუხეშა და მსაჯს თერთმეტმეტრიანის დანიშვნის საშუალება მისცა. პენალტი ტომასონმა შეასრულა, მეკარემ აუღო, თუმცა დამატებაზე თვითონვე ითამაშა და ერთი ბურთი გაქვითა - 1:2.

87' - ჰონდამ გაიბრწყინა კიდევ ერთხელ, მეურვეს კარგად გაცდა და როდესაც ყველას ეგონა, რომ დაარტყამდა, ბურთი ცარიელი კარის წინ მდგომ ოკაზაკის გადააწოდა. შედეგად, 1:3.

იაპონიას უკეთესი ნაკრები ჰყავს და სრულიად დამსახურებულად ითამაშებს მერვედფინალში. დანიის ეროვნულმა გუნდმა ამ ჩემპიონატზე ვერაფერი ფეხბურთი გვიჩვენა და ბევრს გაუცრუა იმედი. ვიხილეთ სწორხაზოვნად მოთამაშე გუნდი, რომელიც ძალიან მშრალად უტევს და ვერც თავს იცავს მაინც და მაინც დამაჯერებლად. სკანდინაველთა ძლიერი რგოლი კარის დარაჯი გვეგონა და ამ შემთხვევაში, მანაც ვერ გვიჩვენა მთლად საუკეთესო თამაში. ეს რბილად თუ ვიტყვით და თუ სიმართლე გაინტერესებთ, **ტომას სორენსენმა** უბრალოდ ჩააგდო თამაში. ორი გოლი საჯარიმო დარტყმიდან გაუშვა და ორივეჯერ სწორად ვერ დააყენა ცოცხალი კედელი. ეგ კი არა, მესამე გოლსაც უშვებდა საჯარიმიდან, მისი ბედი, რომ ხელიდან გავარდნილი ბურთი ხარიხას მოხვდა. მოკლედ, სორენსენმა ძალიან ცუდი შეხვედრა ჩაატარა, ისევე როგორც მთლიანად დანიის ნაკრებმა.

რაც შეეხება იაპონიას, გუნდი მეტად სწრაფ და ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობს. იაპონელი ფეხბურთელები ძალიან რბილად ეპყრობიან ბურთს, არც პასის კულტურა დაეწუნებათ და როგორც გამოჩნდა, კარში დარტყმაც შესაშურად გამოსდით. აზიელებმა გაცილებით უფრო საინტერესო ფეხბურთი ითამაშეს და მეტოქე ყველა კომპონენტში დაჯაბნეს. იაპონელების მიერ დანიელთა ძლევამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ევროპულ ფეხბურთში მთლად რიგზე ვერ არის ყველაფერი. ამ თემას სხვა დროს განვავრცობთ, იქამდე კი შეგახსენებთ, რომ სკანდინაველებს მერვედფინალში გასასვლელად მხოლოდ მოგება სჭირდებოდათ. რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა და შესაბამისად, დანია სახლში მიემგზავრება.

**საუკეთესო ფეხბურთელი**

კეისუკე ჰონდა (იაპონია)

**ამ ფეხბურთელს ბევრი ცსკა-ში ასპარეზობით იცნობს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ფართო მასებმა ის მაინც მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიცნეს. ჰონდამ ჯგუფური ეტაპის სამივე შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა და დიდწილად განაპირობა კიდეც გუნდის მერვედფინალში გასვლა. რაც შეეხება უშუალოდ დანიელებთან შეხვედრას, შესანიშნავი ჯარიმა გაიტანა და ამასთან, საგოლე გადაცემა მიითვალა აქტივში. გარდა იმისა, რომ კარგი დამგვირგვინებელია, გუნდზე თამაში უყვარს და ეხერხება კიდეც.**

ლაშა წიკლაური

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 3 | 3 | 0 | 0 | 5-1 | 9 |
| იაპონია | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| დანია | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| კამერუნი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-5 | 0 |



დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384.* ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **ოოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

F ჯგუფი

# მსოფლიოს ახალი ჩემპიონი ეყოლება

## ლიპიმ, ელის პარკის ტრაგედია ჩემი ბრალიაო

24 ივნისი. იოჰანესბურგი.
ელის პარკი. 53 412 მაყურებელი

### სლოვაკეთი–იტალია 3:2

**სლოვაკეთი:** მუხა - პეკარიკი, შკრტელი, დურიცა, ზაბავნიკი - კუჩა, შტრბა (87. კოპუნეკი), ჰამშიკი, შტროხი - იენდრიშეკი (90. პეტრაში) - ვიტეკი.

**იტალია:** მარკეტი - ძამბროტა, კანავარო, კიელინი, კრიშიტო (46. მაჯო) - დე როსი, მონტოლივო (55. პირლო), გატუზო (46. კვალიარელა) - პეპე, დი ნატალე - იაკვინტა.

**გოლები:** 1:0 ვიტეკი (25). 73 ვიტეკი (2:0). 2:1 დი ნატალე (81). 3:1 კოპუნეკი (89). 3:2 კვალიარელა (90)

**გაფრთხილება:** შტრბა (17), კანავარო (31), ვიტეკი (40), პეკარიკი (50), კიელინი (67), პეპე (76), მუხა (82), კვალიარელა (83)

**მატჩი დაიწყო:** სლოვაკეთი; **დარტყმა:** 10(4)-14(6); **ჯარიმა:** 20-17; **კუთხური:** 6-3; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**არბიტრი:** ჰოვარდ ვები (ინგლისი)

### საინტერესო მომენტები

1' - **ანტონიო დი ნატალემ** დაარტყა შორი მანძილიდან, ბურთი სლოვაკთა კარს ზემოდან გადასცდა.

3' - **ვინჩენცო იაკვინტამ** მიიღო ბურთი სლოვაკთა საჯარიმოში, დაარტყა კიდეც, თუმცა არაზუსტად.

6' - **რობერტ ვიტეკის** პასის შემდეგ, **მარეკ ჰამშიკმა** დაარტყა საშუალო დისტანციიდან, თუმცა არაზუსტად.

25' - **დანიელე დე როსიმ** საკუთარ საჯარიმოსთან ახლოს შეცდომა დაუშვა, რასაც ვიტეკის დასარტყმელ პოზიციაზე გასვლა და ანგარიშის გახსნა მოჰყვა - 1:0.

45' - **კუჩკამ** დაარტყა საჯარიმოს გარედან, მცირედით არაზუსტად.

50' - დი ნატალე აღმოჩნდა დასარტყმელ პოზიციაზე, თუმცა ხეირიანად ვერ მოარტყა ბურთს ფეხი.

65' - სლოვაკთა საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, **ფაბიო კვალიარელამ** დაარტყა, თუმცა ცარიელი კარიდან **შკრტელმა** გამოიტანა ბურთი.

73' - მარჯვენა ფლანგიდან გაკეთებულ გადაცემას რობერტ ვიტეკი გამოეხმაურა, **ჯორჯო კიელინის** დაასწრო და ანგარიში გაზარდა - 2:0.

81' - იტალიელთა ეფექტურ კომბინაციას კარში დარტყმა მოჰყვა, ბურთი სლოვაკთა კიპერმა უკუაგდო, თუმცა დამატებაზე ანტონიო დი ნატალემ იმარჯვა და ერთი ბურთი გაქვითა - 2:1.

83' - მარცხენა ფრთიდან გაკეთებული გადაცემის შემდეგ, ფაბიო კვალიარელამ შეარხია მეტოქის კარის ბადე, თუმცა ლაინსმენმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა.

89' - შეცვლაზე შესულმა **კოპუნეკმა** იტალიელთა საჯარიმოში შეირბინა, სადაც აუტიდან ჩაუგდეს ბურთი და მეკარეს პირისპირ შეატოვეს, ერთი შეხებით დარტყმა და - 3:1.

90' - ფაბიო კვალიარელამ საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო ბურთი და ტექნიკური დარტყმით, შესანიშნავი გოლი გაიტანა - 3:2.

90' - იტალიელებმა აუტი მოაწოდეს, რამაც სლოვაკთა საჯარიმოში ქაოსი გამოიწვია, **სიმონე პეპემ** ახლო მანძილიდან დაარტყა კარის მიმართულებით, თუმცა მცირედით არაზუსტად.

ეჰ, ლიპი, ლიპი... აშკარად ცუდად იმოქმედა მასზე გენიალური მწვრთნელის სტატუსმა და ეს 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატმა ნათლად დაგვანახვა. დაიკავო ჯგუფში მეოთხე ადგილი, სადაც სლოვაკეთი, პარაგვაი და ახალი ზელანდია ასპარეზობენ, ნამდვილად მოხერხება უნდა. მთელი იტალია ეუბნებოდა მარჩელოს, რომ **ანტონიო კასანო** გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელი იყო. მთელი იტალია ეუბნებოდა, რომ ფანტაზისტას გარეშე, „აძურა" ფიასკოსთვის განწირული გახლდათ, მაგრამ თავისი მაინც არ დაიშალა და კატასტროფული შედეგი მიიღო. დღევანდელი გადასახედიდან, მისი ეროვნულ ნაკრებში დაბრუნება შეცდომა იყო და ეს შეცდომა ფედერკალჩომ და თავად ლიპიმ, ერთად დაუშვეს. ყოფილიყო პენსიაზე, ჰქონოდა გენიალური, გამარჯვებული მწვრთნელის იმიჯი და ეტარებინა ლექციები უნივერსიტეტებში...

სლოვაკეთთან შეხვედრამდე ერთერთმა იტალიელმა ჟურნალისტმა, ლიპის პირდაპირ ჰკითხა: დარწმუნებული ხართ თუ არა, რომ აფრიკაში ყველა საუკეთესო ფეხბურთელი წაიყვანეთო? ამ კითხვამ მარჩელო ძალიან გააცხარა და ახალგაზრდა ჟურნალისტს მკვახედ უპასუხა: ალბათ კრიტიკული სტატია უკვე მომზადებული გაქვს და ფრთხილად იყავი, ბოდიშის მოხდამ არ მოგიწიოსო. ჟურნალისტის რა გითხრათ და ლიპის ნამდვილად მოიწევს მთელი ქვეყნისთვის ბოდიშის მოხდა. შეიძლება, არც მოიხადოს, მაგრამ ნამდვილად ეკუთვნის.

რაც შეეხება შეხვედრას, მატჩი ორმხრივ იერიშებში წარიმართა და მთლიანობაში, ლოგიკური შედეგით დასრულდა. სლოვაკებმა დამსახურებულად მოიგეს, რადგან ისინი არც ერთ რგოლში არ ჩამოუვარდებოდნენ ფავორიტ მეტოქეს. მოედნის შუაგულში არაფერი დაუთმეს აპენინელებს და ეს ბურთის პროცენტულ მაჩვენებელში შესაბამისად აისახა. სლოვაკთა შეტევები ბევრად უფრო აგრესიული და მწვავე იყო, ვიდრე იტალიელთა იერიშები, რაც მართლაც რომ გასაკვირია. მეორე ტაიმში **ანდრეა პირლო** შევიდა მოედანზე და თითქოს ცოტა დაალაგა აპენინელთა თამაში, მაგრამ წარმატების მისაღწევად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. გოლების აღწერით თავს არ შეგაწყენთ, რადგან ვფიქრობთ, ეს ნაკლებად საინტერესოა - მთავარი კი ის არის, რომ მსოფლიოს ახალი ჩემპიონი ეყოლება.

რატომ განიცადა იტალიამ ფიასკო? - იმიტომ, რომ ვინჩენცო იაკვინტამ გოლის გატანა არ იცის; იმიტომ, რომ სიმონე პეპე მხოლოდ დარბის; იმიტომ, რომ **რიკარდო მონტოლივო** პასს ვერ იძლევა; იმიტომ, რომ ჯორჯო კიელინი მაქსიმუმ კარგი მცველია; იმიტომ, რომ **ფაბიო კანავარო** 36 წლის არის; იმიტომ რომ **დომენიკო კრიშიტო ფაბიო გროსოს** მსგავსად ვერ დაჯლიგინებს ფლანგზე; იმიტომ, რომ **ფედერიკო მარკეტის ჯანლუიჯი ბუფონამდე** ბევრი უკლია; იმიტომ, რომ მარჩელო ლიპის განდიდების მანია შეეყარა... როგორც ჩანს.

### საუკეთესო ფეხბურთელი

რობერტ ვიტეკი (სლოვაკეთი)

**რობერტ ვიტეკი ალბათ სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიის ნაკრებს ორ გოლს გაუტანდა. გამოკვეთილი თავდამსხმელი, რომელმაც თავისი მოვალეობები პირნათლად შეასრულა და ალბათ, კარიერის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა, გარდა იმისა, რომ დუბლი შეასრულა, დაცვასაც ეხმარებოდა და არაერთხელ მოიგო საჰაერო ორთაბრძოლა სტანდარტული სიტუაციებისას. ერთი სიტყვით, ვიტეკი აშკარად საუკეთესო იყო.**

### მატჩის შემდეგ

მარჩელო ლიპი (იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): **„ყველაფერი ჩემი ბრალია! მთლიანად ვიღებ პასუხისმგებლობას იმაზე, რაც მოხდა. როგორც ჩანს, ვერ მოვამზადე გუნდი ვერც ფიზიკურად, ვერც ტაქტიკურად და ვერც ფსიქოლოგიურად. არ მეგონა, თუ ფეხბურთელებს ფეხები აუკანკალდებოდათ ეს ჩემთვისაც სიურპრიზი იყო. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ. დიდი მადლობა ყველას, ვინც გვერდით მედგა და წარმატებები იტალიის ნაკრების მომავალ მესაჭეს".**

**ლაშა ნიკლაური**





# პარაგვაის არ უნდოდა, ზელანდიას არ შეეძლო

24 ივნისი. პოლოკვანი. პეტერ
მოკაბა. 34 850 მაყურებელი

### პარაგვაი–ახ. ზელან. 0:0

**პარაგვაი (4-3-1-2):** ვილარი - კანისა, ხ. კ. კასერესი, და სილვა, მორელი - რივეროსი, ვ. კასერესი, ვერა - სანტა კრუსი - კარდოსო (66. ბარიოსი), ვალდესი (66. ბენიტესი).

**ახალი ზელანდია (3-4-3):** პასტონი - რეიდი, ნელსენი, სმიტი - ბერტოსი, ვიკელიჩი, ელიოტი, ლოჩჰედი - ფალონი (69. ვუდი), სმელტცი, კილენი (79. ბროკი).

**გაფრთხილება:** ვ. კასერესი (10), სანტა კრუსი (42), ნელსენი (57)

**მატჩი დაიწყო:** პარაგვაი; **დარტყმა:** 17(4)-4(0); **ჯარიმა:** 12-19; **კუთხური:** 2-0; **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

**არბიტრი:** იუიჩი ნიშიმურა (იაპონია)

**პარაგვაის** ნაკრებს ახალ ზელანდიასთან შრომით თავი არ მოუკლავს, მაგრამ არსებობის ისტორიაში მეოთხედ, მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში გავიდა. თანაც, პარაგვაელებმა ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს. აქვე გეტყვით, რომ ეს გუნდი მეოთხედფინალში არასდროს გასულა. ახალი ზელანდიის ნაკრებს ბოლო წუთამდე ჰქონდა იმის შანსი, რომ ჯგუფიდან გასულიყო, მაგრამ ამ გუნდს საწუწუნო მაინც არაფერი აქვს, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატი ისე დატოვა, რომ ერთი თამაშიც არ წააგო, რაც საკმაოდ დიდი მიღწევაა.

პარაგვაის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მარტინო ხერარდომ** ძირითადი შემადგენლობითაც მიგვახვედრა, რომ მისი გუნდი ახალ ზელანდიას თავზე ხელაღებულ ბრძოლას არ გაუჩაღებდა: მან გუნდის ლიდერები **ბარიოსი** და **ბონეტი** სათადარიგოთა სკამზე დატოვა და არც ტრავმირებული ალკასარის სასტარტოში გამწესება გარისკა. პირდაპირ ვთქვათ: პირველ ტაიმში საშინელი სანახაობა გაიმართა. ახალ ზელანდიას არ შეეძლო, პარაგვაის კი არ უნდოდა და ამრიგად, პირველი ნახევარი ძალიან უინტერესო და დუნე გამოვიდა. ერთადერთი პარაგვაელი, რომელიც რაღაცას ცდილობდა, **კანისა** გახლდათ, რომელიც მარჯვენა ფლანგიდან ხშირად აწუხებდა ზელანდიელებს, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ზელანდიელთა მეკარე **პასტონის** კართან რეალური საგოლე მომენტები არ შექმნილა. პარაგვაელთა შეტევის მარცხენა ფრთაზე **ნელსონ ვალდესი** შეუმჩნეველი იყო, **სანტა კრუსს** გამთამაშებლის რანგში ყოფნა მოუხდა და არაფერი გამოუვიდა, ეულ ფორვარდად მიტოვებულ **კარდოსომდე** კი ბურთი ძალიან იშვიათად მიდიოდა.

ზელანდიელები თავს კარგად და კომპაქტურად იცავდნენ, ბურთის მეტოქის ნახევარზე გადატანა კი ძალიან უჭირდათ. მათგან მხოლოდ **ელიოტს** თუ გამოვარჩევთ, რომელიც მეტ-ნაკლებად აქტიურობდა, მაგრამ ღირებული არაფერი გაუკეთებია.

მატჩის მიწურულს ახალი ზელანდიის ნაკრების მწვრთნელმა **რიკი ჰერბერტმა** გუნდი მხოლოდ შეტევაზე გადააწყო და მოედანზე ახალი ფორვარდებიც შეუშვა, მაგრამ პარაგვაის ნაკრების უკანახაზელებმა მათაც არაფერი გააბედინეს. **ვუდსისა** და **სმელტცისკენ** გაკეთებული გრძელი პასებიც უაზრო იყო.

მოკლედ, იტალია გავარდა, პარაგვაი და სლოვაკეთი კი ჯგუფიდან გავიდნენ - დაგვეთანხმებით, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ვერავინ წარმოიდგენდა. პარაგვაის ნაკრებს პირველი ადგილის დასაკავებლად იტალიასთან საშუალო, სლოვაკეთთან კარგი და ზელანდიასთან ცუდი თამაშიც ეყო. თვითონ პარაგვაელები ამბობენ, რომ მათი მიზანი მინიმუმ მეოთხედფინალში გასვლაა, მაგრამ იმისათვის, რომ გუნდმა მერვედფინალი გადალახოს, მომატებაა საჭირო. მერვედფინალში პარაგვაის ნაკრებს **კასერესი** არ ეყოლება, რომელმაც მეორე ყვითელი ბარათი მიილო და დისკვალიფიკაცია მიიღო.

ზელანდიელებმა კი უნდა იამაყონ. მართალია, პირველი გამოსვლიდან 28 წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატი მათთვის კვლავ ჯგუფურ ეტაპზე დამთავრდა, მაგრამ სამაგიეროდ, გუნდმა არც ერთი თამაში არ წააგო და დისციპლინირებული ფეხბურთი ითამაშა. ამრიგად, შესაძლებელია, რომ ახალი ზელანდიის ნაკრები მუნდიალებზე ამიერიდან ხშირად ვიხილოთ.

### საუკეთესო ფეხბურთელი

დენის კანისა (პარაგვაი)

**პარაგვაის ნაკრების 35 წლის კაპიტანმა ამ მუნდიანზე პირველად ითამაშა და შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა. დაცვაში უშეცდომო იყო და შეტევებშიც ხშირად და რაც მთავარია, ეფექტურად ერთვებოდა. შეგახსენებთ, რომ ეს კანისასთვის რიგით მეოთხე მუნდიალია...**

### მატჩის შემდეგ

ხერარდო მარტინო (პარაგვაის ნაკრების მწვრთნელი): **„ვიცი, რომ კარგად არ ვითამაშეთ. ამ მატჩის ხარისხი მაღალი ნამდვილად არ იყო. ეს თამაში არ უნდა წაგვეგო, რის გამოც მძიმე წნეხის ქვეშ ვიყავით მოქცეულები. მიხარია, რომ მერვედფინალში გავედით."**

რიკი ჰერბერტი (ახალი ზელანდიის ნაკრების მწვრთნელი): **„მინდა, ჩემს შეგირდებს კომპლიმენტები ვუძღვნა. ვფიქრობ, მათ ეს დაიმსახურეს, რადგან შესაძლებლობების გათვალისწინებით, მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრწყინვალედ ითამაშეს. მიუხედავად ამისა, მაინც გულდაწყვეტილი ვარ, რადგან მერვედფინალში გასვლის შანსი გვქონდა".**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარაგვაი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-1 | 5 |
| სლოვაკეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 4 |
| ახ. ზელანდია | 3 | 0 | 3 | 0 | 2-2 | 3 |
| იტალია | 3 | 0 | 2 | 1 | 4-5 | 2 |

**გოტფრიდ ლენცი**



ბიბლიოთეკა

G ჯგუფი



# სპილოებს სასწაული სჭირდებათ

25 ივნისი. ნელსპრუიტი. მბომბელა. 18:00

**ჩრდ. კორეა-კოტ დ'ივუარი**

სავარაუდო შემადგენლობები

**ჩრდ. კორეა:** მიონ გუკი - იონ ჰიოკი, ჩოლ ჯინი, ჯუნ ილი, იუნ ნამი - კვან ჩონი, ინ გუკი, იონ ჰაკი, ნამ ჩოლი, იონ ჯო - ტაე სე.

**კოტ დ'ივუარი:** ბარი - კოლო ტურე, ზოკორა, დემელი, ტიენე - ებუე, იაია ტურე, ტიოტე - დინდანე, კალუ - დროგბა.

**არბიტრი:** უნდიანო მალენკო (ესპანეთი)

განწირული ჩრდილოეთ კორეა და იოტისოდენა შანსის ამარა დარჩენილი კოტდივუარი - აი, ასეთ მძიმე მდგომარეობაში მყოფი გუნდები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს პორტუგალია-ბრაზილიის მატჩის პარალელურად. ვეჭვობთ, აზიელთა და აფრიკელთა შეხვედრას ვინმემ გულდასმით ადევნოს თვალი, მაგრამ მაინც გადავავლოთ თვალი ამ გუნდების ბანაკში არსებულ ვითარებას.

კორეელებმა ბრაზილიასთან ღირსეულ თამაშს პორტუგალიასთან განადგურება მიაყოლეს და მაქსიმუმ, ჯგუფში მესამე ადგილს თუ შესწვდებიან, რისთვისაც დღეს გამარჯვება სჭირდებათ. სამ ქულას უმიზნებენ „სპილოებიც", რომლებიც შეეცდებიან, მეტოქეს რაც შეიძლება დიდი ანგარიშით მოუგონ და ამავდროულად, ბრაზილიის მიერ პორტუგალიის ძლევის იმედზე იყვნენ. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, **სვენ-გორან ერიქსონის** გუნდმა ჩრდილოეთ კორეა პორტუგალიის მსგავსად, 7:0 უნდა გაანადგუროს და ამავდროულად, ბრაზილიამ პორტუგალიას ორი ბურთის სხვაობით სძლიოს, ან კოტ დ'ივუარმა 8:0 უნდა გაიმარჯვოს, ბრაზილიამ ერთი ბურთით და ასე შემდეგ.

დაგვეთანხმებით, მოვლენათა მსგავსი განვითარება ფანტასტიკის სფეროს უფრო განეკუთვნება, ასე რომ, ამ ორ გუნდს მიმდინარე მუნდიალზე უკანასკნელად შევავლებთ თვალს.

კორეელთა ბანაკიდან ხმები, ფაქტობრივად, არ გამოდის და ამიტომაც ნამდვილად ვერ გეტყვით, რა ხდება იქ. ბოლო დღეებში მხოლოდ ის გახდა ცნობილი, რომ ამ ქვეყნის მთავრობას ბრაზილიასთან კარგი თამაშით გული მიეცა და თუკი ზემოთ აღნიშნული მატჩი ჩრდილოეთ კორეის ტელევიზიით მხოლოდ ჩანაწერის სახით გადაიცა, პორტუგალიასთან შეხვედრა პირდაპირი ეთერით აჩვენეს და მწარედაც ინანეს. ეს ორივე მატჩი აზიელებმა უცვლელი სასტარტო შემადგენლობით ჩაატარეს და ვნახოთ, მათ გუნდში მესამე თამაშში თუ შევა კორექტივები.

კოტდივუარელებს მწყობრში ჰყავთ **დიდიე დროგბა**, რომელიც შეგახსენებთ, პორტუგალიასთან სასტარტო მატჩში შეცვლაზე შევიდა, ბრაზილიასთან კი სრულად ითამაშა. ერიქსონის გუნდს საკადრო პრობლემები საერთოდ არ აწუხებს.

„მსოფლიოს ჩემპიონატის ორივე შეხვედრა ღირსეულად ჩავატარეთ და იმის მიუხედავად, რომ ჯგუფიდან გასვლის მცირე შანსი გვაქვს, კოტდივუარელი ხალხის გასახარებლად ბოლომდე დავიხარჯებით. ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა ლამაზი და შედეგიანი ფეხბურთით გავახაროთ", - ამბობს **სალომონ კალუ.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ღირსების საკითხი

25 ივნისი. დურბანი. დურბან სტედიუმი. 18:00

**პორტუგალია-ბრაზილია**

სავარაუდო შემადგენლობები

**პორტუგალია (4-3-3):** ედუარდო - მიგელი, კარვალიო, ალვეში, კოენტრაო - მენდეში, ტიაგო, მეირელეში - რონალდო, ალმეიდა, სიმაო.

**ბრაზილია (4-3-2-1):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, ჟუანი, ბაშტოში - ჟილბერტო სილვა, ფელიპე მელო, ბაპტიშტა - ნილმარი, რობინიო - ლუიშ ფაბიანო.

**არბიტრი:** ბენიტო არჩუნდია (მექსიკა)

მსოფლიოში სულ 10 პორტუგალიურენოვანი ქვეყანაა და დღეს მუნდიალზე ორი ყველაზე ცნობილი დაუპირისპირდება ერთმანეთს: პორტუგალია და ბრაზილია. „სიკვდილის ჯგუფის" ეს თამაში მუნდიალის დაწყებამდე ჯგუფური ეტაპის მშვენებად მონათლეს. მართალია, „სიკვდილის ჯგუფში" ისე განვითარდა მოვლენები, რომ გრანდებმა ორი აუტსაიდერი უკვე პრაქტიკულად „მოკლეს", მაგრამ ეს ამ გუნდების დაპირისპირებას ინტრიგას ვერ მოაკლებს, მით უფრო, რომ გასარკვევია პირველი ადგილის ბედიც. პორტუგალიელებმა და ბრაზილიელებმა არ იციან თუ რას (უფრო ზუსტად ვის) უქადის მათ ეს პირველი ადგილი, რადგან H ჯგუფში ისეთი სიტუაციაა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ასე რომ, წინასწარ გათვლებს ყოველგვარი აზრი აქვს მოკლებული. აქვე დავძენთ, რომ პორტუგალიას ჯგუფში ჩარჩენის საფრთხე მაინც დარჩა, თუმცა თეორიული...

პირველი თამაშის ჩაგდების შემდეგ პორტუგალიამ ერთბაშად ამოხეთქა, ჩრდილოეთ კორეის ნაკრების კარში სელეშაუმ 7 უპასუხო გოლი გაიტანა. დუბლის ავტორს და ჩვენი ვერსიით საუკეთესო ფეხბურთელ **ტიაგო მენდეშს** იმასაც კი შეეკითხნენ, არ შეგეცოდათ საბრალო კორეელებიო:

*„თავს დამნაშავედ არ ვთვლით მეტოქეს ამდენი გოლი რომ გავუტანეთ. ეს მუნდიალია, ყველას უნდა თამაში და გოლების გატანა, ასეთ ფუფუნებაზე უარს ვინ იტყოდა",* - ამბობს ტიაგო, რომელსაც კარგად ესმის, რომ ახლა პორტუგალიის ნაკრებს სულ სხვა ყაიდის თამაში ელის.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| პორტუგალია | 2 | 1 | 1 | 0 | 7-0 | 4 |
| კოტ დ'ივუარი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| ჩრდ. კორეა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-9 | 0 |

>> მე-5 გვერდზე

H ჯგუფი

# ჰიტცფელდმა ახლა თავდასხმას უნდა მიხედოს

25 ივნისი. ბლუმფონტეინი. ფრი სთეით სთედიუმი. 22:30

**შვეიცარია-ჰონდურასი**

სავარაუდო შემადგენლობები

**შვეიცარია:** ბენალიო - ლიხტშტაინერი, ფონ ბერგენი, გრიხტინგი, ციგლერი - ბარნეტა, ჰუგელი, ინლერი, ფერნანდესი - ფრაი, ნკუფო.

**ჰონდურასი:** ვალადარესი - მენდოსა, ჩავესი, ფიგეროა, ისაგირე - ე. ალვარესი, გევარა, ვ. პალასიოსი, ნუნიესი, ველკომი - სუასო.

**არბიტრი:** ექტორ ბალდასი (არგენტინა)

შვეიცარიამ ორ ურთულეს მეტოქესთან ბრძოლა უკვე მოილია და ახლა ჯგუფიდან გასვლის ბედი მთლიანად **ოტმარ ჰიტცფელდისა** და მისი ფეხბურთელების ხელშია. საკმარისია, შვეიცარიელებმა ჰონდურასელებს ორბურთიანი უპირატესობით მოუგონ, რომ ჯგუფის მეორე მატჩის შედეგისდა მიუხედავად, მერვედფინალში თამაშის უფლებას მოიპოვებენ. ხოლო თუ ესპანეთმა ჩილეს ორ და მეტბურთიანი უპირატესობით მოუგო, ანდა სამხრეთამერიკელები საერთოდ ვერ დაამარცხა, შვეიცარიის ნაკრებს ჰონდურასელთა ნებისმიერი ანგარიში აძლევს ხელს.

შვეიცარიელთა უძლიერესი რგოლი რომ დაცვაა, ეს დიდი ხანია, ცნობილია და სამხრეთაფრიკულ მუნდიალზე კიდევ ერთხელ დადასტურდა. არადა, ჰიტცფელდის გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის პირველივე თამაშის პირველივე ტაიმში წამყვანი უკანახაზელი **ფილიპ სენდეროსი** დაუშავდა. თუმცა შვეიცარიულმა დაცვამ ამის შემდეგაც უნაკლოდ იმოქმედა და მუნდიალებზე გოლგაუშვებელი წუთების რეკორდიც დაამყარა. სენდეროსის მდგომარეობა თითქოს მძიმე არ იყო, მაგრამ როგორც ნაკრების სამედიცინო შტაბი აცხადებს, იგი ვერც ჰონდურასთან შეძლებს თამაშს. შესაბამისად, ფილიპს **სტივ ფონ ბერგენი** შეცვლის, რომელმაც ამ მისიას აქამდე უზადოდ გაართვა თავი.

*„ბუნებრივია, ჩილესთან განცდილმა მარცხმა ყველას ძალიან დაგვწყვიტა გული. რომ არა ათი კაცის შემადგენლობით დარჩენა, იმ თამაშს ნამდვილად არ წავაგებდით. თუმცა რაც იყო, იყო. კარგად ვიცით, რომ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავზე ვართ დამოკიდებულნი და მჯერა, ჯგუფიდან გასვლის ძალაც შეგვწევს და უფრო მეტის მიღწევისაც",* - ამბობს ფონ ბერგენი.

სენდეროსის გარდა, შვეიცარიელებს **ვალონ ბეჰრამიც** დააკლდებათ. გეხსომებათ, იგი ჩილესთან მატჩისას გააძევეს და შესაბამისად, დისკვალიფიცირებულია. მის არყოფნაში ძირითად შემადგენლობას სავარაუდოდ, **ტრანკილო ბარნეტა** დაუბრუნდება.

ჰონდურასელებმა განვლილი შეხვედრები დაახლოებით ისე ჩაატარეს, როგორც ველოდით - მაღალი კლასის მეტოქეებს ქულა ვერ აართვეს, მაგრამ შეუპოვრად იბრძოლეს. საინტერესოა, როგორ გადასხვაფერდება დაცვითი სტილის მიმდევარი შვეიცარია იმ მატჩში, სადაც ვალდებული იქნება, აქცენტი შეტევაზე გადაიტანოს.

ჰონდურასის ნაკრებს ყველა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს. ეს გუნდები ერთმანეთს არასოდეს შეხვედრიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**




# ვისი იმედები დასამარდება ლოფტუსზე?

## ფავორიტი უფსკრულთან

25 ივნისი. პრეტორია. ლოფტუს ვერსფელდი. 22:30

**ჩილე-ესპანეთი**

სავარაუდო შემადგენლობები

**ჩილე (3-4-3):** ბრავო - მედელი, პონსე, ხარა - ისლა, მილარი, ვალდივია, ვიდალი - სანჩესი, სუასო, ბოსეჟური.

**ესპანეთი (4-4-2):** კასილიასი - რამოსი, პიკე, პუიოლი, კაპდევილა - ჩაბი ალონსო, ბუსკეტსი, ჩავი, ინიესტა - ვილია, ტორესი.

**არბიტრი:** მარკო როდრიგესი (მექსიკა)

ერთ მხარეს ჩილეს ნაკრები, მუნდიალის აღმოჩენა და გულშემატკივართა აღიარებით ყველაზე ლაღი ფეხბურთის შემომთავაზებელი გუნდი და მეორე მხარეს მსოფლიოს ჩემპიონატის მთავარ ფავორიტთაგანი, გუნდი, რომლის თამაშსაც ბევრ ვერაფერს დავუწუნებთ, ესპანეთი. მაგრამ... 90%-იანი „გარანტიით" „ლოფტუსი" ერთ-ერთი მათგანის სამუნდიალო იმედების სასაფლაო იქნება, ასეთი უცნაური სიტუაციაა შექმნილი H ჯგუფში, რომ სავსებით შესაძლებელია 6 ქულით გუნდი შინ წავიდეს, როცა ზოგიერთ ჯგუფში 5-ქულიანი გუნდები გამარჯვებულები გამოვიდნენ (აშშ).

ჩათვალეთ, რომ ეს არის არა ჯგუფური ეტაპის მატჩი, არამედ მეთექვსმეტედფინალი, ერთი შენიშვნით - ფრე ერთ-ერთ გუნდს აძლევს ხელს და ეს გუნდი ჩილეა. თუკი ესპანეთის ნაკრები დაამარცხებს მეტოქეს, ორივეს 6-6 ქულა დაუგროვდება, ასეთ შემთხვევაში გატანილი და გაშვებული ბურთების გრაფაში ესპანელებს ექნებათ უპირატესობა, სამხრეთამერიკელთა ბედი კი შვეიცარია-ჰონდურასის მატჩზე იქნება დამოკიდებული, სადაც შვეიცარიელთა გამარჯვება მათ ნაადრევად გაუშვებს შინ. არსებობს მხოლოდ ერთი ვარიანტი, რომლის შემთხვევაშიც ჩილეს ნაკრების ნაგებისა და შვეიცარიელთა გამარჯვების შემთხვევაში მერვედფინალში ჩილე შეიძლება გავიდეს - თუკი ჩილე მხოლოდ ერთბურთიანი სხვაობით წააგებს, ხოლო შვეიცარია მხოლოდ ერთბურთიანით მოიგებს, ამ შემთხვევაში ბურთების თანაფარდობა იქნება ერთნაირი, ხოლო გოლების რაოდენობა - გადამწყვეტი. თუკი ესპანელები ვერ მოიგებენ, მთლიანად შვეიცარია-ჰონდურასის მატჩის შედეგზე იქნებიან დამოკიდებულნი, ჩილე კი ნებისმიერ შემთხვევაში პირველ ადგილს გაინაღდებს.

აქამდე ეს ორი ნაკრები 7-ჯერ შეხვედრია ერთმანეთს, „ფურია როხას" (თუმცა ჩილეს გუნდსაც „როხა" ჰქვია) უპირატესობა აშკარაა - 6 გამარჯვება და 1 ფრე, ბურთებში ესპანელთა უპირატესობა კიდევ უფრო შთამბეჭდავია - 18:3.

**მარსელო ბიელსას** სამი შეგირდი თამაშობდა გასულ სეზონში ესპანეთში: მეკარე **კლაუდიო ბრავო** სეგუნდა დივიზიონის ჩემპიონის, „რეალ სოსიედადის" კარს იცავდა, **ფაბიან ორელანა** „ხერესში" თამაშობდა, ხოლო **უმბერტო სუასო** - „სარაგოსაში.



ფურია როხას გოლები და მოგება სჭირდება

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩილე | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| შვეიცარია | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| ჰონდურასი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

G ჯგუფი

# ღირსების საკითხი

« მე-4 გვერდიდან

მუნდიალის მუდმივი ფავორიტი ბრაზილია უკვე მერვედფინალშია, თუნდაც წააგოს პორტუგალიის ნაკრებთან. ეს რა თქმა უნდა, დალს დაასმევს პენტაკამპეონეთა მონდომებას - წინ ხომ პლეი ოფია, სადაც სიკვდილ-სიცოცხლის საკითხები წყდება. *„მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ჯგუფი პირველ ადგილზე დავასრულოთ. ამისთვის კი საჭიროა ფრე ან მოგება. ვფიქრობ, გუნდს მორიგი გამარჯვება ფრთებს შეასხამს და პლეი ოფში უფრო მოტივირებულნი გავალთ“*, - აცხადებს კაკა, რომელიც დისკვალიფიკაციის გამო თამაშს გამოტოვებს.

პორტუგალიის ნაკრები აქამდე 18-ჯერ შეხვდა ბრაზილიისას, ყოფილი კოლონიის უპირატესობა უზარმაზარია - 12 მოგება, 2 ფრე და მხოლოდ 4 მარცხი. ბრაზილიელებს გოლთა ბალანსიც დადებითი აქვთ - 36:15. ხშირი ურთიერთშეხვედრების ტრადიცია ბოლო წლებშიც გაგრძელდა, ბრაზილიაში მასპინძლებმა 6:2 გაანადგურეს მეტოქე, ბრიტანეთში კი პორტუგალიის ნაკრებმა 2:0 იმარჯვა. ალსანიშნავია, რომ 1 ივნისის შემდეგ, როცა კარლოშ კეიროშის გუნდმა 3:1 მოუგო ამხანაგურად კამერუნს, პორტუგალიის ნაკრებს გოლი არ გაუშვია. *„ჩვენ ალარ გვსურს გავატანინოთ ბრაზილიას. ბოლოს და ბოლოს ეს ღირსების საკითხია. ორი წლის წინათ მათ 6 გოლი გაგვიტანეს, ბრაზილიელებს ურჩევნიათ წარსული წარმოება დაივიწყონ, მსგავსიც კი არაფერი განმეორდება“*, - განაცხადა **კარლოშ კეიროშმა**.

პორტუგალიელთა ბანაკში საეჭვოა **დეკუს** თამაში, რომელიც ოფიციალური ვერსიით ტრავმირებულია, არაოფიციალური ვერსიით კი ის დასაჯეს მწვრთნელის საჯაროდ გაკრიტიკებისათვის. ასეა თუ ისე, ტიაგომ იმდენად უნაკლოდ შეცვალა ვეტერანი კორეასთან მატჩში, რომ დეკუს სასტარტოში თამაში მაინც არ მოუწევდა. შეგახსენებთ, რომ დეკუ ბრაზილიელია, რომელმაც პორტუგალიის მოქალაქეობა მიიღო. არ გაუმართლდა **რუბენ ამორიმს**, ფეხბურთელს, რომელიც სულ ბოლოს შეუერთდა ნაკრებს **ნანის** ტრავმის გამო. ამორიმმა კოტ დივუართან მატჩში მიიღო მონაწილეობა, თუმცა ბრაზილიასთან მისი თამაში გამორიცხულია, ამორიმი ტრავმირებულია.

კოტ დივუართან მატჩის მეორე ტაიმში, როცა ბრაზილიელთა გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, პენტაკამპეონეთა მეტოქე „ჩეხვაზე“ გადავიდა, რის გამოც **ელანომ** კოჭი დაიზიანა. ის სავარაუდოდ გამოტოვებს პორტუგალიის ნაკრებთან მატჩს. კაკა, რომელიც იმავე მატჩში გააძევეს, განაცხადშიც ვერ იქნება დისკვალიფიკაციის გამო. ასე რომ, **დუნგა** ველარ გაიმეორებს სასტარტო 11-ეულს, რომლებიც ჯერ კიდევ მუნდიალამდე დანომრა 1-დან 11-მდე. ვინ შეცვლის კაკას? ჟურნალისტები მის ადგილზე **ჟულიო ბაპტიშტას**, **ნილმარს**, **რამირესს**, თუნდაც **დანი ალვეშს** მოიაზრებენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



კარლოშ კეიროში: ბრაზილიას არ გავატანინებთ




www.britishcentre.ge

დაზოგეთ დრო ენერგია და ბიუჯეტი !
შეისწავლეთ ინგლისური ოთხჯერ უფრო სწრაფად !
ბრიტანული ცენტრის კარი ღიაა ნებისმიერი მსმენელისთვის !

BRITISH CENTRE

ირინა ონაშვილი:

„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭირო იყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები”.



ლელა მებურიშვილი:

„ბრიტანულ ცენტრში ენას კი არ გასწავლიან, აგალაპარაკებენო, მითხრეს და ეს სწორედ, ის იყო, რაც მე მჭირდებოდა. აღმოვაჩინე, რომ ბრიტანულ ცენტრში ინგლისური ენის მასწავლებლები, მოქმედი ლექტორები გადიან ენის შემსწავლელ მაღალ საფეხურებს, იმისთვის, რომ უფრო დახელოვდნენ და დახვეწონ თავიანთი ცოდნა. ერთი სიტყვით, მოვედი და დავრჩი. თვე-ნახევარია დავდივარ და ინგლისურად ლაპარაკის ყველანაირი კომპლექსი მომეხსნა”.

დირექტორი დალი ლომიძე:

„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბრიტანული ცენტრი სავსებით აკმაყოფილებს ყველა ასაკისა და პროფესიის წარმომადგენელს”.

რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
აღმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915
ვაჟაინის 9; ტელ: 332 557; 514 143

www.britishcentre.ge


ინგლისი



ბურთს ჯონ ტერი გადაელობა

# სულისკვეთება დაბრუნდა

ასე და ამგვარად, ინგლისის ნაკრებმა ერთადერთი გატანილი გოლის წყალობით დაამარცხა გუნდი, რომელიც „ფიფა-კოკა კოლას“ რეიტინგში ოცდამეხუთეა. სლოვენია - აი, ასე ჰქვია 2-მილიონიან ქვეყანას, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ 30 ათასი რეგისტრირებული ფეხბურთელი ჰყავს. და ვითომ არის ასეთ გამარჯვებაში რამე სატრაბახო? - ასე კითხულობს ინგლისელი ჟურნალისტი **ეშლი გრეი** და თავის კითხვას თავადვე პასუხობს: მინიმალური სხვაობის მიუხედავად, ამ შეხვედრაში ინგლისელთათის გასახარი რამდენიმე რამ მოხდა. პორტ ელიზაბეტის „ნელსონ მანდელა ბეიზე“ **ფაბიო კაპელოს** გუნდი წინა ორ შეხვედრასთან შედარებით სახეცვლილი ვიხილეთ. კაპელოს თერთმეტეულს ახლებური შემართება ჰიმნის დროსვე დაეტყო, შემდეგ კი ბურთი გაგორდა და ის, რაც მთელმა ინგლისმა ჰიმნის დროსვე შეამჩნია, თამაშსაც დაეტყო. გრეის აზრით, ეს იყო გუნდი, რომელიც სამხრეთ აფრიკაში ჩასვლის შემდეგ პირველად ალარ იყო შებოჭილი.

ამ დღეს ინგლისელებს ალარც უილბლობამ დააკარგინა ქულები, უილბლობამ, რომელიც გუნდს C ჯგუფში პირველ ადგილად დაუჯდა. ერთი სიტყვით, იმასთან შედარებით, რაც იყო ადრე, ინგლისელებს გაუმართლა. ისინი უკეთესადაც თამაშობდნენ და ფანებს ამოსუნთქვის საშუალება მიეცათ, თუმცა... ეს ის შემთხვევაა, როდესაც ზედმეტად ლალი სუნთქვა ნამდვილად არ არის საჭირო. კაპელო და მისი რაზმი პლეი ოფის ეტაპზე არცთუ უძლიერესი ჯგუფიდან, გავიდნენ და ამ გასვლას ტრიუმფულსაც ვერ ვუწოდებთ. გუნდი, რომელსაც ყველა პირველი ადგილით გასვლას უწინასწარმეტყველებდა ფაქტის წინაშე დადგა: გარანტირებული არაფერი ყოფილა. ან კი, გარანტირებული რა უნდა იყოს, ეს ხომ მსოფლიოს ჩემპიონატია!

ჟურნალისტ ეშლი გრეის არც ირონია აკლია. ის წერს: *„ჩვენ, ინგლისელები, ფრანგთა გავარდნამ გაგვაბედნიერა. სასიხარულოა, აბა, რა?! ბოლოს და ბოლოს, ვილაცას ჩვენზე მეტად გაუჭირდა. კიდევ, იმედის თვალით ვუყურებთ იტალიელებსაც. და ამ დროს, თავად ვთამაშობთ ისე, რომ წესითა და რიგით იმედი უნდა ჩაგვესახოს“.*

თუმცა იმავე ჟურნალისტის აზრით, სლოვენებთან ინგლისელების თამაში იმედის მომცემი მხოლოდ და მხოლოდ შემართების გამო იყო. პორტ ელიზაბეტში, კეიპტაუნისგან განსხვავებით, ტრიბუნებს თავიანთი ფეხბურთელებისთვის „ბუუ“ ალარ უძახიათ. მაშინ **უეინ რუნიმ** გულშემატკივარს უკმეხი პასუხიც კი აკადრა, არადა, ვალდებული იყო სცოდნოდა, რომ ისეთი ფეხბურთი და დამოკიდებულება, როგორიც მან და მისმა თანაგუნდელებმა აჩვენეს, სწორედ „ბუუს“ იმსახურებდა. სლოვენებთან შეხვედრაში კი რუნი გაცილებით ცოცხალი ჩანდა. გოლიც რომ გაეტანა, შესაძლოა ვინმეს შორეულად მაინც გახსენებოდა ის ფეხბურთი, რომელსაც ფორვარდი „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში“ აჩვენებდა გასული სეზონის განმავლობაში.

და მაინც, თუ ინგლისის შეჯიბრებაში გამარჯვებასა და მსოფლიოს ჩემპიონობაზე ფიქრობს, რუნიმ გაცილებით უნდა მოუმატოს. ბოლოს და ბოლოს, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ჩემპიონატის მიმომხილველები რუნის **ლიონელ მესისა** და **კრისტიანო რონალდოს** ადარებდნენ... ჯერჯერობით, საუკეთესო, რაც რუნის შესრულებით ვნახეთ, სლოვენიასთან იყო.

## ტერ-აქტი!

როდესაც სლოვენიელთა გუნდში შეცვლაზე შესული ფეხბურთელი **ზლატკო დედიჩი** ანგარიშის გასათანაბრებლად მოემზადა, **ჯონ ტერის** გონებაში ერთადერთი რამ უტრიალებდა: ბურთს სხეულით უნდა გადაჰფარებოდა და რაც მთავარია, მისთვის სულერთი იყო სხეულის რომელი ნაწილით გადაელობებოდა მას. როგორც „დეილი მეილის“ მიმომხილველი **მარტინ სამუელი** წერს, გულით გადაფარება რომ ყოფილიყო საჭირო, ტერი ამას დაუფიქრებლად გააკეთებდა. და როგორ მოიქცა ინგლისელთა ყოფილი კაპიტანი, ხომ გახსოვთ? გადახტა, რათა ტყვიასავით გამოფრენილი ბურთისთვის თავი შეეშვირა - სხვა გამოსავალი ალარ ჰქონდა.

ამ შემთხვევაში შენელებული კადრები გახლავთ ძალიან თვალსაჩინო რამ. მათზე კარგად ჩანს, თუ რამხელა სპორტსმენთან გვაქვს საქმე. ის, რაც ტერიმ ინგლისისა და სლოვენიის შეხვედრის 68-ე წუთზე გააკეთა, ადამიანში ბუნებრივად უნდა იყოს ჩადებული, ასეთი რამ ვარჯიშებით არ მოდის. შენელებულ კადრში ტერი მარცხნიდან შემოდის... უფრო სწორად, მოფრინავს. ხელები თავიდან გაშლილი აქვს, თუმცა შემდეგ უკან მიაქვს, რადგან ასე უფრო წინ გადახტება და ბურთსაც უკეთ მიწვდება. რაც უფრო შევანელებთ კადრს, მით უფრო კარგად გამოჩნდება, როგორ იჭიმება „ჩელსის“ მცველის სხეული და როგორ ძაბავს ის კისრის კუნთებს - ტერი ცდილობს კისერი ნაიგრძელოს. ის ყველა ღონეს ხმარობს ბურთი თავში რომ მოხვდეს.

» მე-6 გვერდზე



უეინ რუნი და ფაბიო კაპელო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი

# სულისკვეთება დაბრუნდა

« მე-5 გვერდიდან

ამ ეპიზოდში ტერის უკან **გლენ ჯონსონი** დგას. სწორედ მან მიილო დედიჩის დარტყმული, ბურთს საბოლოოდ ის გადაელობა, მაგრამ დააკვირდით სურათს, ჯონსონს სრულიად ადამიანურად აქვს ხელები მტკივნეულ ადგილზე აფარებული, ტერი კი... ტერი მოჭრილი ხესავით ენარცხება მიწაზე. და წარმოგიდგენიათ, ბოლო დღეებში ინგლისელთა მწვრთნელს **ფაბიო კაპელოს** თავი ხელში რომ არ აეყვანა, დღეს ტერის ამ გმირობაზე ლაპარაკის ნაცვლად მის სკანდალურ პრესკონფერენციასა და ათას სხვა რამეზე ვილაპარაკებდით. ყოჩაღ, კაპელო. მან ურთულეს ვითარებაშიც კი სწორად ამოიცნო ადამიანი. იტალიელმა სწორად გათვალა, რომ ჯონ ტერის ათასი ცხოვრებისეული შეცდომისა და გაუმართლებელი ქცევის მიუხედავად, საქმე ჰქონდა ადამიანთან, რომელიც... ოღონდ გუნდს გოლი არ გაეშვა და დაქუხებული ბურთისთვის თავის შესაშვერად გაფრინდებოდა. არადა, ხომ შეიძლებოდა კაპელოც ფრანგთა მწვრთნელის **რაიმონ დომენეკის** მსგავსად მოქცეულიყო და რამდენიმე დღის წინ აჯანყებული ტერი ბანაკიდან გაეგდო? რასაკვირველია, შეიძლებოდა, მაგრამ ვინ იცის, ამ შემთხვევაში დღეს ოთხშაბათს მას უკან შეიძლება მთელი ინგლისის ნაკრებიც მიჰყოლოდა. დაგვეთანხმებით: დედამიწის ზურგზე ძალიან მაღალი კლასის მწვრთნელი ბევრია, ტერი კი სწორედ გამორჩეულ თვისებათა გამო ერთი გახლავთ და ამიტომაც დაასახელეს ევროპის წამყვანმა მწვრთნელებმა გასული სეზონის ჩემპიონთა ლიგის სიმბოლურ ნაკრებში. თავის დროზე მას შესაძლოა **ჟოზე მოურინიოსთანაც** მოსვლია კონფლიქტი - სავარაუდოდ ისეთივე, რამდენიმე დღის წინ კაპელოსთან რომ ჰქონდა - მაგრამ არასდროს, ერთი წამითაც კი არ დავიწყებია, რას ითხოვდა მისგან და სხვა ფეხბურთელებისგან „პორტუგალიელის რეჟიმი" და ამ რეჟიმისთვის არასდროს ულალატია. რაც გინდათ ის თქვით და როდესაც ტერი ბურთს ისე ელობება, გეგონება ომში გმირი თანამებრძოლთა გამო მტრის ლულას გადაეფარა, ისიც აშკარაა, რომ ამ ფეხბურთელს მოურინიოს სკოლა აქვს დამთავრებული.

უცნაური მოსაზრებაა? ზემოხსენებული მიმომხილველი მარტინ სამუელი კი შეგვახსენებს, რომ თანამედროვეობის უდიდესი მცველები, თუნდაც იგივე ტერი, **ლუსიო** და **ვალტერ სამუელი** თუნდაც ცოტა ხნით მოურინიოს ხელში არიან გამოვლილები. „ინტერის" დაცვა იმავე პრინციპით მოქმედებს, რა პრინციპითაც მოქმედებდა „ჩელსის" დაცვა, მაგრამ ტერი ერთადერთია, ვინც „განსაკუთრებულის" რჩევები სხვანაირად შეისისხლხორცა და მისი წასვლიდან ამდენი წლის შემდეგაც გულით ატარებს.

ერთი სიტყვით, კაპელოს კარგი მემკვიდრეობა ერგო. თუ გახსოვთ, დედიჩის დარტყმამდე ცოტა ხნით ადრე ტერი **მილივოე ნოვაკოვიჩის** დარტყმულსაც ჩაუწვა. იმ შემთხვევაში „ჩელსის" კაპიტანი ბურთს გადაეფარა, ასე რომ... დიახ, შესაძლოა ის ინგლისს აღარ კაპიტნობს, მაგრამ გუნდის ერთ-ერთ გამოკვეთილ ლიდერად რომ რჩება, რად უნდა ლაპარაკი. და როგორ ფიქრობთ, განა კაპელოს გუნდში მასზე ტექნიკური მოთამაშეები არ არიან? რასაკვირველია, არიან. შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულნიც არიან და მძლავრნიც, მაგრამ ფეხბურთელი, რომელიც ყუმბარისებურად გამოფრენილ ბურთს თავს შეუშვერს, ერთია!

**ილია ბაბუნაშვილი**

მუნდიალს მიღმა

# კოულს არაო...

კოული „ჩელსიში" 2003 წელს 6 მილიონ ფუნტად გადავიდა - იმ წელიწადს „ჩაქუჩები" პრემიერლიგიდან სწორედ მისი კაპიტნობით გავარდნენ. მას შემდეგ კოულმა „ლურჯების" შემადგენლობაში 396 შეხვედრაში 52 გოლი გაიტანა. რაც შეეხება ინგლისის ნაკრებს, აქ მას 54 თამაშში 10 გოლი აქვს გატანილი.

**ილია ბაბუნაშვილი**



ჯო კოული

როგორც BBC იტყობინება, „მანჩესტერ იუნაიტედი" ამ ზაფხულს **ჯო კოულის** შეძენას არ აპირებს - ხმები, თითქოს სერ **ალექს ფერგიუსონმა** გადაწყვიტა „არსენალს" ვაჭრობაში ხელი შეუშალოს და „ჩელსის" ყოფილი გარემარბი „ოლდ ტრეფორდზე" წაიყვანოს, არ დასტურდება. მოგეხსენებათ, ინგლისის ნაკრების 28 წლის ვარსკვლავთან კონტრაქტის გაგრძელება „ლურჯებმა" არ ისურვეს. მიზეზი: კოულმა ხელფასის გაზრდა მოისურვა. ფეხბურთელის მოთხოვნა კატეგორიული იყო - ან კვირაში 100 ათას ფუნტს დამინიშნავთ, ან წავალო. ასეთმა დამოკიდებულებამ ლონდონელთა რუსი მეპატრონე **რომან აბრამოვიჩი** ალაშფოთა და მან კოულთან კონტრაქტის გაგრძელება აკრძალა.

ასე და ამგვარად, კოულს ახალი კლუბის მოძებნა დასჭირდა, თუმცა, მისი დონის ფეხბურთელზე უმჯობესია დავწეროთ, რომ პრემიერლიგის სხვადასხვა კლუბს შორის დასჭირდა არჩევა. ფავორიტებად ლონდონის კლუბებს „არსენალსა" და „ტოტენჰემს" ასახელებდნენ. საქმე ის არის, რომ თავად კოული ლონდონელია და ქალაქიდან წასვლა არ სურს, მაგრამ როგორც კი დაირხა ჭორი, თითქოს საქმეში „მანჩესტერ იუნაიტედი" ჩაერია, ყველაფერი ყირაზე დადგა.

ცნობისათვის: „ჩელსიმ" კოულის გაშვების ამბავი მაშინ დაადასტურა, როდესაც **მიხაელ ბალაკისა** და **ჟულიანო ბელეტის** გასხვისების სურვილიც გაამხილა. და მართალია, „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი, ფერგიუსონი კოულის ნიჭის კარგა ხნის პატივისმცემელია, კლუბის ოფისში განაცხადეს, რომ გარემარბის შეძენის არანაირი გეგმა არ არსებობს.

დავძენთ, რომ კოულმა კარიერა „ვესტ ჰემში", „ტოტენჰემ ჰოთსფურის" დღევანდელი თავკაცის **ჰარი რედნაპის** ხელმძღვანელობით დაიწყო. მოგეხსენებათ, „სფურზი" ამ ზაფხულს თვისებრივად ახალ სიმაღლეზე ავიდა - ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობს და რედნაპსაც ოდინდელი შეგირდის დაბრუნების რეალური შანსი გაუჩნდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია


მათიას ზამერი მზადაა, ლიოვის წასვლის შემთხვევაში, გერმანიის ნაკრები ჩაიბაროს

# თუ ლიოვი წავა, ზამერი მზადაა!

## ცვანციგერი და ბეკენბაუერი მათიასს ლობირებენ

გერმანიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი წარმატებით კი დასძლია, მაგრამ ბუნდესგუნდის მთავარი მწვრთნელის, **იოახიმ ლიოვის** მომავალი მაინც გაურკვეველია. როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორი **მათიას ზამერი** მზად არის, ლიოვი შეცვალოს. საუბრები იმის შესახებ, რომ ადრე თუ გვიან, იოგი სწორედ ზამერმა უნდა ჩაანაცვლოს, დიდი ხანია მიდის, მაგრამ ბოლო დროს, გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა **თეო ცვანციგერმა** მათიასის ქებას მოუხშირა. ზამერის კანდიდატურით აღფრთოვანებულია **ფრანც ბეკენბაუერიც**.

როგორც იცით, ლიოვს ახალი კონტრაქტი მუნდიალის დაწყებამდე უნდა გაეფორმებინა, მაგრამ მასსა და ცვანციგერს შორის მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა, რის გამოც გადაწყვეტილების მიღება ივლისისთვის გადაიდო. ლიოვმა ძალიან დიდი ხელფასი და ცვანციგერის აზრით, ზედმეტად დიდი ძალაუფლება მოითხოვა. გერმანიაში ყველა დარწმუნებულია, რომ მუნდიალის შემდეგ ლიოვთან ახალი კონტრაქტი არ გაფორმდება, რაც იმას ნიშნავს, რომ აგვისტოდან ბუნდესნაკრებს ახალი დამრიგებელი უნდა ჰყავდეს. სავარაუდო კანდიდატებს შორის ფავორიტი კი, ულაპარაკოდ მათიას ზამერია.

ცვანციგერი პირდაპირ ამბობს, თუ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ლიოვთან ახალი ხელშეკრულების გაფორმება ვერ მოხერხდება, პირველ რიგში ზამერზე ვიფიქრებთო. „მათიასი გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორია და თავის საქმეს ბრწყინვალედ აკეთებს. ამასთან, ის შესანიშნავი მწვრთნელია და სხვადასხვა ასაკობრივი ახალგაზრდული ნაკრების წარმატებებიც მისი დამსახურებაა, რადგან ბავშვთა ფეხბურთის კოორდინატორი სწორედ მათიასია. ახლა რომ ვთქვა, ზამერის კანდიდატურა გერმანიის ნაკრების მწვრთნელის პოსტზე არ განიხილება-მეთქი, სასტიკად ვიცრუებ," - ასე ახასიათებს ცვანციგერი ევროპის 1996 წლის ჩემპიონს.

„მათიასი ჯერ კიდევ ფეხბურთელობის დროს აზროვნებდა ისე, როგორც მწვრთნელი უნდა აზროვნებდეს. ზამერი მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელი იყო და ჯერ კიდევ მაშინ ვფიქრობდი, რომ ის მწვრთნელობისთვისაა დაბადებული. ვფიქრობ, ის უკვე მზადაა ბუნდესმწვრთნელობისთვის," - ეს კი ბეკენბაუერის სიტყვებია.

მოკლედ, დისკუსიები დაიწყო და შეგახსენებთ, რომ ცვანციგერი და ბეკენბაუერი უმიზეზოდ ასე არავის აქებენ ხოლმე. გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტს ამ განცხადებებით ერთი მხრივ ლიოვის წნეხის ქვეშ მოქცევა სურს, მეორე მხრივ კი ის სერ[illegible]ზულად ფიქრობს ზამერზე და შეიძლება ურჩევნია კიდეც ის, რომ ლიოვმა პოსტი დატოვოს და გერმანიის პირველი გუნდი მათიასმა ჩაიბაროს.

თვითონ 42 წლის ზამერი კი დუმილს ამჯობინებს და დისკუსიებისგან თავს შორს იჭერს. მან სპეციალურად თქვა უარი იმაზე, რომ სამხრეთ აფრიკაში ჩასულიყო და გერმანიის ნაკრების ფეხბურთელები მოენახულებინა, რადგან არ უნდოდა, რომ ამით სპეკულაციები კიდევ უფრო გაეღვივებინა. ერთი რამ კი ცხადია: ზამერი ყოველთვის ოცნებობდა გერმანიის ნაკრების გაწვრთნაზე და შეთავაზების შემთხვევაში, ბუნდესმწვრთნელის თანამდებობაზე მუშაობას დიდი სიამოვნებით დათანხმდება.

ლიოვისა და გერმანიის ნაკრების მენეჯერ **ოლივერ ბირჰოფისგან** განსხვავებით, რომლებთანაც მათიასს მეგობრული ურთიერთობა ნამდვილად არ აკავშირებს, საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტი უკვე გააგრძელა (2013 წლამდე). თანაც, ზამერი არც დიდ ხელფასს ითხოვს და არც განსაკუთრებულ პირობებს. ის ყოველთვის ამბობდა, რომ გერმანიის ნაკრების მწვრთნელად მუშაობა ნებისმიერი სპეციალისტისთვის დიდი პატივი უნდა იყოს, რის გამოც ფუნქციონერებსა თუ გულშემატკივრებში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს.

ცნობილია ისიც, რომ ზამერი, რომელიც სპორტული დირექტორის თანამდებობაზე 2006 წლის 1 აპრილიდან მუშაობს, ძალიან მოსწონთ საფეხბურთო კავშირის სხვა შეფებსაც - მაგალითად, გენერალურ მდივან **ვოლფგანგ ნირსბახს**, რომელსაც ცვანციგერთან წონადი სიტყვა ეთქმის. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ზამერის უმთავრესი პლუსი ის არის, რომ „შტუტგარტისა" და დორტმუნდის „ბორუსიას" ყოფილი მწვრთნელი, ლიოვის წასვლის შემთხვევაში, მაშინვე მზად იქნება, ბუნდესგუნდი ჩაიბაროს. შესაბამისად, ცვანციგერი თავიდან აიცილებს იმ ქაოსს, რაც ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შემდეგ ხდებოდა, როცა **რუდი ფიოლერმა** ბუნდესმწვრთნელის პოსტი დატოვა. ბეკენბაუერის თქმით, მაშინდელი ქაოსი აღარ უნდა განმეორდეს.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, გამორიცხული არც ისაა, რომ ლიოვის წასვლის შემთხვევაში, გერმანიის ნაკრები მის ასისტენტ **ჰანსი ფლიკს** ჩააბარონ, რითაც გარკვეული ტრადიცია დამკვიდრდება: ლიოვიც ხომ **იურგენ კლინსმანის** ასისტენტი იყო...

საბერძნეთი

# რეჰაგელი დამთავრდა!

## ბერძენი ერი ოტოს მადლიერია

მორჩა, **ოტო რეჰაგელი** საბერძნეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი აღარ არის. როგორც მოსალოდნელი იყო, ჯგუფში ჩარჩენის შემდეგ, 71 წლის გერმანელმა სპეციალისტმა თანამდებობა დატოვა. რეჰაგელი ფეხბურთელებს ოთხშაბათს საღამოსვე გამოეთხოვა და გადადგომის შესახებ საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტსაც ამცნო. ამრიგად, ცხრაწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, საბერძნეთის ნაკრებისა და რეჰაგელის თანამშრომლობა დამთავრდა. ეს კი უდიდესი და სენსაციურად წარმატებული ერის დასასრულია.

შეიძლება, ბევრს არც ახსოვდეს, რომ რეჰაგელმა საბერძნეთის ნაკრებში მოღვაწეობა 2001 წლის სექტემბერში, ფინეთთან 1:5 განადგურებით დაიწყო. მას მერე, საბერძნეთის ნაკრებმა ოტოს ხელმძღვანელობით 103 მატჩი ჩაატარა და აქედან ნახევარზე ოდნავ მეტი, 52 თამაში მოიგო. მიუხედავად იმისა, რომ რეჰაგელის დაცვით სტილს ყოველთვის აკრიტიკებდნენ, მის ხელში საბერძნეთის ნაკრების შედეგები გასაოცარია და არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ოტო ბერძნებმა ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს. რაც არ უნდა იყოს, რეჰაგელმა, ყველასათვის მოულოდნელად, საბერძნეთს 2004 წელს ევროპის ჩემპიონატი მოაგებინა.

*„ეს იყო ცხრა გენიალური წელიწადი ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ ყველაფერს, მათ შორის საუკეთესო ზღაპრებსაც კი, დასასრული აქვს. ჩემთვის დიდი პატივი იყო ამ გუნდთან ერთად მუშაობა. ჩვენ ერთად ძალიან ბევრს მივაღწიეთ. ახლა კი, დროა, ყველას დავემშვიდობო და საბერძნეთის ნაკრებს წარმატებები ვუსურვო,"* - ამ სიტყვებით გამოეთხოვა რეჰაგელი თავის შეგირდებს.

ამ განცხადებიდან ცოტა ხნის შემდეგ, რეჰაგელთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე თანამშრომლობის გაწყვეტა საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **სოფოკლის პილავიოსმაც** დაადასტურა. მისი თქმით, რეჰაგელის შემცვლელის ვინაობა უკვე ცნობილია, ოღონდ მისი გვარი უახლოეს დღეებში გაცხადდება. ჩვენი ბერძენი კოლეგების ცნობით, რეჰაგელს პორტუგალიელი **ფერნანდო სანტოსი** შეცვლის, რომელიც საბერძნეთში აეკ-ს, „პანათინაიკოსს" და პაოკ-ს წვრთნიდა.

პილავიოსის თქმით, უახლოეს მომავალში საბერძნეთის ნაკრები რეჰაგელის გამოსათხოვარ მატჩს გამართავს. ბერძნები „მეფე ოტოს" მეფურად გააცილებენ. *„რეჰაგელს ძეგლი უნდა დავუდგათ, - ამბობს პილავიოსი, - როცა ოტო საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელი გახდა, ჩვენ ფიფას რეიტინგში 62-ე ადგილზე ვიყავით და ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ოდესმე ევროპის ჩემპიონები გავხდებოდით. დღეს კი ჩვენი გუნდი მე-15 ადგილზეა. ეს ყველაფერზე მეტყველებს."*

გარდა 2004 წლის ტრიუმფისა, რეჰაგელმა ბერძნები ევროპის 2008 წლის ჩემპიონატზე გაიყვანა, ახლა კი მუნდიალზეც ათამაშა. მანამდე საბერძნეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ ერთხელ, 1980 წელს მონაწილეობდა, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე კი 1994 წელს ითამაშა, სადაც სასტიკად შერცხვა - არც ერთი გოლი, არც ერთი ქულა.

რეჰაგელი საბერძნეთში არ დაბრუნებულა. ის მეუღლე **ბეატესთან** ერთად სამხრეთ აფრიკაში დარჩა, სადაც მუნდიალის დარჩენილ მატჩებს დაესწრება. ცნობილია, რომ ოტოს პენსიონერობა ჯერ არ სურს და მიუხედავად იმისა, რომ 71 წლისაა, მწვრთნელობის გაგრძელებას აპირებს.


ოტო რეჰაგელი საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელი აღარ არის

სკანდალი

# კევინ-პრინს ბოატენგი: გერმანელმა ფეხბურთელებმა ბალაკის დამტვრევისთვის მადლობა გადამიხადეს!

განისა და გერმანიის ნაკრების მატჩმა (0:1) მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ **კევინ-პრინს ბოატენგის** გარშემო ატეხილი სკანდალი გრძელდება. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ფეხბურთელი, რომელმაც მუნდიალის დაწყებამდე გერმანიის ნაკრების კაპიტანი **მიხაელ ბალაკი** დაამტვრია და რომლის ძმა **ჟერომ ბოატენგი** გერმანიის ღირსებას იცავს, არ ჩუმდება.

„შპორტ ბილდის" უახლეს ნომერში კევინ-პრინსის ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც განის ნაკრების ფეხბურთელი ასეთ რამეს ამბობს: *„ბევრმა არ იცის, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ გერმანიის ნაკრების ძალიან ბევრმა ქომაგმა და ფეხბურთელებმაც კი, მადლობა გადამიხადეს იმისათვის, რომ ბუნდესგუნდი ბალაკისგან გავათავისუფლე. ისინი მეუბნებოდნენ, გერმანიის ნაკრები ბალაკის გარეშე გაცილებით ძლიერი იქნებაო!"*

ბოატენგი აგრძელებს: *„რატომ არავის გაუკვირდა ის, რომ ბალაკის ტრავმის შემდეგ, ახალმა კაპიტანმა ფილიპ ლამმა თქვა, ეს გერმანიის ყველა დროის საუკეთესო ნაკრებიაო. თუ დამიჯერებთ, ბუნდესგუნდის რამდენიმე ფეხბურთელმა დამირეკა და მადლობა მითხრა ბალაკის დამტვრევისთვის. როგორც ჩანს, გერმანიის ნაკრებში არაჯანსაღი სიტუაცია იყო. სხვას რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ ფეხბურთელებს კაპიტნისა და უმთავრესი ლიდერის ტრავმა გაუხარდათ?"*

გერმანელი ფეხბურთელები ბოატენგის განცხადებებზე კომენტარს არ აკეთებენ. საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა **თეო ცვანციგერმა** კი აღნიშნა, რომ გაბრაზებული ფეხბურთელის ასეთ გამოხდომებს ყურადღება არავინ უნდა მიაქციოს. *„მიხაელ ბალაკი უდიდესი ფეხბურთელი და შესანიშნავი პიროვნებაა და დარწმუნებული ვარ, მას ყველა ფეხბურთელი აფასებს,"* - თქვა ცვანციგერმა. გერმანიის ნაკრების მენეჯერ **ოლივერ ბირჰოფის** აზრით, კევინ-პრინს ბოატენგს ასეთი განცხადებებით ბუნდესგუნდში სიტუაციის არევა სურს.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ **ლენცმა**

სიახლე თიაქრის მკურნალობაში







საყლაპავის და მუცლის თიაქრების
მკურნალობა ლაპარასკოპული მეთოდით
კონსულტაცია უფასოა
მედ. მეც. დოქტორი თენგიზ ჩართოლანი
ტელ: 77-19-06; 899 56-13-71; 33-78-74 (სახლი)
ჯანმრთელობის სახლი, „არამიანცის" საავადმყოფო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# ლევან კობიაშვილის ახალი გამოწვევა

**საქართველოს ნაკრების ყველაზე სტაჟიანი წევრისა და ჩატარებული მატჩების მიხედვით აბსოლუტური რეკორდსმენის ლევან კობიაშვილის ისედაც შთამბეჭდავ კარიერაში მალე ახალი ეტაპი დაიწყება; პირველი ქართველი ფეხბურთელი, ევროპის ტოპ-ლიგების ხუთეულიდან (ინგლისი, იტალია, ესპანეთი, გერმანია, საფრანგეთი) ერთ-ერთში 300 მატჩი რომ ჩაატარა, მეორე ბუნდესლიგაში ბრუნდება; თანაც, ბრუნდება შვიდწლიანი პაუზის შემდეგ და ბრუნდება ახალი გამოწვევით: „ჰერტასთან" ერთად უმოკლეს დროში ალზევდეს პირველ ბუნდესლიგაში!**

**ლევან კობიაშვილი ამჟამად თბილისში იმყოფება და მსოფლიოს ჩემპიონატის „დამსახურებით" ხანგრძლივი შვებულებაც გამოუვიდა. როგორც ყოველთვის, ინტერვიუზე უარი არც ახლა უთქვამს; თანაც, ბოლოს მაშინ ვისაუბრეთ, „შალკედან" „ჰერტაში" რომ გადადიოდა, - ამ ექვს თვეში კი ლევან კობიაშვილის საკლუბო თუ სანაკრებო კარიერაში არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა...**

- უკანასკნელად ასეთი ხანგრძლივი შვებულება როდის მქონდა, ველარც ვიხსენებ. მსოფლიოს ჩემპიონატის გამო ბუნდესლიგაში სეზონი ადრე მორჩა და ბერლინში ხუთ ივლისს ვბრუნდები. სამაგიეროდ, ადრინდელისგან განსხვავებით მოსამზადებელი პერიოდი უფრო დიდხანს გასტანს. მოგეხსენებათ, როგორც წესი, გერმანიაში სეზონი შვიდრვა აგვისტოს იწყებოდა, წელს კი, სავარაუდოდ ოცი აგვისტოს მერე დაიწყება.

**- „ჰერტაში" ახალ სეზონს ახალ ამპლუაში შეხვდებით - საინფორმაციო საშუალებებში დაიწერა, რომ ბერლინური კლუბის კაპიტანი ლევან კობიაშვილი იქნებაო...**

- ეგ ყველაფერი მეც გუშინ გავიგე, თან... ქართული პრესიდან! შვებულებაში გასვლამდე კლუბის მენეჯერ მიხაელ პრეეტცს შევხვდი და მისგან გავიგე, რომ „ჰერტას" ხელმძღვანელებს გუნდის კაპიტნად ჩემი დანიშვნა სურდათ. თუმცა, დამეთანხმებით, რომ ასეთ გადაწყვეტილებას კლუბის ხელმძღვანელები მთავარ მწვრთნელთან ერთად იღებენ. ამ საკითხზე კი მწვრთნელთან საუბარი, ფაქტობრივად, არც მქონია. უფრო ზუსტად, თბილისში გამომგზავრების წინ მხოლოდ ერთხელ, ისიც შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს, როცა კლუბის ოფისში ვიყავი მისული.

**- ახალ მწვრთნელზეც გვინდა გკითხოთ: ფეხბურთელობისას მარკუს ბაბელს მართლაც ჩინებული კარიერა ჰქონა; თუმცა, სამწვრთნელო ასპარეზზე ჯერჯერობით წარმატებებით ვერ დაიკვეხნის.**

- ბაბელის წინააღმდეგ ბუნდესლიგაში არაერთხელ მითამაშია; რაც შეეხება მწვრთნელობას, „შტუტგარტში" საკმაოდ კარგად დაიწყო, მაგრამ მერე ჩავარდნა ჰქონდა და იქაურმა გულშემატკივრებმაც ოქსტრუქცია მოუწყვეს. ახალგაზრდა, ამბიციური მწვრთნელია და, ალბათ, თვითონაც კარგად იცის, თუ რამხელა პასუხისმგებლობის წინაშეა: „ჰერტამ" პირველი ბუნდესლიგის საგზური ამ სეზონშივე უნდა მოიპოვოს! საერთოდ კი, ვფიქრობ, კარგი ტენდენციაა, ახალგაზრდა მწვრთნელებს დიდ ნდობას რომ უცხადებენ.

**- მეორე ბუნდესლიგაში შვიდწლიანი პაუზის შემდეგ ბრუნდებით. სულაც არ გვინდა ამ ლიგის დონის დაკნინება, მაგრამ, როგორ დავიჯეროთ, რომ სხვა შემოთავაზებები არ გქონოდათ.**

- რა თქმა უნდა, ჩემს ინტერესებშიც შედიოდა უფრო მაღალ დონეზე ასპარეზობა, მაგრამ, სეზონის დასრულებისთანავე სამი კონკრეტული ვარიანტიდან მაინც ბერლინში დარჩენა გადავწყვიტე. მაგალითად, ფრანკფურტის „აინტრახტი" ორწლიან კონტრაქტს მთავაზობდა, თანაც, იმავე პირობებით, რაც „ჰერტაში" მქონდა; ამას გარდა, ფაქტობრივად, მხოლოდ ჩემი ხელმოწერა აკლდა მოსკოვის „დინამოსთან" კონტრაქტს, მაგრამ ამ ვარიანტზეც უარი ვთქვი.

**- მიზეზებს ვერ დააკონკრეტებთ?**

- მოსკოვში ოთხჯერ თუ ხუთჯერ მეტ ანაზღაურებას მთავაზობდნენ, მაგრამ ოჯახის ფაქტორის და კიდევ სხვა მიზეზების გამო მაინც ბერლინში დარჩენა ვამჯობინე. დასამალი რა არის - როცა იქნება, კარიერის დასრულებაზეც უნდა დავფიქრდე და ასეთ დროს, ნებისმიერი ფეხბურთელისათვის ფინანსურ ფაქტორს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩემთვის ფული მთავარი არ ყოფილა - ერთ კვირაში 33 წელი შემისრულდება და ასეთ ასაკში კლუბი სამწლიან კონტრაქტს რომ შემოგთავაზებს, თანაც, კარიერის დასრულების შემდეგ ამ კლუბის



სტრუქტურაში დარჩენას, ვფიქრობ, აქ დარჩენით სწორი გადაწყვეტილება მივიღე.

**- ალბათ, დამატებითი მოტივაცია პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნებაც იქნება.**

- „ბენფიკასთან" ევროპის ლიგის მატჩზე 30000 კაცი მოვიდა და სტადიონს რომ ვუცქერდი, სანახევროდ ცარიელი მეგონა - ისეთი დიდია; ამას გარდა, ბერლინი ფეხბურთით ცხოვრობს: იმავე ფრაიბურგსა თუ გელზენკირხენში ერთი-ორი სპორტული გამოცემა თუ იყო, აქ კი, ლამის ორი ათეული მხოლოდ საფეხბურთო გაზეთია, ტელევიზიითაც 24 საათი „ჰერტას" პრობლემებზეა საუბარი. მთელი ეს პერიოდი ქალაქი ფეხბურთით ცხოვრობდა და მინდა, რომ ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიტანო იმ საქმეში, პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნება რომ ჰქვია. თანაც, გუნდში ნახევარი წლის მისული ვარ და კაპიტნობაზეა საუბარი, - ესეც, რა თქმა უნდა, ჩემთვის დამატებითი სტიმული იქნება.

**- ისევ წინა სეზონს დავუბრუნდეთ: „ჰერტამ" მეორე წრეში... ვერც ერთი საშინაო მატჩი ვერ მოიგო.**

- პირველი წრის მერე ეს გუნდი, ფაქტობრივად, განწირული იყო. მაგრამ მეორე წრეში იმდენი შევძელით, ბუნდესლიგაში IX-X შედეგი გვქონდა. მაგრამ თქვენი თქმის არ იყოს, სახლში მოგებას ვერაფრით ვახერხებდით; არადა, სტუმრად რამდენიმე ძლიერი მეტოქეც დავამარცხეთ, მაგრამ საშინაო მატჩებზე რაღაცნაირად დათრგუნულები გამოვდიოდით, ალბათ, უფრო ფსიქოლოგიური ტვირთი გვაწვებოდა. ნებისმიერ თამაშს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა და ზედმეტი ნერვიულობის გამოც ვერ შევძელით სეზონის უმთავრესი ამოცანის შესრულება.

**- და მაინც: დღევანდელი გადასახედიდან, ხომ არ ნანობთ, ამ ზამთარს „ჰერტაში" რომ გადახვედით?**

- ამ წლის დასაწყისში რომ ვისაუბრეთ, მაშინაც აღვნიშნე: „ჰერტაში" გადავედი, რათა თავი კვლავაც მეგრძნო ფეხბურთელად; ამ ექვსი თვის განმავლობაში მხოლოდ ერთი მატჩი გამიცდა (დისკვალიფიკაციის გამო) და, ეტყობა, კლუბის ხელმძღვანელებსაც აკმაყოფილებდათ ჩემი მომზადების დონე, თორემ, არც სამწლიან კონტრაქტს შემომთავაზებდნენ და არც კაპიტნობაზე იქნებოდა საუბარი. რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, ბუნდესლიგაში ადგილი რომ შეგვენარჩუნებინა, მაგრამ ამჟამად მართლა ახალი გამოწვევის წინაშე ვართ.

**- გასულ სეზონში „დორტმუნდთან" მატჩი ლევან კობიაშვილისთვის ბუნდესლიგაში მესამასე იყო! რაიმე განსაკუთრებული საჩუქარი ხომ არ მიგიღიათ კლუბის ხელმძღვანელთაგან?**

- ყველა კლუბს არ აქვს ერთნაირი მიდგომა მსგავსი საიუბილეო მატჩებისადმი. აი, „შალკეში" ასპარეზობისას მეასე, ასორმოცდამეათე, მეორასე და ორასორმოცდამეათე მატჩების ჩატარების შემდეგ საიუბილეო მაისურებსა და სხვადასხვა საჩუქარს მჩუქნიდნენ. თანაც, გულახდილად რომ ვთქვა, „ჰერტაში" ყოფნის დროს არავის ეზეიმებოდა, - უბრალოდ, თანაგუნდელებმა და მეტოქე ფეხბურთელებმა მომილოცეს... სულ ეს იყო.

**- 1994 წლის ზაფხულში რუსთავის „გორდაში" სადებიუტო მატჩის ჩამტარებელი 17 წლის ლევან კობიაშვილი თუ იფიქრებდა, რომ გარკვეული დროის შემდეგ ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ლიგაში მესამასე მატჩს ჩაატარებდა?**

- ამას ნამდვილად ვერაფრით ვიფიქრებდი; თუმცა, ყოველთვის სიამაყით ვიმეორებ, რომ ფეხბურთში თუკი რაიმეს მივაღწიე, ყველაფერი ჩემი შრომით იყო; მუდამ უკეთესობისკენ მივისწრაფოდი და ასევე, ყოველთვის გარკვეული მიზანი მქონდა დასახული; ამას გარდა, მიღწეულით არასდროს ვკმაყოფილდებოდი და სალ კრიტიკასაც ყოველთვის ვითვალისწინებდი. ახლაც მაქვს მიზანი: რაც შეიძლება მალე დავბრუნდე ბუნდესლიგაში, აღარაფერს ვამბობ საქართველოს ნაკრებთან ერთად წარმატებულ ასპარეზობაზე.

**- „ჰერტას" შემადგენლობაში ერთი „განსაკუთრებული" მატჩიც გქონდათ: ყოფილი კლუბის, „შალკეს" წინააღმდეგ...**

- ჩემი კარიერის საუკეთესო წლები სწორედ „შალკეში" გავატარე და მართლაც სასიამოვნო იყო ძველი ნაცნობ-მეგობრების მონახულება. მატჩის მერე იმათ გასახდელშიც შევედი და გამარჯვება მივულოცე, - ფეხბურთელებთან თუ სამწვრთნელო შტაბის წარმომადგენლებთან, ყველასთან ჩინებული ურთიერთობა მაკავშირებს და არანაირი წყენა არ დამრჩენია. თუმცა, ყველაზე სასიამოვნო მაინც ბერლინში ჩამოსული „შალკეს" ქომაგების საქციელი იყო: ტრიბუნებზე გამოფენილ ტრანსპარანტებზე... „კობი, გმადლობთ!" რომ ეწერა...

**- გერმანიაში არ ვიცით, მაგრამ საქართველოში, ბევრი მიიჩნევდა, რომ „ჰერტას" წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი მთავარი მწვრთნელის ფუნკელის შედარებით დაბალი კვალიფიკაცია იყო.**

- კვალიფიკაციას ასეთ მკაცრ შეფასებას ვერ მივცემდი, როგორც პიროვნება, უაღრესად დადებითი ადამიანია, მაგრამ, ალბათ, უფრო მეტი სიმკაცრე მოეთხოვებოდა. მით უმეტეს, გუნდს როცა არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობა აქვს, ბევრად უფრო მომთხოვნი და დისციპლინის მოყვარული მწვრთნელი ესაჭიროებოდა. თუმცა, ყველა მწვრთნელს აქვს დადებითი თუ უარყოფითი თვისებები და ამ მხრივ, არც ფუნკელი იყო გამონაკლისი.

**- საქართველოს ნაკრებზეც ვისაუბროთ. მით უფრო, რომ როგორც იქნა, ის მართლაც კოშმარული მოუგებელი სერია დამთავრდა. თანაც, თემურ ქეცბაიას ხელმძღვანელობით ჩვენმა ნაკრებმა ზედიზედ ორი წაუგებელი მატჩი ჩაატარა.**

- გეთანხმებით: მართლაც არ არის ადვილი, ამდენი ხნის განმავლობაში თამაშს რომ ვერ იგებ. აი, იმავე ესტონეთთან საშინაო შეხვედრაში, გადასარევად ნამდვილად არ გვითამაშია, მაგრამ მთავარი იყო, რომ იმ გამარჯვებით ფსიქოლოგიური წნეხი მოგვხსნოდა. კამერუნთან ბევრად უკეთ ვითამაშეთ, თანაც, ბოლო-ბოლო მუნდიალის მონაწილე გუნდი იყო; დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტსაც, რომ ამ მატჩამდე ბიჭები ერთი კვირის განმავლობაში ერთად ვიყავით. კიდევ ვიმეორებ, საქართველოს ნაკრებს იდეალურად არ უთამაშია, მაგრამ, ორი მატჩი წაუგებლად ჩავატარეთ და მთელ რიგ ეპიზოდში კომბინაციური ფეხბურთის ელემენტებიც ვაჩვენეთ.

**- გულახდილად გვითხარით: ყოველივე ამას ახლა მწვრთნელის ფაქტორმაც ხომ არ შეუწყო ხელი?**

- წლების წინ ხმამაღლა ვაფიქსირებდი საკუთარ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს ნაკრებს მხოლოდ და მხოლოდ უცხოელი მწვრთნელი სჭირდებოდა. არადა, დრომ და... ჩვენი ნაკრების შედეგებმა საპირისპირო დაამტკიცა: ჩვენ მხოლოდ ქართველი სპეციალისტი გვჭირდება! კაცი, ვინც შენ ენაზე გელაპარაკება და შექება იქნება თუ - გაბრაზება, ყველაფერ ამას... ქართულად გააკეთებს! თემურ ქეცბაიას ჩემგან წარდგენა არ სჭირდება: მოსაფერებელს მოეფერება, გასაკრიტიკებელს გააკრიტიკებს; თანაც, ყველამ ვიცით, რომ მონდომებას არავის დაუკარგავს...

**- ბოლოს და ბოლოს, ქეცბაიამ ნაკრებში ის ფეხბურთელები დააბრუნა რომლებსაც მისი უცხოელი წინამორბედები, რატომღაც ვერ თუ არ „ამჩნევდნენ".**

-სწორედ ამაშიც გამოიხატება თემურის პროფესიონალიზმი. აღარაფერს ვამბობ მარტივ ჭეშმარიტებაზე: საქართველოს ნაკრებში მხოლოდ იმ ფეხბურთელებმა უნდა ითამაშონ, კონკრეტული მომენტისათვის მზად ვინც იქნებიან. მიიჩნევს ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი, რომ კობიაშვილი ნაკრებისთვის საჭიროა, ერთი წამითაც არ დავფიქრდები და მთელ ჩემს შესაძლებლობებს მაქსიმალურად გამოვამჟღავნებ.

**- დაბოლოს, მიმდინარე მუნდიალზეც გვაინტერესებს თქვენი აზრი.**

- ჯერჯერობით ყველაზე კარგ შთაბეჭდილებას სამხრეთ ამერიკის გუნდები ტოვებენ. ბრაზილიასა და არგენტინაზე ახალი რა უნდა ვთქვა, მაგრამ აი, ურუგვაიმ და განსაკუთრებით ჩილემ მართლაც ჩინებული სანახაობრივი ფეხბურთი აჩვენა. სამხრეთამერიკული გუნდები მაქსიმალურად ცდილობენ სწრაფად თამაშს და ძირითად აქცენტსაც შეტევაზე აკეთებენ.

**- 12 წელიწადია, გერმანიაში ასპარეზობით და ამ ქვეყნის ნაკრებზე რას იტყოდით?**

- მწვრთნელის ფაქტორით დავიწყებ: ბევრს არ ეგონა, იოახიმ ლიოვი ასეთ გუნდს თუ დააყენებდა. არადა, ევროპის ჩემპიონატზე ფინალში გავიდნენ და ახლაც ერთ-ერთ ფავორიტები არიან. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ, ცოტა არ იყოს, „არაგერმანული" ფეხბურთს თამაშობენ, თანაც ლიოვმა უდიდესი ნდობა გამოუცხადა ახალგაზრდების მთელ ჯგუფს.

**- „არაგერმანულში", ალბათ, უფრო სანახაობრივი ფეხბურთი იგულისხმეთ.**

- რა თქმა უნდა; ჩინებულ შთაბეჭდილებას ტოვებს ახალგაზრდა თომას მიულერი, ვინც ერთ წელიწადში არნახული პროგრესი განიცადა; რაც მთავარია, თომას ჰესლერისა და ანდრეას მიოლერის შემდეგ კარგა ხანი გავიდა და ძლივს გამოჩნდნენ ტიპური გამთამაშებლები: იოზილი, მარინი, კროოსი; პოდოლსკი და კლოზე კი, ტრადიციულად, ნაკრებში ყოველთვის განსაკუთრებულად მოტივირებულად თამაშობენ. თუმცა, ვერავინ დამაჯერებს, რომ იგივე კლოზე ან გომესი რაიმეთი სჯობიან კევინ კურანის, ვინც ლიოვმა მუნდიალზე არ წაიყვანა. მაგრამ ეს ხომ ფეხბურთია, სადაც ყველა მწვრთნელს საკუთარი შეხედულება აქვს...

**გია ტუხაშვილი**

ამხანაგური მატჩი

# ვიტ ჯორჯია ყირიმში ნასპარტაკევს...

ქვეყნის თასის მფლობელმა „ვიტ ჯორჯიამ“ მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. ვეტერინარები ამჯერად ცხინვალის „სპარტაკს“ გაეჯიბრნენ და 1:0 მოიგეს. ეს ერთადერთი გოლი **ლაშა კასრაძის** ანგარიშზეა. ისიც უნდა ითქვას, რომ ჯორჯიელებს დიდი ანგარიშით მოგება მართებდათ, მაგრამ ვიტელებმა თავიანთი შანსები გაანიავეს. ჯერ იყო და „სპარტაკის“ მეკარე **დაუშვილთან** პირისპირ გასულ **ვახტანგ კვარაცხელიას** მართებდა გოლის გატანა, მაგრამ ცხინვალელთა მეკარემ იმარჯვა. მალევე კვარაცხელიამ მიკროტრავმა მიიღო და შეცვალეს. შემდეგ კი **ბესიკ ჩიმაკაძეს** ორი ჩინებული შანსი ჰქონდა, მაგრამ ჯერ თავური დარტყმისას, მერე კი დამატებაზე თამაშისას მიზანმა უმტყუნა. ეს ერთადერთი გოლი „ვიტ ჯორჯიამ“ მეორე ტაიმში გაიტანა. უნდა ითქვას ისიც, რომ მეორე 45 წუთი ვეტერინართა უპირატესობით წარიმართა. ჯორჯიელებმა არაერთი მწვავე შეტევა განახორციელეს, მაგრამ ერთზე მეტის გატანა ვერ შეძლეს. ვეტერინართაგან **გიორგი ბერიაშვილს** გოლის გატანის ჩინებული შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ „სპარტაკი“ გოლისგან ხარიხამ იხსნა. ლაშა კასრაძემ კი საშუალო დისტანციიდან ზუსტი დარტყმით გაიტანა და „ვიტ ჯორჯიამ“ 1:0 მოიგო.

მეტოქეებმა ამ შეხვედრაში ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

ვიტ ჯორჯია: **მიქაბერიძე (46. ძაძამია) - ხუციშვილი (46. ხანიაშვილი), ლომაია, ადამაძე (85. გოგიაშვილი), ბეჭვაია (86. სარაჯიშვილი), ვასაძე (85. ვაშაკიძე), მაისაშვილი (64. კასრაძე), გურეშიძე - ლიპარტია (85. ზაქრაძე) - ჩიმაკაძე (46. ბერიაშვილი), კვარაცხელია (7. კორიფაძე, 66. ჯანელიძე).**

სპარტაკი: **დაუშვილი (82. ბილიხოძე) - ფურცელაძე (46. სკირავა), ბოიომო, თავბერიძე, ჩალაძე (46. ბურჯალიანი) - კბილცეცხლაშვილი, მგელაძე (56. ხაწვანი), შონია, მაისურაძე (56. ნინიკაშვილი), ჯიშკარიანი - კლოვისი.**

დაბოლოს, გაცნობებთ იმასაც, რომ დღეს 25 ივნისს, „ვიტ ჯორჯია“ ორკვირიანი მოსამზადებელი შეკრების გასავლელად ყირიმში, კრიმტეპლიცაზე 23 ფეხბურთელით გაემგზავრა. ვეტერინართა შემადგენლობა ასეთია:

მეკარეები: **არდალიონ მიქაბერიძე, ჯინო რეწია, გიორგი ძაძამია;**

მცველები: **დავით ლომია, ლაშა კასრაძე, ირაკლი ჭანკვეტაძე, დავით ხურცილავა, გიგა ბეჭვაია, ჯემალ გოგიაშვილი, გურამ ადამაძე;**

ნახევარმცველები: **გიორგი ვასაძე, გურამ გურეშიძე, გიორგი კორიფაძე, გიორგი მაისაშვილი, დავით ხანიაშვილი, ირაკლი კლიმიაშვილი, დავით ჯანელიძე;**

თავდამსხმელები: **ჯაბა ლიპარტია, მიხეილ როსტიაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, ბესიკ ჩიმაკაძე, ვახტანგ კვარაცხელია, ბექა ზაქრაძე;**

კრიმტეპლიცაში „ვიტ ჯორჯია“ რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას გამართავს, რომელზეც მომდევნო ნომრებში მოგითხრობთ. მანამდე კი შეგახსენებთ, რომ ევროპის ლიგაზე „ვიტ ჯორჯია“ მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩეხურ „ბანიკს“ 15 ივლისს შინ ეთამაშება, კვირის თავზე კი სტუმრად.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

# ლობჟანიძემ ქართველებს სძლია

## ბურდული ნეფთჩიში დარჩება?



უჩა ლობჟანიძე

უკრაინაში გამართულ ერთ-ერთ ამხანაგურ შეხვედრაში ქართული დერბი შედგა. დნეპროპეტროვსკის „დნიპრომ“ „ილიჩევეცს“ 4:1 მოუგო. ამ შეხვედრაში სამმა ქართველმა ფეხბურთელმა ითამაშა - „დნიპროს“ რიგებში მცველმა **უჩა ლობჟანიძემ**, „ილიცევეცში“ კი თავდამსხმელებმა **ირაკლი ლილუაშვილმა** და **გიორგი გაბედავამ**. ლობჟანიძე სასტარტო შემადგენლობაში იყო და საწყისი 45 წუთი ითამაშა, გაბედავა **მელნიკის** ნაცვლად მე-17 წუთზე ჩაერთო თამაშში, 59-ე წუთზე კი „გაგრას“ ყოფილი ფორვარდი სწორედ თანამემამულე ლილუაშვილმა შეცვალა. გაცნობებთ იმასაც, რომ „თბილისის“ ყოფილი ფორვარდი ირაკლი ლილუაშვილი სამშობლოდან ალჩევსკის „სტალში“ გადავიდა, იქიდან სლოვაკურ „ნიტრაში“, ახლა კი ისევ უკრაინაში დაბრუნდა.

კიდევ ერთი ქართული დერბი შედგა თურქეთში. **ვაჟა თარხნიშვილის** „შერიფმა“, **ლევან გვაზავას** გროზნოს „ტერეკი“ ამხანაგურ შეხვედრაში 2:1 დაამარცხა. ორივე ჩვენებური, გვაზავაც და თარხნიშვილიც ძირითად შემადგენლობაში იყო. ამ უკანასკნელმა შეხვედრა ჩაამთავრა, გვაზავა კი შესვენებაზე შეცვალეს.

რუსულ პრემიერლიგაში მოასპარეზე **მალხაზ ასათიანმა** და მისმა „ლოკომოტივმა“ კვიპროსული „ჰაპოელი“ 2:0 დაამარცხეს. ასათიანი 46-ე წუთზე **როდოლფოს** ნაცვლად ჩაერთო თამაშში. ეს მაშინ, როცა ტაბლოზე უკვე საბოლოო ანგარიში იყო დაფიქსირებული.

უკრაინაში კიდევ ერთი ჩვენებურის გუნდი დამარცხდა. **სანდრო გურულის** ლვოვის „კარპატი“ სანკტ პეტერბურგის „ზენიტთან“ ამხანაგურ შეხვედრაში მინიმალურად 0:1 დამარცხდა. გურული 56-ე უთზე **ტკაჩუკის** ნაცვლად ჩაერთო თამაშში, ტაბლოზე საბოლოო ანგარიში ამ შემთხვევაშიც უკვე დაფიქსირებული იყო.

როგორ უკვე გაცნობეთ, ქვეყნის ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპის“ ყოფილი კაპიტანი **დავით იმედაშვილი** აზერბაიჯანულ „ხაზარში“ ჩაირიცხა. უკრაინის ჩემპიონ დონეცკის „შახტართან“ (0:2) ნაგებისა და ავსტრიულ „რიდთან“ მარცხის (0:3) შემდეგ გერმანულ შეკრებაზე მყოფი იმედაშვილის გუნდი ავსტრიულ „მატერსბურგს“ ამხანაგურად გაეჯიბრა და 2:6 წააგო. იმედაშვილი სასტარტო შემადგენლობაში იყო და დაცვის ცენტრში მარცხენა მხარეს ითამაშა.

დაბოლოს, ქართველი ნახევარმცველმა **ლადო ბურდულმა**, რომელმაც გასული სეზონი ცხინვალის „სპარტაკში“ ჩაამთავრა, აზერბაიჯანს მიაშურა. ჩვენი ინფორმაციით, ბურდული ბაქოს „ნეფთჩიში“ ვარჯიშობს“ და სავარაუდოდ კონტრაქტსაც გააფორმებს.

**დავით ცაბაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ტორპედო

# გამოცდა სამტრედიასთან

### კვასხვაძე ტორპედოშია, ჩხეტიანი უარით გაისტუმრეს...

კომპანია „ვისოლის" მფლობელობაში გადასული ქუთაისის „ტორპედო 2008" ახალი სეზონისთვის მზადებას ქუთაისში განაგრძობს. სალორიის საწვრთნელ ბაზაზე მოედნების მოწესრიგება მიმდინარეობს და გუნდი ვარჯიშებს ცენტრალურ სტადიონზე ატარებს. შაბათს, 26 ივნისს ტორპედოელები საკუთარ არენაზე უმაღლესი ლიგის ბინადარ „სამტრედიასთან" პირველ ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ. **რამაზ მუმლაძე** უშუალოდ საქმეში დააკვირდება თავის ახალ შეგირდებს და ალბათ, ამ მატჩის შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელის დარჩენა-არდარჩენის საკითხიც გადაწყდება.

გუნდი უკვე დატოვა მცველმა **თემურ ხარებავამ**, რომელიც გასულ სეზონში „ტორპედოს" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი იყო. ცოტა უფრო ადრე კლუბიდან კიდევ ერთი მცველი, **ბესიკ ხაჭიპერაძეც** წავიდა. შესაძლოა უახლოეს დღეებში მათ გზას სხვებიც დაადგნენ. თუმცა გუნდში დანაკლისზე მეტი მატებაა. სატრანსფერო ბაზარზე „ტორპედო" ერთ-ერთი ყველაზე აქტიური გუნდია. მოგეხსენებათ, ქუთათურებმა უკვე საკმაოდ ბევრი ფეხბურთელი დაიმატეს. გუნდში ჩაირიცხნენ: **თენგიზ ჩიკვილაძე** („დინამოდან"), **გიორგი დათუნაიშვილი** („ვიტ ჯორჯიადან"), **დაჩი ფოფხაძე, თორნიკე თარხნიშვილი** (ორივე ცხინვალის „სპარტაკიდან"), **ნოდარ მაჭავარიანი** („ოლიმპიდან"), და **ზაურ ხაჭიპერაძე** („სამტრედიადან").

ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ ქუთაისურ გუნდში ითამაშებს **ნიკა კვასხვაძე**, რომელიც ბოლოს „გაგრაში" ირიცხებოდა. გუნდთან ერთად იმყოფებოდა ფოთის „კოლხეთის" ყოფილი თავდამსხმელი **დავით ციცხვაია**, თუმცა მისი საკითხი გადაწყვეტილი არ არის. ტორპედოელებს ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ მეკარე **მაქსიმე ქვილითაიას** დამატების იმედი. ქვილითაიამ გასული სეზონი „ლოკომოტივში" ჩაატარა და ამ გუნდში იმ შემთხვევაში დარჩება, თუ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა გაიზრდება და „ლოკომოტივს" საუკეთესოთა შორის დატოვებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი შანსია, მან „ტორპედოში" გააგრძელოს კარიერა. რიონისპირელებს „ვიტ ჯორჯიადან" ტანმაღალი ფორვარდის **ვახტანგ კვარაცხელიას** დამატებაც სურთ, თუმცა მისი საკითხი უფრო რთულადაა. კვარაცხელიას ვეტერინარებთან კონტრაქტი აკავშირებს და თბილისელები თავიანთ გოლეადორს ვერ ელევიან.

სარწმუნო წყაროს ცნობით, „ტორპედოში" თამაშის სურვილი ჰქონდა ზაქათალის „სიმურგის" ნახევარმცველ **კახა ჩხეტიანს**, ის გუნდის ხელმძღვანელებსაც შეხვდა და მათ შორის მოლაპარაკებებიც მიმდინარეობდა, თუმცა საბოლოოდ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

ქუთაისურ გუნდში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით კლუბის პრესატაშე **რამაზ ჩხიკვაძე** ამ ეტაპზე ოფიციალურ განცხადებას არ აკეთებს. მისი თქმით, ყველაფერი უახლოეს დღეებში დალაგდება და ოფიციალურად ყველაფერი დაგეგმილ პრესკონფერენციაზე გაცხადდება.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

## ქართული სპორტი

ძიუდო — ინტერვიუ ნუგზარ ტატალაშვილთან

# როცა მოტივაცია სამშობლოა

**ხუთიოდ თვეა, რაც ახალგაზრდა გორელი ძიუდოისტი ნუგზარ ტატალაშვილი საქართველოს ნაკრების წევრი გახდა. 20 წლის სპორტსმენს ამას წინათ მადრიდშიც მიეცა თავის გამოჩენისის საშუალება და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. სამიოდე წელიწადია, რაც სამშობლოში დაბრუნდა - მისი ოჯახი რუსეთში ცხოვრობდა, იქ ვარჯიშობდა კიდეც, თუმცა გამარჯვებები მხოლოდ გორში გადმოსვლის მერე მოუმრავლდა.**



ნუგზარ ტატალაშვილი (მარჯვნიდან პირველი)

**— ნუგზარ, ალბად ძნელი იყო პირველი ნაბიჯების გადადგმა ეროვნული გუნდის რიგებში...**

— ბუნებრივია, ვიცოდი, რომ დიდების ნაკრები სულ სხვა სიმაღლეა და გაცილებით ძნელია არათუ შედეგის მიღწევა, თვით შემადგენლობაში მოხვედრაც კი. 73 კგ წონით კატეგორიაში დიდი კონკურენციაა და პირველი ნომრობა მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებს. მადლობელი ვარ ნაკრების მწვრთნელის ამირან ტოტიკაშვილის, რომელმაც ნდობა გამომიცხადა.

**— მადრიდამდე სამი ტურნირი მოილიე, სტარტზე სამივეგან ფავორიტებთან ჭიდაობა გიხდებოდა...**

— დიახ, ასე იყო თბილისშიც, პარიზშიც და ტუნისშიც. თუმცა საბოლოოდ ცუდად მგონი არცერთგან გამოვსულვარ. დაუმარცხებელი არავინაა. პარიზში, მაგალითად, პირველივე ტურში კორეელ მსოფლიოს ჩემპიონ ვანგს შევხვდი და გაფრთხილებით დავმარცხდი. არადა, ჩემ შემდეგ მან კიდევ ოთხი მოწინააღმდეგე (მათ შორის იაპონელ მსოფლიოს ჩემპიონ აკიმოტო) იპონებით ჩამოიცილა გზიდან! სწორედ ამიტომ იყო ალბათ, რომ ნაკრების თავკაცებმა კიდევ ერთხელ მომცეს მსოფლიოს თასზე ჭიდაობის საშუალება.

**— გაამართლე კიდეც მადრიდის „მსოფლიოს თასზე"?**

— პირველ მეტოქე გამოცდილი ფრანგი ლორენ მესეჟო იყო, რომელსაც ჯერ იუკო ავართვი, შემდეგ ჩემი აქტიურობით ოთხი შიდო მივალებინე და მოხსნეს კიდეც შეჯიბრებიდან (ჰანსოკომაკე). მეორე შეხვედრა განელ ემანულე ნარტეისს მოვუგე წმინდად. შემდეგ ბერძენ არის კოტანიდისის ვძლიე იოლად (გაფრთხილებების გამო მოხსნეს), ჯგუფურ ეტაპზე ბოლო მოწინააღმდეგე მასპინძელთა წარმომადგენელი მიგელ რომერო გავაკარი ტატამს. ერთადერთი შეხვედრა მომავალ ჩემპიონთან, ჩეხ იარომირ იეჟეკთან წავაგე. სამწუხაროდ, გამოუცდელობის გამო წინა შეხვედრების ფონზე ამ მოწინააღმდეგის შესაძლებლობები სათანადოდ ვერ შევაფასე. მესამე ადგილისათვის ბრძოლამდე ცოტა ხანს დასვენების საშუალება მომეცა, გულიც არ გამიტეხია და ბრაზილიელ ბრუნო მენდოსასთან წამები მეყო იპონით გასამარჯვებლად! ეს ჩემი პირველი ტიტულია დიდებში და მიხარია, რომ პირადი მწვრთნელების ანზორ თენაძისა და ნიკო ბიბილაშვილის შრომის ნაყოფი ნელ-ნელა შედეგში აისახება.

**— ამ მწვრთნელების ხელმძღვანელობითრამდენი ხანია, რაც ვარჯიშობ...**

— სრული ორი წელიწადია რაც გორის დარბაზში გადმოვედი. სამშობლოში ჩამოსვლის შემდეგ ერთხანს თბილისში ვვარჯიშობდი. შარშან ახალგაზრდულ ნაკრებში ევროპის პრიზიორი გავხდი, ხოლო თურქეთის და უნგრეთის საერთაშორისო ტურნირებზე პირველობა მოვიპოვე. მერე კი, აგერ მადრიდის ტურნირი იყო.

**— შარშან ახალგაზრდულ და წლეულს დიდების საქართველოს ჩემპიონატებზე პირველობამდე ცოტა დაგაკლდა, საერთაშორისო არენაზე ბევრად უფრო ძლიერ ფალავნებთან კი უკეთ გამოხვედი...**

— ერთი შეხედვით, მართალაც უჩვეულოდ ჩანს ეს ფაქტი. სიმართლე გითხრათ, თავადაც ვერ ამიხსნია მიზეზი. ვფიქრობ, ქვეყნის სახელით ასპარეზობა კარგი მოტივაციაა, პასუხისმგებლობას ამაღლებს. გორის დარბაზში გია თენაძის მონადინებით ხშირად გვსტუმრობენ უცხოელები და ერთობლივი ვარჯიშები ფსიქოლოგიურ მომზადებაშიც ძალიან გვეხმარება.

**ვასილ ბალახაძე**

ლეგიონი — ყაზახეთი

# ამჯერად, უგოლოდ...

რუსეთის პირველი დივიზიონის მე-17 ტურში **ოთარ მარცვალაძისა** და **ედიკ საჯაიას** „ვოლგა" ლიდერ „კრასნოდარს" ეწვია და 3:3 დაუზავდა. **ომარ თეთრაძემ** თანამემამულეები 90-90 წუთი ათამაშა. ქართველთა „ვოლგა" 29 ქულით მე-3 ადგილზეა და „კრასნოდარსა" და „ყუბანს" 2-2 ქულით ჩამორჩება. ამ შეხვედრაში „ვოლგას" ბომბარდირ (7 გოლი) მარცვალაძეს თავი არ გამოუჩენია.



ოთარ მარცვალაძე

ფინეთის იკონენლიგაში მე-10 ტურის სამი თამაში გაიმართა. **გიორგი ოსიტაშვილის** „კოტეპემ" შინ 1:2 დათმო „ჰამეენლინასთან". ქართველთა მცველი შეუცვლელად გაისარჯა. „კოტეპე" ფინეთის რანგით მე-2 დივიზიონში 18 ქულით მე-3 ადგილზეა. ჩემპიონატს 21 ქულით კვლავ ძმები **ხორგუაშვილების** „როვანიემი" ლიდერობს. **ირაკლი სირბილაძის** კპვ 15 ქულით მეოთხეა.

ყაზახეთის ჩემპიონატში **გიორგი ფეიქრიშვილის** „ატირაუმ" 1:0 მოუგო „ოკჟეტპესს", ქართველი ფეხბურთელი 70-ე წუთზე შევიდა მოედანზე. „ატირაუ" 26 ქულით მე-6 ადგილზეა.

ბელარუსში **ზაზა ჭელიძის** „დინამომ" 4:0 გაანადგურა გროდნოს „ნემანი". 23 წლის ჭელიძემ 90 წუთი ითამაშა. ბრესტელები 23 ქულით მე-6 ადგილზე გადავიდნენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მშვილდოსნობა — ევროპის დიდი პრიზი

# ეჩმიაძინიდან ქართველები დაითხოვეს

ეჩმიაძინში მიმდინარე მშვილდოსანთა ევროპის დიდ პრიზზე ჩვენებურთაგან ყველაზე შორს **ქრისტინე ესებუა** წავიდა - მეოთხედფინალამდე. ის, რომ პლეი ოფის პირველ წრეში ისვენებდა, გუშინვე გაცნობეთ, მეორეში კი მეტოქედ თანაგუნდელი **ნათია ცინცაძე** ერგო. ახალგაზრდა ხელვაჩაურელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მერვედფინალის საგზური ბრძოლით მოიპოვა. მართალია, პირველ წრეში საკმაოდ სუსტი მეტოქე - **გორან ჰაკოპიანი** ჰყავდა, მაგრამ გამოცდილი არც ცინცაძეა. ნათიამ მეტოქეს ორივე სეტში აჯობა, თან ძალზე დამაჯერებლად და დამსახურებულად მოიპოვა ესებუასთან შეხვედრის უფლება. ცხადია, ქართულ დუელში ფავორიტად უფრო გამოცდილი ესებუა მიიჩნეოდა და მანაც ორ სეტში იმარჯვა, მეოთხედფინალში კი უკრაინელ **სვეტლანა გოლიანოვასთან** ხუთსეტიან ტრილერში წააგო. ეს გოლიანოვა ქართველებს სომხეთში რისხვად მოევლინა - მერვედფინალში **ასმათ დიასამიძესაც** აჯობა. ცინცაძის დარად, დიასამიძეც პირველივე წრიდან ჩაება პლეი ოფში და მანაც იმარჯვა - იტალიელი **გუნდალინა სარტორი** დაამარცხა. დიასამიძემ გოლიანოვასთანაც ყოჩაღად დაიწყო და პირველი სეტი ფრედ დაამთავრა - 54:54, მაგრამ მომდევნოები წააგო და გავარდა. როგორც გითხარით, უკრაინელმა ამის შემდეგ ესებუაც დაამარცხა, ნახევარფინალშიც იმარჯვა და ხვალ ფინალში იტალიელ **პია კარმენ ლიონეტის** შეხვდება. პირველ წრეში ისვენებდა **ხათუნა ნარიმანიძეც**, მეორეში კი **ნინა მილჩენკოსთან** წააგო, რომელიც ხვალ ბრინჯაოსთვის იბრძოლებს საკვალიფიკაციო ეტაპის მომგებ პოლონელ **ანა სზუკალსკასთან.**

სამწუხაროდ, ვაჟთა ტურნირში მოასპარეზე ქართველები - **ტარიელ ქადიძე, ალექსანდრე აზნაურიძე, დავით ჭელიძე** და **დავით ლეკვეიშვილი** პირველივე შეხვედრებიდან გამოვარდნენ. აქ სანუგეშოს მხოლოდ იმას თუ ვიტყვით, რომ ქადიძემაც მოუგო ერთი სეტი პოლონელ **მაციუ ვიატრს** და აზნაურიძემაც ირანელ **ფიროუზ ერფანიან ბიოუკნეზად რაჰპეიმას.**

დღეს ტურნირზე გუნდური პირველობების დღეა. ჩვენი ქალთა ნაკრები პირველ წრეში ისვენებს და სომხეთ-რუსეთს შორის მოგებულს ელოდება. უფრო სწორად - პირდაპირ რუსებს, რადგან სომხებთან მათი მარცხი წარმოუდგენელია. რუსებს ხვდებიან ვაჟებიც, ოღონდ - პირველივე წრეში.

**ირაკლი თავაძე**

ძველი ნაცნობი

# შუშაკმა ზაგრები ჩაიბარა

ჩვენმა ძველმა ნაცნობმა, თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ნაკრების ყოფილმა თავკაცმა **ივო შუშაკმა** ახალი გუნდი ჩაიბარა. ხორვატული „ოსიეკისა" და სომხური „მიკას" შემდეგ შუშაკი ისევ სამშობლოში დასაქმდა, ის „ზაგრების" მთავარი მწვრთნელია. ინფორმაცია ვეტერანმა ფეხბურთელმა **ლევან ნოდიამ** მოგვაწოდა, რომელსაც თავად შუშაკი ხორვატიიდან დაუკავშირდა. მოგეხსენებათ, თბილისის „დინამოში" მუშაობისას (2002-04 წლ.) ივო შუშაკის თანაშემწე ბატონი ლევანის ძმა, **გივი ნოდია** იყო. გივი ნოდიას გარდაცვალების შემდეგ, ივო შუშაკი ნოდიების ოჯახთან მეგობრობას აგრძელებს და თავისი ახალი გუნდის შესახებ, მან ბატონ ლევანს ამცნო.

სხვათა შორის, ხორვატიის ჩემპიონატის გასულ სეზონში „ზაგრები" ძლივს გადაურჩა დაქვეითებას, დედაქალაქელებმა საფეხურითა და 4 ქულით გაასწრეს გავარდნილ გუნდს. ახალ სეზონში „ზაგრები" მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას გეგმავს და საამისოდ ივო შუშაკი მიიწვიეს. ჩვენი ინფორმაციით, არ არის გამორიცხული ამ ხორვატულ კლუბში უახლოეს მომავალში ქართველი ფეხბურთელიც გამოჩნდეს. ვნახოთ, ვინ ითამაშებს შუშაკთან ხორვატიაში...

**დავით ცაბაძე**

რეგიონი

# მოსწავლეთა სპარტაკიადა ტყიბულში

ტყიბულში მოსწავლეთა სპარტაკიადა ტრადიციულია და მუნიციპალიტეტის თასზე ტარდება რაიონის ყველა საჯარო სკოლის მონაწილეობით. საკრებულო და გამგეობა, საგანმანათლებლო რესურსცენტრი ყველაფერს აკეთებენ, რომ მატერიალურად და მორალურად წახალისონ საჯარო სკოლები თუ ცალკეული სპორტსმენები, მიმზიდველი, ხალისიანი და საინტერესო გახადონ შეჯიბრებები. წლეულს სპარტაკიადა მეშვიდედ ჩატარდა და პირველობისთვის ბრძოლაში სპორტის 8 სახეობაში 18 საჯარო სკოლის 1200-მდე მოსწავლე ჩაერთო. შეჯიბრებებში დიდი ინტერესით მონაწილეობენ სოფლის სკოლები. 10 პირველობიდან ოთხში მათ გაიმარჯვეს. საბოლოოდ ჩემპიონობა №1 საჯარო სკოლამ დაისაკუთრა, მეორე და მესამე ადგილზე შესაბამისად გავიდნენ №6 და ორპირის საჯარო სკოლები.

სპარტაკიადის შედეგები გააანალიზდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის **დავით ქათამაძის,** გამგებელ **ლევან დოხნაძის,** რესურსცენტრის უფროსის **რამაზ ცერცვაძის,** საჯარო სკოლის დირექტორების, ფიზიკური აღზრდის მასწავლებლების, რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის მესვეურების მონაწილეობით. ყურადღება გამახვილდა ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე, სკოლის ხელმძღვანელთა ყურადღება მიექცა სპორტის მასობრიობით მოსწავლე-ახალგაზრდობის ჯანსაღი სულისკვეთებით აღზრდას, მათი ზნეობრივი ნორმების, პატრიოტიზმისა და მეგობრული თვისებების ჩამოყალიბებას და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებულთა გარდა დაჯილდოვდნენ სპარტაკიადის პროგრამის ცალკეულ სახეობებში – მძლეოსნობაში, ფეხბურთში, კალათბურთში (გოგონები ბიჭები), ფრენბურთში (გოგონები, ბიჭები), მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, შაშში, მკლავჭიდში გამარჯვებულები და პრიზიორები.

**ვაჟა მერკვილაძე**
ტყიბულიდან

ძიუდო

მოსკოვის დიდი მუზარადი

# მოსკოვური გუნდით ცნობილია

## ძირითადად ტოკიოსიც

სექტემბერში ტოკიოში გასამართ ძიუდოისტთა მსოფლიოს პირველობამდე საერთაშორისო კალენდარში დიდი შეჯიბრებები კანტი-კუნტად თუ-ლა დარჩა, მაგრამ უფულობის გამო ჩვენები უმრავლეს მათგანში ვერ გამოდიან. ასეთ გამორჩეულ შეჯიბრებათაგან ქართველთა კალენდარში მხოლოდ 3-4 ივლისს მოსკოვში გასამართი „დიდი მუზარადის" ტურნირია, სადაც ნაკრების თავკაც **ამირან ტოტიკაშვილის** გადაწყვეტილებით **დავით ასუმბანი, ამირან პაპინაშვილი** (ორივე - 60), **შალვა ქარდავა, პაატა მერებაშვილი** (66), **ზაზა კედელაშვილი, ნუგზარ ტატალაშვილი** (73), **ლევან წიკლაური, დავით ქევხიშვილი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი, მინდია ბოდაველი** (90), **ირაკლი ცირეკიძე, ლომერ ჟორჟოლიანი** (100), **ლაშა გუჯეჯიანი, ადამ ოქრუაშვილი** (+100) იჭიდავებენ.

ჩვენი ნაკრებისთვის ეს სასტარტო ტურნირია და .გასაგებია, მწვრთნელებს იქ ისინი მიჰყავთ, რომლებსაც ლამის განაღდებული აქვთ ტოკიოში მსოფლიოს პირველობაზე წასვლა. მოგეხსენებათ, წლეულს ძიუდოში ისევ ძველი წესი ამოქმედდა - წონაში ერთი ქვეყნიდან ორი კაცის გამოყვანა შეიძლება. მოცემული შემადგენლობიდან ჩანს, რომ ტოტიკაშვილი ამ წესის გამოყენებას ყველა წონაში აპირებს, თუმცა ჯერ მაინც არ შეიძლება იმის თქმა, რომ მსოფლიოზე ეს გუნდი უცვლელად იჭიდავებს. იაპონიამდე კიდევ



ამირან ტოტიკაშვილი

სამი შეკრებაა დაგეგმილი და ცვლილებები სულაც არაა გამორიცხული, თუმცა ვინმეს შეცვლაზე მეტად რომელიმეს ამოვარდნაა მოსალოდნელი. რეალისტები რომ ვიყოთ, წონებში ამათზე უკეთესნი დღეს მართლაც თითქმის არავინ გვყავს, მწვრთნელმა რომელიმე რომ შეცვალოს. აი, ვინმემ რომ იმედები ვერ გაუმართლოს, მსოფლიოსთვის არ იყოს სასურველ ფორმაში და საერთოდ დატოვოს სახლში, ეს კი სავსებით შესაძლებელია. ამიტომ ამბობს ტოტიკაშვილი, რომ ტოკიოში იჭიდავებს ის, ვინც თავს იმ შეკრებებზეც გამოიჩენს მუყაითი ვარჯიშითო. უბრალოდ, მან ამ ეტაპზე უმთავრესი კანდიდატები შეარჩია და სასტარტო ტურნირზე ჭიდაობის შანსი არ დაუკარგა, დანარჩენი კი მართლაც მათზეა დამოკიდებული.

ტოკიოსთვის შეგულებულ ამ შემადგენლობას თუ გადავხედავთ, გაახალგაზრდავების პროცესი აშკარაა - ძველი გუნდიდან სულ რამდენიმე კაცი დარჩა, მაგრამ ჯერ ასაკის გამო ვეტერანები არც მათ ეთქმით. გუნდის უმრავლესობისთვის მსოფლიოს პირველობა სადებიუტო იქნება - ამ რანგის ტურნირზე ჭიდაობის გამოცდილება მხოლოდ კედელაშვილს, ქევხიშვილს, ლიპარტელიანს, ცირეკიძეს და გუჯეჯიანს აქვთ, თუმცა, ვიმეორებთ - მათი ტოკიოში ჭიდაობა ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. თან ამათგან ლიპარტელიანი თვითონაც ახალი თაობის წარმომადგენელია, თუმცა გუნდში უკვე მისი მომდევნო თაობაც გამოჩნდა - ტატალაშვილი, რომელიც შარშან ახალგაზრდებში ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. წლეულს მან საკმაოდ დამაიმედებლად იჭიდავა რამდენიმე უცხოურ ტურნირში. მაგალითად, პარიზში „დიდ მუზარადზე" კორეელმა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა და ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა **კი ჩუნ ვანგმა** მხოლოდ გაფრთხილებით აჯობა. შარშანვე ახალგაზრდულ ნაკრებში ჭიდაობდა მერებაშვილიც, რომელმაც 20 და 23-წლიანებში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. სამწუხაროდ, მას ფრიად გაუჭირდა უფროსებში ადაპტაცია, თუმცა წლეულს წონითი კატეგორია შეიცვალა, იმედია, მისი წარუმატებლობა დასრულდება და სრულად გაამართლებს ჯერ კიდევ წლების წინ, ჭაბუკთა ტურნირებში გამოჩენისას გაცემულ ავანსებს.

მოსკოვის ტურნირს, როგორც სასტარტოს, სულ სხვა დატვირთვა ეძლევა - იქ შედეგზე უფრო მნიშვნელოვანი ტექნიკური, ტაქტიკური, ფიზიკური თუ სხვა სახის ასპექტებია მთავარი. თუ ვინმეს ზედმეტი წონა აწუხებს, აქედანვე უნდა შეუდგეს მის დაკლებას და გეგმურად „დადგეს" საკუთარ წონაზე, რათა ბოლოს ერთბაშად არ მოუწიოს დაკლებამ და შეჯიბრებას გამოფიტული არ შეხვდეს; თუ ვინმეს ახალი ილეთების გამოცდა სურს, ახლა უნდა გამოცადოს და მსოფლიომდე კიდევ დახვეწოს; თუ ვინმეს ჭიდაობაში ხარვეზები აქვს, მწვრთნელები ახლავე გამოავლენენ და მსოფლიომდე დარჩენილ დროში მის გამოსწორებაზე იზრუნებენ... ერთი სიტყვით, ამგვარი შეჯიბრებების როლი დიდი ტურნირებისთვის მზადებაში ძალიან დიდია, ოღონდ ის უფრო შავი სამუშაოებით შემოიფარგლება და არა მედლებით.

ნაკრები გუშინწინ დაბრუნდა ბათუმიდან, სადაც განტვირთვა-მოთელვისთვის გამიზნული შეკრება გაიარა. იქ აქცენტი დასვენებაზე იყო გადატანილი და არა ვარჯიშზე, თუმცა არც უამისოდ ყოფილან. უბრალოდ, ეს არ იყო ჩვეული დატვირთვები. თუნდაც აქედან გამომდინარე, ჩვენები მოსკოვის ტურნირზე ვერ იქნებიან ფორმაში და მათგან დიდ შედეგებს ნუ ველოდებით, მაგრამ თავისი ახსნა ამასაც აქვს - ჯერ არც უნდა იყვნენ ფორმაში, რადგან პიკს მსოფლიოსთვის უნდა მიაღწიონ. ამასთან, ახლა რომ დაეკლოთ წონა, იგივეს გაკეთება მსოფლიოსთვისაც მოუწევდათ, ეს კი ორმაგი დატვირთვა და გამოფიტვის წინაპირობაა.

სავარაუდოდ, მოსკოვის ტურნირი ძალიან ძლიერი უნდა გამოვიდეს - წამყვანი ქვეყნების უმეტესობა იქ აპირებს ჩასვლას და ბოლო სტარტის გავლას. ორგანიზატორთა წინასწარი მონაცემებით, ვაჟთა ტურნირში სამი ოლიმპიური ჩემპიონი გამოვა - ჩვენი ირაკლი ცირეკიძე, გერმანელი **ოლე ბიშოფი** (81) და მონღოლი **ნაიდინ ტუვშინბაიარი** (100), ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონები - ავსტრიელი **ლუდვიგ პაიშერი** (60) და ფრანგი **ბენჟამინ დარბელე** (73), ბრაზილიელი ოლიმპიური ბრინჯაოს მედალოსანი **ფლავიო კანტო** (81), მონღოლი მსოფლიოს ჩემპიონი **ცაგანბაატარ ხაშბაატარი** (66). ამასთან, უძლიერესი გუნდით გამოვლენ თვით რუსები, მონაწილეთა შორის კი უკლებლივ ყველა წამყვანი ქვეყანაა დასახელებული - იაპონია, კორეა, ჰოლანდია, გერმანია, მონღოლეთი, ბრაზილია, კუბა... ოღონდ ჯერ ყველას წინასწარი შემადგენლობები არაა ცნობილი.

ჩვენები მსოფლიოს პირველობისთვის მზადების დასკვნით ეტაპზე 16 ივლისიდან გადავლენ, როცა ბაკურიანში გაემგზავრებიან 16-დღიან შეკრებაზე. მანამდე მოსკოვიდან დაბრუნებული სპორტსმენები თავიანთ დარბაზებში ივარჯიშებენ, ბაკურიანში კი ძირითადი აქცენტი ფიზიკურ მომზადებას, სუნთქვის პრობლემის მოგვარებას დაეთმობა. დილაობით ლეიბზეც ივარჯიშებენ, მაგრამ ყურადღების ძირითადი საგანი მაინც შტანგები, სირბილი, კროსები და ამგვარი ძალისმიერი ვარჯიშები იქნება.

მეორე შეკრების ჩატარების ადგილი ჯერ უცნობია - ძირითადად კლიმატურ პირობებზეა დამოკიდებული, ასარჩევი კი დუშეთსა და ბორჯომს შორისაა. თუ აგვისტოს დასაწყისშიც ახლანდელივით გაუსაძლისი სიცხეები არ იქნება, ბორჯომში წავლენ, თუ არადა - დუშეთში. დასკვნითი შეკრება თბილისშია დანიშნული - 22 აგვისტოდან, 2 სექტემბერს კი ტოკიოში გაფრინდებიან და ჩემპიონატის დაწყებამდე ადაპტაციისთვის იქ გაივლიან ერთკვირიან შეკრებას.

**ირაკლი თავაძე**

# ზემომაჩხაანელი გოგონები ტატამზე



წონებში გამარჯვებულები

სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება საერთო წინსვლის საწინდარია და ეს ყველამ კარგად იცის. დუშეთში ახალი სპორტული კომპლექსი გაიხსნა თუ არა, შეკრება - ტურნირებმაც იმატა ამ მაღალმთიან მხარეში. განსაკუთრებით ეს მოჭიდავეებზე ითქმის.

ახლახან დუშეთმა ძიუდოისტ გოგონებს შორის საქართველოს პირველობას უმასპინძლა. თბილისის, ბათუმის, გორის, ყვარლის, ახმეტის, ბორჯომის და დუშეთის გარდა სოფლების, ბოდბესა და ზემო მაჩხაანის ძიუდოისტი გოგონებიც გამოვიდნენ ტატამზე.

ზემომაჩხაანელმა (დედოფლისწყარო) დებმა **მარიამ** და **ხატია ჯანაშვილებმა**, მაგალითად, მეორე საპრიზო ადგილებიც კი მოიპოვეს, შესაბამისად, 52 და 57 კგ წონით კატეგორიებში. ტრადიციებს რომ დიდი ძალა აქვს, ზემომაჩხაანელ გოგონებზეც ითქმის - ზემო მაჩხაანიდან არიან „ძიუდოს პაპა" **ბიძინა მაზიაშვილი** (1928-2004) და მის მოწაფე, ევროპის ჩემპიონ (1968, ძიუდოს ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი **ანზორ მარტყოფლიშვილი**. წინამორბედებიც ასეთი უნდა...

ვერ ვიტყვით, რომ დუშეთში დაძაბული კონკურენცია იყო. ზოგიერთ წონაში კვარცხლბეკიც არ შეივსო, მაგრამ მალე ყველაფერი დალაგდება.

გაგაცნობთ ასაკობრივ ჯგუფებში გამარჯვებულებს.

ახალგაზრდები: **სალომე მჭედლიშვილი** (40კგ), **ოლღა ალადაშვილი** (44, ორივე ძიუდოს აკადემია), **გურანდა შოთაძე** (48, ბათუმი), **ნონა მერაბიშვილი** (52, ძიუდოს აკადემია), **ანა მინდიაშვილი** (57, გორი), **შორენა შარაძე** (63, ბათუმი), **თეონა სუხიტაშვილი** (70, ყვარელი), **სოფო სომხიშვილი** (70), **ნათია ყავრელიშვილი** (78), **თამარ ლომიძე** (+78, სამივე - ძიუდოს აკადემია).

უფროსი ასაკი: **დარინა აბულაძე** (48, ბათუმი), **მარიამ ციხელაშვილი** (52, ბორჯომი), **მაია ტარუაშვილი** (57, გორი), შორენა შარაძე, **ნინო ოძელაშვილი** (70, ძიუდოს აკადემია), **ირინა ლეონიძე** (+78, ბათუმი).

ივლისში გოგონები კვლავ დუშეთში გაივლიან საწვრთნელ შეკრებას, შემდეგ თურქეთში გაემგზავრებიან მეორე შეკრებაზე და მსოფლიოს თასზე იზმირში გამოვლენ. მათ ბაქოს საერთაშორისო ტურნირიც ელოდებათ აგვისტოში, 17-19 სექტემბერს კი სოფიაში (ბულგარეთი) ახალგაზრდების ევროპის პირველობა გაიმართება.

**გაბრიელ ბარჯაძე**

ჩოგბურთი

# ნახევარფინალების ჯერიც დადგა

ცნობილ ქართველ ჩოგბურთელს, მრავალი მოზარდის დამფრთიანებელ **რენა აბჟანდაძეს** 24 ივნისს 70 წელი შეუსრულდებოდა. გუშინ საიუბილეო თარიღი ზეიმით აღნიშნეს „დინამოს" საჩოგბურთო ბაზაზე, სადაც „რენას და დათოს თასის" ტრადიციული გათამაშება მიმდინარეობს. შეჯიბრებაში 12 ქვეყნის წარმომადგენლები ეცილებიან ერთმანეთს პირველობას.

გასულ კვირას **ლეილა მესხის** ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე თბილისის თასზე 14-წლიანი ვაჟების ფინალში ითამაშა **შოთა მეფარიძემ**. მას „დინამოზეც" შეუძლია, იგივე გაიმეოროს, თუკი თურქი **მერთ ზინგირლის** მძლეველ (6:1, 6:1) **ალექსანდრე ბაკშის** დამარცხებას შეძლებს; შოთამ გუშინ ორ სეტში სომეხ **სურენ ბალდასარიანს** მოუგო - 6:2, 6:1. დღეს, ასევე, ნახევარფინალში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს მეორე ნომრად განთესილი **მიქაელ ავეტისიანი** (სომხეთი) და **ანტონ ბადნარუკი** (ბელარუსი), რომლებმაც, შესაბამისად, რუს **ბორის პოკოტილოვს** (6:2, 6:3) და გერმანელ **დავიდ ფან რიზენს** (6:3, 6:2) აჯობეს. ამ ასაკის გოგონებში ჯიქურ მიიწევს ფინალისკენ მე-3 ნომრად განთესილი **ლიზა ნადიბაიძე**. გუშინ მან თურქი **მუგე ტოფსელი** დაჯაბნა - 6:3, 6:2 და დღეს **მარია ბოცას** (საბერძნეთი) მძლეველ (6:1, 7:5) **იანა მინასიანს (მოლდოვა)** შეხვდება. მეორე წყვილში **ანა ყიფიანი** და **ოლგა შარიპოვა** (ორივე - რუსეთი) გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას. მეოთხედფინალში ანამ სომეხ **ავეტიკ თუმანიანს** დააყრევინა ფარ-ხმალი - 7:5, 6:3, ხოლო შარიპოვამ **მარიამ დგებუაძე** ჩამოიშორა გზიდან - 4:6, 6:3, 6:2. წინა ტურნირის გამარჯვებული **ეგე ტომი** (თურქეთი) მეორე წრეში ბერძენ ბოცას დანებდა - 6:4, 2:6, 5:7.

**წყვილები. გოგონები.** მარიამ კაციტაძე (საქართველო), არევიკ თუმანიანი (სომხეთი)-ეკატერინე ლასარეიშვილი (საქართველო), ჯესიკა რეგერი (გერმანია) 2:6, 7:5, 12:10, მინა გუნარ კარამერსანი, ეგე ტომი (თურქეთი)-ანა ახალკაცი, მარიამ ბოლქვაძე (საქართველო) 6:0, 6:3, ხატია ქურხული, მარიამ მითაიშვილი (საქართველო)-ელიზავეტა პაკანოშვილი (ბელარუსი), კატერინა სტოიანოვა (უკრაინა) 2:6, 6:3, 10:7, მარიამ დგებუაძე, ლიზა ნადიბაიძე (საქართველო)-ანა დობორჯგინიძე, მარგალიტა ჭიჭაშვილი (საქართველო) 6:4, 4:6, 10:5.

16-წლიან ვაჟებს შორის გადამწყვეტ პაექრობაში მონაწილეობის კარგი შანსი აქვს წინა ტურნირის გამარჯვებულ **მიხეილ ხმიადაშვილს**. გუშინ მან ყოფილი ბორჯომელი **ფილიპ ალექსანიანი** (რუსეთი) დაამარცხა 6:3, 6:1 და ნახევარფინალში რუს **კონსტანტინ სტრიჟკოვს** დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა მეოთხედფინალში თბილისის თასის ფინალისტ **ალექსანდრე დავლიანიძეს** მოუგო - 6:4, 6:1. შეჯიბრებას დაემშვიდობა **ლუკა ფილფანი**. მას **ანდრეი რეჩკინმა** (რუსეთი) აჯობა 6:4, 6:1. სამაგიეროდ, ტურნირზე მეორე ნომრად განთესილმა **ნიკა დოლიძემ** ბელარუსი **ანტონ ჰერასიმჩუკი** დაჯაბნა (6:3, 6:0) და დღეს რუსული ბარიერის გადალახვას შეეცდება.

გოგონათა ნახევარფინალში ოთხი ქართველი ითამაშებს, ოღონდ ორი მათგანი (**თინა ბოხუა** და წინა ტურნირის გამარჯვებული **თამარ ფიჩხაძე**) მოსკოველია. **ბარბარე ერისთავს** პირველ სეტში მედგარი წინააღმდეგობა გაუწია **ნაზ კარაგოზიმ**, თუმცა თურქმა მისი გადარჩენა მაინც ვერ შეძლო - 5:7, აი, მეორე ხელი კი, ფაქტობრივად, უბრძოლველად დათმო 0:6. ამ წარმატებით ერისთავს წინა ტურნირში მარცხისთვის რევანშის შანსი მიეცა - თბილისის თასზე მან ნახევარფინალი თანაგუნდელ **ანი გოგვაძესთან** დათმო. ანიმ გუშინ **ირინე ყარანგოზიშვილი** დაამარცხა - 6:3, 6:4. თინა ბოხუა-**სუდ იუგე** (თურქეთი) 6:0, 6:3, თამარ ფიჩხაძე-**დიანა ტოკარი** (უკრაინა) - 6:3, 6:3.

**წყვილები. ვაჟები.** ნიკა დოლიძე, ლუკა ფილფანი (საქართველო)-გიორგი ლოქაპიშვილი (საქართველო), დენის ილმაზი (რუსეთი) 6:3, 6:4, გიორგი ჯავახიშვილი (საქართველო), ანდრეი რეჩკინი (რუსეთი)-პასკალ კლოსი, პიოტრ ლომაცკი (პოლონეთი) 7:5, 7:5. **გოგონები.** ელენე კოკაშვილი, ანი პოპიაშვილი (საქართველო)-ალინა აგეიჩიკი (ბელარუსი), მარიამ სხირტლაძე (საქართველო) 6:3,6:4.

**ვაჟა დანელია**

# მაკა ჩახნაშვილი წინ მიიწევს



ჩახნაშვილი პერიგოში

ფრანგულ პერიგოში 25-ათასიანი ტურნირი მიმდინარეობს, რომელშიც კარგად ასპარეზობს 27 წლის **მაკა ჩახნაშვილი** (201). ძირითად ბადეში თამაში სამმა ქართველმა დაიწყო, თუმცა **ანა ჯიქია** პირველივე წრეში გამოეთიშა ასპარეზობას, ხოლო **სოფიო შაფათავა** (302) - მეორეში. ჩვენ თხრობა მეორე წრიდან შევწყვიტეთ, სადაც მე-4 ნომრად განთესილი ჩახნაშვილი 19 წლის ფრანგ **მირტილ ჟორჟს** (818) შეხვდა. მაკას, მოულოდნელად, გაუჭირდა საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებული ჩოგბურთელის ძლევა - 7:5, 7:6 (4). შაფათავა მე-8 ნომრად განთესილ ფრანგ **სტეფანი ვონგსუტისთან** (263) დამარცხდა - 4:6, 3:6. გუშინ ჩახნაშვილი ბრაზილიელ **მარია-ფერნანდა ალვეშს** (239) შეხვდა და იოლად მოუგო - 6:2, 6:1. ჩახნაშვილი ლიტველ **ლინა სტანჩიუტესთან** (275) ერთად წყვილთა ბადის ნახევარფინალშიცაა გასული.

პორტუგალიურ ალკობაკაში მე-2 ნომრად განთესილმა **სოფიო ქვაცაბაიამ** მერვედფინალში ესპანელი **ისაბელ რაპისარდა-კალვო** დაამარცხა - 7:5, 3:0 (ესპანელმა ბრძოლა შეწყვიტა), მეოთხედფინალში კი ქართველი კანადელ **მელანი გლორიას** ეთამაშება.

კალიფორნიის ქალაქ ჩიკოში წარმატებით დაიწყო ასპარეზობა 18 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილმა**, რომელმაც პირველ წრეში ამერიკელი **ფილიპ სიმონდსი** დაამარცხა - 6:1, 7:5.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



კალათბურთი

*ევროწილისყრა*

# გრინი, უაითი, ბლექი და...

## შავ-თეთრი საკლუბო პერსპექტივა

8 ივლისს ესპანურ ბარსელონაში ევროთასების წილისყრა გაიმართება. 70-მდე კლუბი სამ შეჯიბრებაში ჯგუფებად გადანაწილდება. ყველაზე პრესტიჟულია ევროლიგა, შემდეგ - ევროთასი, ხოლო რიგით მესამეა ევროჩელენჯი.

კარგი საკალათბურთო ქვეყნების პრიზიორები ევროლიგაზე ითამაშებენ, ნორმალური ქვეყნების გუნდები - ევროთასზე, ხოლო შედარებით სუსტები ევროჩელენჯზე. ვინც საერთოდ არ ითამაშებს, იმ ქვეყნებს როგორი იარლიყი უნდა მივაკრათ? უსუსტესები? თუ უფრო უარესები...

ჰოდა, ასეთ არასახარბიელო საკალათბურთო ქვეყნებს შორის კიდევ ერთხელ გაერია საქართველო - 2010-2011 წლების სეზონის ევროტურნირებში არც ერთი ქართული კლუბი არ ითამაშებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ევროპის საკლუბო რუკაზე საქართველო ისევე არ ჩანს, როგორც სომხეთი, ანდორა და კიდევ რამდენიმე ჩვენნაირი.

ამ საუკუნეში ევროთასებზე ქართულმა გუნდმა სამჯერ იასპარეზა. პირველად „დინამომ" 2002 წელს სამგუნდიან ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა, აზერბაიჯანულ „ნტდ-დევონს" გაასწრო და პლეი ოფის პირველ ეტაპზე უკრაინულ „აზოვმაშთან" ორივე მატჩი წააგო. იმ წელს რუსულმა „ლოკომოტივმა" ჩელენჯლიგაში თამაშზე უარი თქვა და „დინამოს" საქმე ამანაც გაუიოლა.

დადგა 2007 წელი და რუსთაველებმა ევროპის თასის გათამაშებაში მონაწილეობა გადაწყვიტეს, თუმცა „ამსტერდამთან" ორივე მატჩი წააგეს. „ენერჯიმ" მომდევნო წელსაც იგივე შედეგი უჩვენა, ოღონდ ამჯერად უკრაინულ „სუმიხიმპრომთან" დათმო.

მოკლედ, ამ საუკუნეში ევროტურნირებზე ჩატარებული 10 მატჩიდან 2 გვაქვს მოგებული (ორივე აზერბაიჯანელებთან)...

...მაგრამ იცით, რა არის საწყენი? ბოლო დროს საქართველოში კლუბის ერთი მეპატრონე არ გამოჩნდა, რომელიც ოდნავ მეტს გადაიხდის სამი ამერიკელის ჩამოსაყვანად. საქართველოს ჩემპიონატის ნარჩევ კალათბურთელებს სამი უცხოელი რომ დაემატოს, თუნდაც ისეთ კლუბს მივიღებთ, როგორიც „სუმიხიმპრომი" იყო და ევროჩელენჯის ჯგუფურ ეტაპზე ღირსეულადაც ითამაშებს.

დავივიწყოთ, რომ ევროპაზე არგასვლა სირცხვილია, იმაზეც არაფერი ვთქვათ, რომ ევროტურნირის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა უამრავ გულშემატკივარს დარბაზში დააბრუნებს, მაგრამ სანაკრებო თემას სად წავუვალთ? **ზაზა ფაჩულიათი** გაძლიერებული ნაკრებისგან ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრას ველით, სასტარტო ხუთეულის მიღმა კი არ ვიყურებით. ვინ უნდა შეცვალოს თუნდაც მარკოიშვილი მსროლელის პოზიციაზე? - წლეულს გრინმა, გაისად ვინმე უაითმა, შემდეგ - ბლექმა... ასე წინ ვერ წავალთ. სწორედ იმისთვისაა საჭირო ევროტურნირებზე რეგულარულად თამაში, რომ საქართველოს ჩემპიონატის კალათბურთელები ძლიერ ევროპულ კლუბებთან ჭიდილში გამოიწრთონ და ამა თუ იმ მატჩში მარკოიშვილის ნაცვლად მოედანზე თამამად შევიდნენ.

იმედს დავიტოვებ, რომ ზუსტად ერთი წლის შემდეგაც არ მომიწევს ასეთი შინაარსის სტატიის დაწერა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

*გამოხმაურება*

# კონრადი: მარკოიშვილის დატოვება ყველაზე მეტად გვსურდა...

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში შემოგთავაზეთ **მანუჩარ მარკოიშვილის** ინტერვიუ, რომელშიც ქართველი კალათბურთელი „კანტუსთან" გაფორმებული კონტრაქტის ცხელ-ცხელ ამბებს გვიყვებოდა. ამ მოვლენას იტალიური გამოცემებიც გამოეხმაურნენ.

აი, რა წერია „კანტუს" ოფიციალურ ვებ-საიტზე: „მწვრთნელ **ანდრეა ტრინჩიერის** შემდეგ „კანტუში" დარჩენა მანუჩარ მარკოიშვილმაც გადაწყვიტა, რაც კლუბის ფანებისთვის სასიხარულო ამბავია. ქართველმა უკანახაზელმა გულშემატკივრებს თავისი თამაშით შეაყვარა თავი. იგი რეგულარულ ჩემპიონატში საშუალოდ 11.7 ქულას აგროვებდა, ხოლო პლეი ოფში ეს მაჩვენებელი გააუმჯობესა: 13.3 ქულა.

*- კონტრაქტი გავაფორმეთ იმ კალათბურთელთან, რომლის გუნდში დატოვება ყველაზე მეტად გვსურდა. მანუჩართან 2-წლიან (1+1) ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი, რაც იმას ნიშნავს, რომ მომდევნო ორ სეზონში მსროლელის პოზიციაზე საიმედო მოთამაშე გვეყოლება"*, - განაცხადა „კანტუს" პრეზიდენტმა **ალექსანდრ კონრადმა.**"

მარკოიშვილისა და ტრინჩიერის გარდა გუნდში დარჩა **ვლადიმირ მიკოვი.** „კანტუს" ხელმძღვანელობა ევროთასისთვის სერიოზულად გაძლიერებაზე ფიქრობს. ამ მიმართულებით მორიგი ნაბიჯი **დენის მარკონატოს** კონტრაქტზე დაყოლიება იქნება. ეს კალათბურთელი 2002-03 წლების სეზონში მანუსთან ერთად „ბენეტონში" თამაშობდა და დიდი ხნის განმავლობაში „სკუადრა აძურას" ღირსებას იცავდა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



*მოსალოდნელი ტრანსფერი*

# ჰოსლი კატალონიისკენ

როგორც ჩანს, ქართული პასპორტის მიღება ნაკრების ახალწვეულ **ქუინტონ ჰოსლის** ძლიერი კლუბის მოძებნაში ძალიან წაადგება. ევროპის სოლიდურ ლიგებში (ესპანეთში, იტალიაში...) ამერიკელ კალათბურთელებზე ლიმიტია დაწესებული. ჰოსლის კი ამიერიდან ევროპელად განიხილავენ... სწორედ ესაა ხაზგასმული იტალიურ გამოცემა „ოლ-რაუნდში" ქუინტონ ჰოსლის ტრანსფერზე მსჯელობისას.

იტალიელთა თქმით, საქართველოს ნაკრების ფორვარდის შეძენა კატალონიურ „ხუვენტუდს" სურს. ეს ესპანური კლუბი ჰოსლით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც გაირკვა, რომ **კლეი ტაკერი** NBA-ში აპირებს წასვლას. კატალონიელებს ჰოსლი სწორედ ტაკერის შემცვლელად ეგულებათ.

„ოლ რაუნდის" იმავე სტატიაში სხვა მოსალოდნელ თუ განხორციელებულ ტრანსფერებზეცაა ლაპარაკი. აღნიშნულია, რომ **დევიდ ლოგანი** პოლონური „პროკომიდან" ესპანურ „კახა ლაბორალში" გადავიდა. შეგახსენებთ, რომ ლოგანი პოლონეთის ნაკრების გამთამაშებელია. ბელგიელი **ტომას ვან დენ შპიგელის** „რეალში" დარჩენას კი დიდი კითხვის ნიშანი დაესვა.

დავუბრუნდეთ ქუინტონ ჰოსლის. იგი ესპანეთში 2008 წელსაც თამაშობდა - მადრიდის „რეალის" ღირსებას იცავდა. შემდეგ „გალათასარაიში" გადავიდა, საიდანაც იზმირის „ალიაღა პეტკიმის" შემადგენლობაში მოხვდა. გასული სეზონი სწორედ იზმირელთა შემადგენლობაში გაატარა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

*საქართველოს ნაკრების მეტოქე*

# პოლონეთი ლიდერების გარეშე შეიკრიბა

## 400 ათასი ევრობასკეტზე მოხვედრისთვის



მარცხნიდან: მარცინ გორტატი, კშიშტოფ როსშიკი, მაცეი ლამპე

შესარჩევ ეტაპზე ჩვენმა პირველმა მეტოქემ, პოლონეთის ნაკრებმა ვარჯიში დაიწყო. შეკრების პირველ დღეს სლავებმა სამედიცინო შემოწმება გაიარეს და წვრთნას ლიდერების გარეშე შეუდგნენ. ვროცლავში შეკრებილ გუნდს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ადამ ლუდვიჩუკმა** გამოუცხადა - ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვების შემთხვევაში 400 ათას ევროს მიიღებთო.

**იგორ გრიშჩუკის** ხელმძღვანელობით პოლონელები საწყის საკონტროლო შეხვედრებს რიგაში ლატვიის ნაკრებთან გამართავენ (10 და 11 ივლისს), 16 ივლისს ფლორენციის ოთხგუნდიან ტურნირში ჩაერთვებიან (იტალია, ბულგარეთი, მაკედონია), ხოლო შეკრების დასკვნით ეტაპზე ლოძში სლოვაკებს უმასპინძლებენ (24 და 25 ივლისს).

*- ვფიქრობთ, 7 საკონტროლო მატჩი საკმარისია. გვსურდა უფრო ძლიერ მეტოქეებთან შეხვედრაც, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეები სხვა გრაფიკით ემზადებიან და მათთან დაპირისპირება ვერ მოხერხდა,* - განაცხადა ნაკრების მენეჯერმა **ჰუბერტ ჰეიმანმა.**

მთავარმა მწვრთნელმა იგორ გრიშჩუკმა შემადგენლობაზე ილაპარაკა:

*- რთულ სიტუაციაში ვართ. კარგი იქნებოდა, მთელი გუნდი თავიდანვე შეკრებილიყო, მაგრამ გვესმის, რომ უცხოურ ლიგებში ჩვენს წამყვან კალათბურთელებს რთული სეზონები ჰქონდათ და ისინი ნელ-ნელა შემოგვიერთდებიან. ამ ეტაპზე საშუალება გვაქვს, ახალგაზრდებს დავაკვირდეთ და მათგან ღირსეული კანდიდატები შევარჩიოთ.*

პოლონეთის ნაკრების შეკრებაზე არ გამოცხადდნენ **მიხალ ინგერსკი** („ბილბაო", ესპანეთი), **შიმონ შევჩიკი** („აველინო", იტალია) და **დამიან კულიგი** („პოლფარმა"). მათი არყოფნის მიზეზი სხვადასხვა სახის ტრავმაა. შესაძლოა, ისინი ნაკრებს ოფიციალურ მატჩებშიც ვერ დაეხმარნონ. შევჩიკს მხედველობის პრობლემები აქვს და ოპერაციასაც გეგმავს.

პოლონეთის ნაკრებს 21 ივლისს შეუერთდება „ორლანდო მეჯიქის" ცენტრი **მარცინ გორტატი.** მანამდე მას კემპები აქვს ჩასატარებელი. **მაცეი ლამპეს, ლუკაშ კოზარეკსა** და **დევიდ ლოგანს** მწვრთნელი უფრო ადრე ელის - ისინი გუნდს ფლორენციის საერთაშორისო ტურნირის წინ უნდა შეუერთდნენ. თუმცა, ზოგიერთი წყაროს ცნობით, ესპანურ „კახა ლაბორალში" გადასული ლოგანი შეიძლება ნაკრებში აღარც გამოცხადდეს. მის შემცვლელად იგორ გრიშჩუკს **ტომას კელატი** ეგულება, რომელიც შარშან **თორნიკე შენგელიას** გვერდით „ვალენსიაში" თამაშობდა. კელატის „რეალი" და „ბარსელონა" ეპატიჟებიან. იგი პოლონეთში 5 ივლისს ჩავა.

სამედიცინო შემოწმებამ **პაველ კიკოვსკის** (სლოვენიის „ოლიმპია") ფეხის ტრავმა აღმოუჩინა და იგი მომდევნო ორ კვირას ინდივიდუალურად ივარჯიშებს.

შეკრებაზე დებიუტანტებთან ერთად ვარჯიშობს გამოცდილი **ფილიპ დილევიჩი,** რომელსაც ეროვნულ ნაკრებში 80 მატჩი აქვს ჩატარებული. პოლონეთის ნაკრების დებიუტანტების ჩამოთვლა ჩვენს მკითხველს ნაკლებად დააინტერესებს...

400 ათასი ევროს თემას დავუბრუნდებით და შეგახსენებთ, რომ ამ პრემიის მოსაგებად საჭიროა ჯგუფში (საქართველო, პოლონეთი, პორტუგალია, ბულგარეთი, ბელგია) პირველი ან მეორე ადგილის დაკავება. თუმცა ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ ორი მეორეადგილოსანი გავა (სამი ჯგუფიდან).

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჭადრაკი

# ძაგნიძემ მოგებით დაიწყო





სომხურ საკურორტო ქალაქ ჯერმუკში გუშინ დაიწყო მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან-პრის სერიით გათვალისწინებული მე-4 ტურნირი 6 ქვეყნის 12 წარმომადგენლის მონაწილეობით. სტარტი საკმაოდ დაძაბული და უშელავათო აღმოჩნდა. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ 6-დან 5 ორთაბრძოლა შედეგიანად დამთავრდა. მხოლოდ ევროპის ორ-ორგზის ჩემპიონები — შვედი **პია კრამლინგი** და რუსი **ტატიანა კოსინცევა** დაზავდნენ 107-ე სვლაზე.

წარმატებით დაიწყო შეჯიბრება **ნანა ძაგნიძემ.** ქართველმა დიდოსტატმა შავი ფიგურებით მე-40 სვლაზე აიძულა ბულგარელი ევროპის ჩემპიონი **ანტუანეტა სტეფანოვა,** საათი გაეჩერებინა. ნანამ მე-16 სვლაზე მეტოქის მიერ შეწირული მსუბუქი ფიგურა თამაშის ბოლომდე შეინარჩუნა. 33-ე სვლიდან პარტია ასე წარიმართა:

ნ. ძაგნიძე



ა. სტეფანოვა

| | |
|---|---|
| 33. b4 ეc8 | 34. e4  მxb4 |
| 35. ეb1 კxd5 | 36. ეxb4 კc4 |
| 37. ეb7 ეc5 | 38. მფf4 ეxa5 |
| 39. ეe5 ეa2 | 40. ეc7 კb5 |

*და თეთრები დანებდნენ.*



ნანა ძაგნიძე

სამწუხაროდ, პირველ ტურში დამარცხდა **მაია ჩიბურდანიძე.** 31-ე სვლაზე მას სომეხმა **ელინა დანიელიანმა** მოუგო.

დანარჩენი შეხვედრები: **ბაირა კოვანოვა** (რუსეთი)-**მარტა ფიერრო** (ეკვადორი) 1:0, **სიუ იუჰუა** (ჩინეთი)-**ლილით მკრტიჩიანი** (სომხეთი) 0:1, **ჰოუ იფანი** (ჩინეთი)-**შენ იანი** (ჩინეთი) 0:1.

**ვაჟა დანელია**

ჩემი ეროვნული ბიბლიოთეკა

რუმინული გამოძახილი



რიჩი დიქსონი და ალან სოლომონსი

# დიქსონი და სოლომონსი თავიანთ საქმიანობას დადებითად აფასებენ

**რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში ახლახან IRB-ს ერთა თასის გათამაშება დასრულდა. ტურნირი ნამიბიის ნაკრებმა მოიგო. ეს პირველი შემთხვევაა, როცა IRB-ს მიერ ორგანიზებული ტურნირი მეორე დონის სარაგბო ქვეყნის ნაკრებმა მოიგო. შეჯიბრებას მსოფლიო რაგბის ხელმძღვანელი ორგანოს წარმომადგენლები, ჩვენთვის კარგად ნაცნობი რიჩი დიქსონი და ალან სოლომონსი ესწრებოდნენ.**

**შეგახსენებთ, რომ შოტლანდიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი რიჩი დიქსონი ამჟამად საქართველოს რაგბის კავშირის კონსულტანტია, ხოლო სამხრეთ აფრიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ყოფილი ასისტენტი ალან სოლომონსი საქართველოს ხშირი სტუმარია და ქართულ რაგბის კონსულტაციებით ეხმარება.**

**IRB-ს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა წერილი, რომელიც რუმინეთში გამართულ შეჯიბრებას ეხება და ჩვენი ნაცნობი მაღალჩინოსნების კომენტარია მოყვანილი. გთავაზობთ ამ წერილის შემოკლებულ ვარიანტს.**

IRB-ს ერთა თასის გათამაშება ნელ-ნელა დაიხვეწა და ერთ-ერთ საუკეთესო, პრესტიჟულ ტურნირად იქცა. IRB-ს განვითარების პროგრამამ მიზანს მიაღწია.

ეს შეჯიბრება მეხუთედ ჩატარდა და ნიშანდობლივია, რომ არგენტინისა და შოტლანდიის A ნაკრებები ბოლო ადგილიდან თავის დასაღწევად ებრძოდნენ ერთმანეთს. აშკარაა, რომ მეორე დონის სარაგბო ქვეყნების - რუმინეთის, საქართველოსა და ნამიბიის ნაკრებების თამაშის ხარისხი გაუმჯობესდა. აფრიკის კონტინენტის მეორე გუნდმა სულაც ტურნირი მოიგო.

მეორე ადგილი დამსახურებულად დაიკავა რუმინეთის ნაკრებმა, რომელმაც შემოქმედებითი, თანამედროვე რაგბი ითამაშა და უარი თქვა ტრადიციულ, შერკინების მიძალებით თამაშზე.

საქართველოს ნაკრები, რომელსაც ძირითადი შემადგენლობის ბევრი მოთამაშე აკლდა, ურიგოდ არ გამოიყურებოდა. იტალიის A ნაკრებმა კი განსნავლულობა და საკმაოდ ხარისხიანი რაგბი გვაჩვენა. ბუქარესტში აუტანელი სიცხეების მიუხედავად, მოთამაშეებსა და მწვრთნელებს მცდელობა არ დაუკლიათ, რათა რაგბის ქომაგებს შესანიშნავი სარაგბო სპექტაკლები ენახათ.

IRB-ს მაღალჩინოსანი ალან სოლომონსი ბუქარესტში სპეციალურად იმისთვის ჩამოვიდა, რომ ნამიბიის, რუმინეთისა და საქართველოს ნაკრებების ვარჯიშებს დასწრებოდა.

„ამ ქვეყნების ნაკრებთა მწვრთნელებთან და რაგბის განვითარების მენეჯერებთან მჭიდრო კონტაქტი მაქვს და აქტიურად ვთანამშრომლობთ. ხშირად ჩავდივარ მათთან და კლუბების მატჩებს თვალს ვადევნებ.

ერთად ვაკეთებთ ანალიზს, ვაფასებთ მორაგბეთა ოსტატობის დონეს, ვადგენთ სტრატეგიულ გეგმებს, ვმსჯელობთ ტაქტიკასა და მორაგბეთა მომზადების მეთოდებზე. საკმაოდ ხშირი კონსულტაციები მაქვს რიჩი დიქსონთან, რომელიც საქართველოს რაგბის განვითარების სტრატეგიის შექმნაში ეხმარება.

მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი შეფასებები არ არის დირექტივა. ჩვენ ვურთიერთობთ, ვაძლევთ რჩევებს, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თვითონ რას და როგორ გააკეთებენ. არ არსებობს დოგმა, არსებობს სხვადასხვა მიდგომა, მენტალიტეტი, ენა, მაგრამ მთავარია შედეგი და ამას ჩვენ ნელ-ნელა ვაღწევთ," - თქვა ალან სოლომონსმა

რაგბის განვითარების პროექტის მენეჯერი რიჩი დიქსონი კმაყოფილია გაწეული საქმიანობით. ის ცდილობდა, ხაზი გაესვა იმ ფაქტისთვის, რომ ის საქართველოსა და რუმინეთის რაგბის ხელმძღვანელი ორგანოების უმთავრესი კონსულტანტია.

„IRB-ს განვითარების მენეჯერ ბრუს კუკს და ალან სოლომონსს მიაჩნდათ, რომ პროექტის განხორციელებისთვის ხშირი კონტაქტია საჭირო. როცა რუმინეთის რაგბის ფედერაციასთან დავიწყე მუშაობა, აღმოვაჩინე, რომ აუცილებელი იყო მეტი დიალოგი. რუმინული რაგბის განვითარების მენეჯერი დანიელ მიტრეა სწორი მიმართულებით მუშაობდა და არ იყო აუცილებელი ახალი ან რადიკალურად განსხვავებული პროექტების შემუშავება. რუმინეთში ერთადერთი პრობლემა უფროსი თაობის მორაგბეთა მენტალიტეტი, მათი ძველებური ხედვა იყო.

პოტენციალი უზარმაზარია, ახლა საჭიროა IRB-ს მიერ გამოყოფილი თანხა სწორად მივმართოთ. ჩვენ ვიცით, საით მივდივართ. რაგბის უსაზღვრო სიყვარულით და უდიდესი ენთუზიაზმით მათ ბევრის მიღწევა შეუძლიათ," - იმედოვნებს რიჩი დიქსონი

ტესტები

# რუჟერი საფრანგეთში დაბრუნდა, იაშვილი ისევ თადარიგშია

საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა **მარკ ლივერმონმა** ორი კვირის წინ სამხრეთ აფრიკასთან 17:45 წაგებული მატჩის შემდეგ გუნდის შემადგენლობაში ექვსი ცვლილება განახორციელა. „ლე ბლე" ხვალ ბუენოს აირესში დაუპირისპირდება არგენტინის ნაკრებს, რომელიც ბოლო წლებში ფრანგებისთვის უხერხულ მეტოქედ ჩამოყალიბდა. „პუმების" წინააღმდეგ არ ითამაშებენ **ორელიან რუჟერი, მაქსიმ მერმოსი, დავიდ მარტი, რომენ მიო-შლუსკი** და **ტომა დომინგო.** სათადარიგოთა შორის იქნება **დიმიტრი იაშვილი,** რომელმაც ერთი კვირის წინ „ლე ბლეს" არგენტინის A ნაკრებთან მატჩში უკაპიტნა.

*„ჩვენ უპირატესობა დასვენებულ, ფიზიკურად უკეთეს კონდიციებში მყოფ მორაგბეებს მივანიჭეთ. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ უკმაყოფილო ვართ იმ მორაგბეებით, ვინც არგენტინასთან არ დავაყენეთ. მათ წლეულს ბრწყინვალე სეზონი ჰქონდათ როგორც კლუბებში, ისე ნაკრებში,"* - თქვა საფრანგეთის ნაკრების თავკაცმა მარკ ლივერმონმა.

აღსანიშნავია, რომ ცხრა და ათი ნომრების წყვილს ლივერმონი ჯიუტად არ ცვლის და უკვე მეათე მატჩია, გუნდის შეტევების ორგანიზებას **მორგან პარას** და **ფრანსუა ტრინ-დუკს** ანდობს. რაგბის ფრანგ სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ამ დუეტს ლივერმონი 2011 წლის მსოფლიო თასისთვის ამზადებს.

რაც შეეხება „ლე ბლეს" ერთ-ერთ საუკეთესო მორაგბეს ორელიან რუჟერის, მას შვილი შეეძინა, რის გამოც საფრანგეთის ნაკრების ბანაკი დატოვა და საფრანგეთში გაემგზავრა.

საფრანგეთი: **15. ჟერომ პორიკალი, 14. ვინსენ კლერი, 13. ლიონელ მაზარსი, 12. ფლორინ ფრიცი, 11. ჟულიენ მალზიო, 10. ფრანსუა ტრინ-დუკი, 9. მორგან პარა.**

**1. ფაბიენ ბარკელა, 2. დიმიტრი სჟარჟევსკი, 3. ნიკოლა მასი, 4. პასკალ პაპე, 5. ლიონელ ნალე, 6. ტიერი დუსოტუარი, 7. ჟულიენ ბონერი, 8. ლუი პიკამოლი**

**16. ჟილემ ჟირადო, 17. ჟან ბატისტ პუ, 18. ჟულიენ პიერი, 19. გრეგ ლამბოლეი, 20. დიმიტრი იაშვილი, 21. დავიდ სკრელა, 22. კლემან პუატრენო.**

# უელსელებს ოცი წლის ბიჭი დაგეზავს

უელსის ნაკრები ივნისის ტესტების ბოლო შეხვედრას ახალი ზელანდიის ნაკრებთან ჰემილტონში გამართავს. **უორენ გეთლენდი** მშობლიურ ქალაქში ნაკრების ძირითადი მგეზავის **სტივენ ჯოუნზის** გარეშე ჩადის. სტივენი ერთი კვირის წინ „ოლ ბლექსთან" წაგებულ შეხვედრაში დაშავდა და მას ოცი წლის **დენ ბიგარი** შეცვლის.

დენს ჰემილტონში დიდი გამოცდა ელის. მისი ვიზავი, არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მგეზავი **დენ კარტერი** იქნება, რომელიც ამჟამად ბრწყინვალე ფორმაშია. ახალგაზრდა უელსელს ჯერჯერობით სულ ორი კეპი აქვს მოხვეჭილი. მისი დებიუტი კანადის ნაკრებთან შედგა 2008 წლის ნოემბრის ტესტებისას. მეორე კეპი კი შარშანდელი ნოემბრის მონაგარია სამოას ნაკრებთან.

*„დენის არ სჭირდება ჩემგან რჩევის მიცემა. ის თავდაჯერებული ახალგაზრდა კაცია. მას 14 წლის ასაკიდან ვიცნობ და ერთი, რაც შემიძლია ვთქვა, ისაა, რომ ფანტასტიკური ახალგაზრდა მორაგბეა. დარწმუნებული ვარ, არ ინერვიულებს და ისეთი მორაგბის წინააღმდეგ თამაშისას, დენი კარტერი რომაა, ბევრ სასარგებლოს ისწავლის, გაიზრდება,"* - თქვა უელსის ნაკრების ფეხით თამაშის მწვრთნელმა **ნეილ ჯენკინსმა.**

უელსის ნაკრებს კიდევ ერთი წამყვანი მორაგბე, შუამარბი **ენდრიუ ბიშოპი** დააკლდება. მის ნაცვლად **ჯონათან დევისი** ითამაშებს.

უელსელთა თავკაცი სიხარულს ვერ მალავს მშობლიურ ქალაქში სტუმრობით.

*„ჰემილტონი უმშვენიერესი ადგილია მთელ დედამიწაზე. ადგილობრივებმა ბრწყინვალე მასპინძლობა გაგვიწიეს. ახალზელანდიელ და უელსელ ხალხებს რაგბი სიგიჟემდე უყვართ. ეს კი ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც ერთმანეთს დიდ პატივს ვცემთ.*

*ყველაფერს ვილონებთ, რომ ეს სიყვარული და პატივისცემა გავამართლოთ, ბოლომდე თავდადებით ვიბრძოლებთ და ვეცდებით, მატჩის შემდეგ მინდორი თავაწეულებმა დავტოვოთ,"* - თქვა გეთლენდმა.

უელსი: **15. ლი ბირნი, 14. ლეიგ ჰალფპენი, 13. ჯონათან დევისი, 12. ჯიმი რობერტსი, 11. ტომ პრაიდი, 10. დენ ბიგარი, 9. მაიკ ფილიპსი**

**1. პაულ ჯეიმზი, 2. მეთიუ რისი, 3. ადამ ჯოუნზი, 4. ბრედლი დევისი, 5. ალუნ ვინ ჯოუნზი, 6. ჯონათან ტომასი, 7. გევინ ტომასი, 8. რაიან ჯოუნზი**

**16. ჰიუ ბენეტი, 17. კრეიგ მიტჩელი, 18. დენიოლ ჯოუნზი, 19. რობ მაკკასკერი, 20. რიჩარდ რისი, 21. სტივენ ჯოუნზი, 22. ვილ ჰარისი**



# მალეტმა ცხრა კაცი შეცვალა

იტალიის ნაკრები ხვალ ისტ ლონდონის „ბაფალო სითი სთედიუმზე" სამხრეთ აფრიკის ნაკრებს ზედიზედ მეორედ დაუპირისპირდება. „სკუადრა აძურას" მთავარმა მწვრთნელმა, სამხრეთაფრიკელმა **ნიკ მალეტმა,** 13:29 წაგებული მატჩის შემდეგ გუნდში ერთბაშად ცხრა ცვლილება განახორციელა.



მთლიანად შეიცვალა მეორე ხაზი. ამ პოზიციაზე „ბოკეს" წინააღმდეგ **კარლო დელ ფავა** და **მარკო ბორტოლამი** ითამაშებენ. მესამე ხაზში მალეტმა სამიდან ორი მოთამაშე შეცვალა. რვა ნომერ **სერჯო პარისეს,** რომელიც წარმოშობით არგენტინელია, პარტნიორობას **პოლ დერბიშირი** და **მანოა ვოსავაი** გაუწევენ. ვოსავაის „სკუადრა აძურაში" სამი წელია, არ უთამაშია.

პირველ ხაზში შერკინების კვაჭ **ლეონარდო ჯილარდინის** შეცვლის **ფაბიო ონგარო.** ერთი სიტყვით, მალეტი თითქოს კმაყოფილი იყო პირველ მატჩში გუნდის თამაშით, მაგრამ შემადგენლობა მაინც საგრძნობლად გაახალისა. ცხადია, იტალიელებს გამარჯვების იმედი არ აქვთ, მით უფრო, რომ „ბოკეს" რამდენიმე წამყვანი მორაგბე დაუბრუნდა, მაგრამ ყველა მოთამაშის საქმეში ნახვა მალეტის უმთავრესი მოვალეობაა.

იტალია: **15. ლუკ მაკლინი, 14. მიკელე სეპე, 13. გონსალო კანალე, 12. ანდრეა მასი, 11. მირკო ბერგამასკო, 10. კრეიგ გოვერი, 9. საიმონ პიკონე**

**1. სალვატორე პერუჯინი, 2. ფაბიო ონგარო, 3. ლორენცო ჩიტადინი, 4. კარლო დელ ფავა, 5. მარკო ბორტოლამი, 6. პაულ დერბიშირი, 7. მანოა ვოსავაი, 8. სერჯო პარისე**

**16. ლეონარდო ჯირალდინი, 17. ფრანკო სბარალინი, 18. კვენტინ გელდენჰაუზი, 19. ალესანდრო ძანი, 20. ტიტო ტებალდი, 21. რიკარდო ბოჩინო, 22. მატეო პრატიკეტი**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძე**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ისინი ოკეანის გაღმა მიდიან




ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ნებისმიერი კლუბის გენერალური მენეჯერი ისურვებდა დრაფტზე ისეთი მოთამაშის არჩევას, რომელიც პირველივე სეზონში სარგებლობას მოუტანდა თავის გუნდს. მაგრამ ხანდახან, კლუბების ხელმძღვანელები უპირატესობას ანიჭებენ ნიჭიერ, თუმცა გამოუცდელ მოთამაშეებს და მათ ევროპულ კლუბებში უშვებენ სათამაშო პრაქტიკის მისაღებად. მართალია, ასეთი მიდგომა დიდ მოთმინებას მოითხოვს, მაგრამ საბოლოო შედეგი შეიძლება მეტად შთამბეჭდავი გამოვიდეს.

გავიხსენოთ „ოკლაჰომა-სიტის" ცენტრ **სერჟ იბაკას** მაგალითი, რომელიც ორი წლის წინ დრაფტზე 24-ე ნომრად აირჩიეს. 2008-09 წლების სეზონი მან ესპანეთის „მანრესაში" ჩაატარა, რის შემდეგაც იბაკა NBA-ში გადავიდა და **სკოტ ბრუქსის** სქემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა გახდა. რეგულარულ ჩემპიონატში კონგოელი კალათბურთელი 18 წუთში 6.3 ქულასა და 5.4 მოხსნას აგროვებდა, მისმა კლუბმა კი 50 გამარჯვება მოიპოვა და პლეი ოფში გავიდა. ასეთი მაგალითები კიდევ მრავლადაა: **მანუ ჯინობილი, ლუის სკოლა, ჰედო თურქოგლუ, პეჟა სტოიაკოვიჩი, რუდი ფერნანდესი**... ისინი NBA-ში დრაფტის ჩატარებისთანავე არ მისულან - ევროპაში დარჩნენ, სათამაშო პრაქტიკა მიიღეს და შემდეგ გაემგზავრნენ ოკეანის გაღმა.

ამჟამად „ბებერ კონტინენტზე" ბევრი მაღალი კლასის შემსრულებელია, რომლებზეც უფლებები NBA-ის კლუბებს გააჩნიათ. დღეს თქვენს ყურადღებას ყველაზე საინტერესო კალათბურთელებზე შევაჩერებთ, რომლებსაც უკვე ამ ზაფხულს შეუძლიათ მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში თავის გამოჩენა. რა თქმა უნდა, ამ ჯგუფიდან, პირველ რიგში, ორი კალათბურთელი უნდა გამოვყოთ: **რიკი რუბიო და ტიაგო სპლიტერი.**

## რიკი რუბიო (ბარსელონა)

მე-5 ნომერი (2009 წლის დრაფტი), „მინესოტა". სტატისტიკა ევროლიგაზე: 6.8 ქულა, 2.9 მოხსნა, 4.1 პასი

ესპანური კალათბურთის „ოქროს ბიჭმა" შარშან ზაფხულში უარი განაცხადა „მინესოტაში" გადასვლაზე და სამშობლოში დარჩა. ამ ნაბიჯმა ასი პროცენტით გაამართლა. „ბარსელონაში" გადაბარგების შემდეგ მან ძირითადი გამთამაშებლის როლი მიიღო და ევროლიგაზე გაიმარჯვა.

რუბიო სულ რაღაც 19 წლისაა, მაგრამ უკვე დიდი გამოცდილება აქვს. ესპანეთის ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატი მოიგო, ითამაშა 2008 წლის ოლიმპიადის ფინალში, დიდი ხანია გამოდის ევროთასებზე... სტაბილური თამაში, არასტანდარტული მოქმედება და თამაშის კარგი აღქმა მას ევროპის ყველაზე პერსპექტიულ კალათბურთელად აქცევს.

არც ისე დიდი ხნის წინ რუბიომ განაცხადა, რომ მას NBA-ში 2011 წლამდე არ უნდა ელოდონ, რის შემდეგაც ის შეძლებს „ბარსელონასთან" ერთმილიონიანი კონტრაქტის გამოსყიდვას. რიკი ჯერ არ ადასტურებს, რომ ოკეანისგაღმა მაინცდამაინც „მინესოტაში" დაიწყებს თამაშს, თუმცა NBA-ში გადასვლას არ უარყოფს. თავად „ტიმბერვულვზს" დიდი შრომა მოუწევს რიკის თავის რიგებში ჩასარიცხად, რადგან ესპანელს აუტსაიდერ გუნდში თამაშის სურვილი არ აქვს. ასე რომ, „მგლებმა" შემადგენლობის გაძლიერებაზე უნდა იზრუნოს, რუბიოს შესაბამისი პარტნიორები შეურჩიოს და პლეი ოფში გავიდეს.

ამასთან, ვერავინ იძლევა იმის გარანტიას, რომ რუბიო სწორედ 2011 წელს გადავა NBA-ში. მსოფლიოს უძლიერეს ლიგას მორიგი ლოკაუტი ემუქრება და იქ ფინანსური საკითხებიც მოსაგვარებელია. ამიტომაც, რუბიოს ამერიკაში გამგზავრების ყველაზე რეალური თარიღი - 2012 წელია. საქმე ისაა, რომ მომავალ ზაფხულს კლუბებს დავა ექნებათ NBA-სთან ახალი კოლექტიური ხელშეკრულების გამო, რომელიც ხელფასების შემცირებისკენ და მოთამაშეთა უფლებების შეკვეცისკენ იქნება მიმართული. ამ საკითხის გადაწყვეტა შეიძლება გაიწელოს და არავინ იძლევა იმის გარანტიას, რომ ლიგა და პროფკავშირი 2011 წლის ივლისისთვის ან აგვისტოსთვის კონსენსუსს მიაღწევენ. ამიტომაც გაურკვევლობის ნაცვლად, რუბიოს ურჩევნია „ბარსელონაში" ჰქონდეს სტაბილური შემოსავალი.

გარდა ამისა, თუ რიკი 2012 წლამდე მოიცდის, ამ შემთხვევაში ვალდებული არ იქნება NBA-ის კლუბთან დებიუტანტის კონტრაქტს მოაწეროს ხელი - რიკიმ, შესაძლოა, 10-16 მილიონს გამოჰკრას ხელი და არა დებიუტანტის 3.6 მილიონს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია „ნაიკთან" რუბიოს კონტრაქტი, რომელიც კიდევ ორი წელი იქნება ძალაში. საიდუმლო არ არის, რომ კომპანიის ხელმძღვანელობას უნდა ესპანელი მარკეტინგულად უფრო მომგებიან ქალაქში გადავიდეს და არა მინეაპოლისში.

## ტიაგო სპლიტერი (კახა ლაბორალი)

28-ე ნომერი (2007 წლის დრაფტი), „სან ანტონიო". სტატისტიკა ევროლიგაზე: 12.0 ქულა, 5.4 მოხსნა, 1.8 პასი

ბრაზილიელმა ცენტრმა დრაფტზე თავისი კანდიდატურა ჯერ კიდევ 2004 წელს დააყენა, მაგრამ 2007 წელს აირჩიეს. მართალია, „სან ანტონიოს" ის პრესტიჟულ ნომრად არ აუყვანია, მაგრამ ტეხასური კლუბი კმაყოფილი უნდა იყოს ამ არჩევანით. როგორც არასდროს, „სპურსს" წინა ხაზის ახალგაზრდა მოთამაშე სჭირდება და სპლიტერი ამ ვაკანსიას იდეალურად ერგება. ამ დღეებში ტიაგომ ესპანეთის ჩემპიონატი მოიგო - „კახა ლაბორალმა" ფინალში სამ მატჩში მოუგო უძლიერეს „ბარსელონას", ბრაზილიელი კი დამსახურებულად დაასახელეს ფინალური სერიის საუკეთესო მოთამაშედ.

25 წლის სპლიტერი მზად არის NBA-ში დებიუტისთვის. ამას ადასტურებს სტატისტიკა ესპანეთის ჩემპიონატში: 16 ქულა, 7 მოხსნა და თამაშიდან ტყორცნების 58-პროცენტიანი რეალიზაცია. ბრაზილიელი კარგად მოძრაობს, შესანიშნავად ესმის კალათბურთი, ფარქვეშ მეტოქეთა მოსატყუებლად ფინტების მთელს არსენალს ფლობს... მას NBA-ში გადასვლის პრობლემა არ უნდა შეექმნას და „სან ანტონიოს" გულშემატკივრებს სრული უფლება აქვთ მისგან სადებიუტო მატჩებში ორმაგ დუბლებს ელოდონ.

„კახა ლაბორალთან" კონტრაქტის თანახმად, სპლიტერმა შეიძლება გამოიყენოს პუნქტი და ესპანური კლუბი „სან ანტონიოს" სასარგებლოდ დატოვოს. თავის მხრივ, ტეხასური კლუბი არა დებიუტანტის, არამედ საშუალო დონის კონტრაქტს (5.8 მილიონი წელიწადში) შესთავაზებს ბრაზილიელს, რადგან ჰაერივით სჭირდება ახალი სისხლი.

## ნიკოლა პეკოვიჩი (პანათინაიკოსი)

31-ე ნომერი (2008 წლის დრაფტი), „მინესოტა". სტატისტიკა ევროლიგაზე: 14.8 ქულა, 3.5 მოხსნა

ძლიერი და აგრესიული ცენტრი ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მოთამაშეა თავის ამპლუაში მთელ ევროპაში. თუ 40 წუთზე გადავითვლით, ის 30 ქულას აგროვებდა საბერძნეთის ჩემპიონატში და 27 ქულას - ევროლიგაზე. 24 წლის **პეკოვიჩი** გამოადგება „მინესოტას" და კარგი დამატება გახდება **კევინ ლავისთვისა** და **ელ ჯეფერსონისთვის**, რომლებსაც დიდად არ უყვართ კონტაქტური თამაში.

ნიკოლას გარკვეული პრობლემები აქვს მოხსნების მხრივ, თუმცა **ჟელკო ობრადოვიჩის** ხელმძღვანელობით ფარქვეშ ბრძოლის საიდუმლოებებს ეზიარა, რაც NBA-ში ძალიან გამოადგება. „პანათინაიკოსმა" 3-მილიონიანი კონტრაქტი შესთავაზა პეკოვიჩს, მაგრამ ჩერნოგორიელს, სავარაუდოდ, ამ ზაფხულს ამერიკაში წასვლა აქვს განზრახული.

## სერხიო ლული (რეალი)

34-ე ნომერი (2009 წლის დრაფტი), „ჰიუსტონი". სტატისტიკა ევროლიგაზე: 9.5 ქულა, 1.2 მოხსნა, 2.0 პასი

წინა დრაფტზე „როკეტსმა" 2 მილიონად შეიძინა **ლულზე** უფლებები და არც ნანობს ამას. მაღალმა მცველმა გასულ წელს შეტევაში უმატა თამაშს და შორიდან სროლები დახვეწა. ესპანელი ათლეტურია, სიამოვნებით მიდის სწრაფ გარღვევებზე და ჩატენებიც ეხერხება. „ჰიუსტონს" გაუჭირდება ლულის თავის რიგებში გადაბირება, რადგან „რეალთან" ხელშეკრულება 2011 წლამდეა გათვალისწინებული და კალათბურთელს უახლოეს დროში კონტრაქტის გაგრძელება შეუძლია. თანაც თავად ლულსაც კარგად ესმის, რომ ჯერ მზად არ არის **აარონ ბრუქსთან** და **კაილ ლოურისთან** კონკურენციისთვის.

## ომერ აშიქი (ფენერბაჰჩე)

36-ე ნომერი (2008 წლის დრაფტი), „ჩიკაგო". სტატისტიკა ევროლიგაზე: 8.9 ქულა, 6.0 მოხსნა, 1.4 დაფარება

„ხარებმა" თურქ ცენტრზე უფლებები ორი წლის წინ „პორტლენდისგან" შეიძინეს და ახლა თავისთან უხმობენ ევროპელს. მიუხედავად მუხლის ორი ტრავმით გაფუჭებული სეზონისა, აშიქი მეტად პერსპექტიულ მეხუთე ნომრად მიიჩნევა. ის რაღაცით ჩიკაგოელ ფრანგს **ჟოაკიმ ნოას** ჰგავს - მასსავით აქტიურად მიდის ფარქვეშ, იბრძვის მოხსნებისთვის და ბევრ დაფარებას აგროვებს. თურქს NBA-ში დაუყოვნებლივ გამგზავრების სურვილი აქვს, თანაც სამშობლოში აღარაფერი დარჩენია: კლუბთან კონტრაქტი ამოეწურა.

## ანტე ტომიჩი (რეალი)

44-ე ნომერი (2008 წლის დრაფტი), „იუტა". სტატისტიკა ევროლიგაზე: 11.0 ქულა, 3.6 მოხსნა, 1.1 დაფარება

გიგანტი ხორვატი (219 სმ) 2010 წლის იანვარში „ზაგრებიდან" „რეალში" გადასვლის შემდეგ გასული სეზონის აღმოჩენა გახდა. მან შესანიშნავად წარმოაჩინა თავი ევროლიგის პლეი ოფის დაძაბულ მატჩებში და მართალია, „ბარსელონას" დამარცხება ვერ შეძლო, პრინციპულ მეტოქესთან სერიაში საუკეთესო იყო. მისი კონტრაქტი მადრიდელებთან სამ წელზე არის გათვალისწინებული, მაგრამ **ტომიჩს** ხელშეკრულების 2011 წელს გაუქმება შეუძლია. სიმაღლე და შეტევაში თამაშის უნარი ხორვატის ძლიერ მხარედ მიიჩნევა, მაგრამ ბევრი აქვს სამუშაო ფიზიკურ კონდიციებზე - მას ჯერ უჭირს ძლიერ ცენტრებთან ჭიდილი.

## ვიქტორ კლავერი (ვალენსია)

22-ე ნომერი (2009 წლის დრაფტი), „პორტლენდი". სტატისტიკა ევროლიგაზე: 8.3 ქულა, 5.1 მოხსნა, 1.7 პასი

**კლავერის** მთავარი ღირსება ჯერჯერობით მხოლოდ ფიზიკური კონდიციებია. ესპანელი NBA-ს „მესამე" ნომრის პოზიციაზე გამოადგება, მაგრამ მხოლოდ ათლეტიზმით ფონს ვერ გავა. დასახვეწია შორეული ტყორცნა, ჯარიმების შესრულება და დაცვაში თამაში. დრო კლავერს საკმარისად აქვს. აგვისტოში მსოფლიოს ჩემპიონატის დროს ის 22 წლის გახდება, ასე რომ, პოტენციურად „პორტლენდს" მისი იმედი უახლოეს ორ-სამ წელიწადში უნდა ჰქონდეს.

## სემიჰ ერდენი (ფენერბაჰჩე)

60-ე ნომერი (2008 წლის დრაფტი), „ბოსტონი". სტატისტიკა ევროლიგაზე: 6.2 ქულა, 5.4 მოხსნა

**ერდენი** ამ სიაში იმის გამო მოხვდა, რომ მომავალ სეზონში „ბოსტონს" აუცილებლად სჭირდება კიდევ ერთი კვალიფიციური „მაღალი". სავარაუდოდ, **რაშიდ უოლასი** დაასრულებს კარიერას, **კენდრიკ პერკინსი** კი მუხლის ტრავმის გამო რამდენიმე თვეს გამოტოვებს, **გარნეტსა** და **გლენ დევისს** კი არ შეუძლიათ 48 წუთი გაატარონ მოედანზე. ამ მხრივ, ერდენის კანდიდატურა მომხიბვლელია, თუმცა ბოლო დროს არც ისე წარმატებულად თამაშობდა „ფენერბაჰჩეში".

## სოფოკლის შორცანიდისი (ოლიმპიაკოსი)

34-ე ნომერი (2003 წლის დრაფტი), „კლიპერსი". სტატისტიკა ევროლიგაზე: 7.2 ქულა, 2.5 მოხსნა

ბოლო შვიდი წელია „ევროპელი შაკი" ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გადაყავთ, ძირითადად თავისი გაბარიტების გამო. შესაძლოა, ბერძენმა გარისკოს და „კლიპერსში" მოსინჯოს ძალები. ამ კითხვაზე პასუხს უახლოეს დღეებში მივიღებთ. თავად **შორცანიდისი** NBA-ში გადასვლის ვარიანტს ანიჭებს უპირატესობას.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL

# პრიზები დარიგებულია

ლას ვეგასში ოფიციალურად დასრულდა 2009-10 წლების სეზონი. ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ ტრადიციულ ცერემონიაზე გასული ჩემპიონატის ლაურეატები დააჯილდოვა.

მთავარი პრიზი - „ჰარტ ტროფი", რომელიც რეგულარული ჩემპიონატის უძვირფასეს მოთამაშეს გადაეცემა, „ვანკუვერ კენაქსის" ფორვარდ **ჰენრიკ სედინს** ერგო. შვედი თავდამსხმელი გასულ სეზონში ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა - 112 ქულა (29 გოლი+83 შედეგიანი პასი).

„ტამპა ბეი ლაითნინგის" ფორვარდმა **მარტინ სენტ ლუისმა** „ლედი ბინგ ტროფი" მოიგო. ამ ჯილდოს გადასცემენ წლის ჯენტლმენად აღიარებულ ჰოკეისტს. გასულ სეზონში სენტ ლუისი ჯამში მხოლოდ 12 წუთი იყო გაძევებული მოედნიდან. მარტინის ანგარიშზე რეგულარულში 94 ქულა (29+65) მოდის.

„ბაფალო სეიბრზის" მეკარე **რაიან მილერი** წლის გოლკიპერად აღიარეს და „ვეზინა ტროფი" გადასცეს. ამერიკის ნაკრების წევრმა რეგულარულში 69 მატჩი ჩაატარა, საშუალოდ 2.22 შაიბა გაუშვა და მეტოქეთა დარტყმების 92.9 პროცენტი მოიგერია. ცნობისთვის, მილერი ვანკუვერის ოლიმპიადის საუკეთესო მეკარედ დაასახელეს.

ვაშინგტონელ მეკარეს **ჟოზე ტეოდორს** „ბილ მასტერტონ ტროფი" მიანიჭეს. ამ პრიზის მფლობელს სპორტული ჟინითა და ჰოკეისადმი ერთგულებით გამოარჩევენ. ერთი წლის წინ ტეოდორს ორი თვის შვილი დაეღუპა. ამ შოკის მიუხედავად, ჟოზემ შეძლო „ვაშინგტონის" ძირითადი მეკარის სტატუსის დაბრუნება და მეუღლესთან ერთად საქველმოქმედო ფონდი დააარსა იმ სამედიცინო ცენტრში, სადაც მისმა გარდაცვლილმა ვაჟმა თავისი ხანმოკლე ცხოვრება გაატარა.

ერთ-ერთი პრესტიჟული ჯილდო - „ჯეკ ადამს ევორდი" (წლის საუკეთესო მწვრთნელი) „ფინიქს კოიოტზის" დამრიგებელ **დეივ ტიპეტს** ერგო. 48 წლის სპეციალისტმა გუნდი რეგულარული ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ჩაიბარა და „ფინიქსს" სეზონში სარეკორდო 50 მატჩი მოაგებინა. ასევე საკლუბო რეკორდია - 107 ქულა. „კოიოტზმა" დასავლეთ კონფერენციაში მეოთხე ადგილი დაიკავა 2002 წლის შემდეგ პირველად გავიდა პლეი ოფში.

„ბაფალო სეიბრზის" 20 წლის მცველი **ტაილერ მაიერსი** ლიგის საუკეთესო დებიუტანტად დაასახელეს. მაიერსმა რეგულარული ჩემპიონატის ყველა მატჩში მიიღო მონაწილეობა და 48 ქულა (11+37) დააგროვა.

გუშინვე შეაჯამეს ჰოკეიზე მომუშავე ჟურნალისტთა კენჭისყრის შედეგები, რომლის მიხედვითაც გამოვლინდა სეზონის სიმბოლური ნაკრებები.

**პირველი ნაკრები:** რაიან მილერი („ბაფალო"), დანკან კეიტი („ჩიკაგო"), მაიკ გრინი („ვაშინგტონი"), ჰენრიკ სედინი („ვანკუვერი"), პატრიკ კეინი („ჩიკაგო"), ალექსანდრ ოვეჩკინი („ვაშინგტონი").

**მეორე ნაკრები:** ილია ბრიზგალოვი („ფინიქსი"), დრიუ დაუტი („ლოს ანჯელესი"), ნიკლას ლიდსტრიომი („დეტროიტი"), სიდნი კროსბი („პიტსბურგი"), მარტინ სენტ ლუისი („ტამპა ბეი"), დანიელ სედინი („ვანკუვერი").

ჟურანლისტებმა ასევე გამოავლინეს დებიუტანტთა სიმბოლური ნაკრები, რომელიც ასე გამოიყურება: ჯიმი ჰოვარდი („დეტროიტი"), მაიკლ დელ ზოტო („რეინჯერსი"), ტაილერ მაიერსი („ბაფალო"), ნიკლას ბერგფორსი („ატლანტა"), მეტ დუშენი („კოლორადო"), ჯონ ტავარესი („აილენდერსი").

■ ■ ■

ამასობაში, რამდენიმე საინტერესო სიახლე გახდა ცნობილი. კერძოდ, ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს „ატლანტა ტრეშერზს". ამ გუნდს სათავეში ჩაუდგება **კრეიგ რამსეი**. 59 წლის სპეციალისტი 2007 წლიდან „ბოსტონის" სამწვრთნელო შტაბში მუშაობდა.

გუშინვე განხორციელდა ერთი გაცვლა. სტენლის თასის მფლობელმა „ჩიკაგო ბლეკჰოქსმა" „ატლანტაში" გაუშვა თავდამსხმელები **დასტინ ბაფლინი** და **ბენ იგერი** და მცველი **ბრენტ სოპელი**. სანაცვლოდ ჩიკაგოელები ორ ფორვარდს - **მარტი რისონერსა** და **ჯერემი მორინას** მიიღებენ, აგრეთვე 2010 წლის დრაფტზე ორი მოთამაშის არჩევის უფლებას.

„ჩიკაგოს" შესანიშნავი შემადგენლობა ჰყავს, რომელმაც სტენლის თასი მოიგო, მაგრამ ლიდერთა ახალი კონტრაქტების გამო რამდენიმე ჰოკეისტთან განშორება მოუწევთ.



ფორმულა 1

# ფორმულა პირელის გაურიგდა

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიოს საბჭოს სხდომაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყდა. გაირკვა, რომ 2011 წლის სეზონში ფორმულა 1-ის უკლებლივ ყველა გუნდს საბურავებით იტალიური კომპანია „პირელი" მოამარაგებს. ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობასა და იტალიურ მხარეს შორის თანამშრომლობის სამწლიანი ხელშეკრულება გაფორმდა.

ასე რომ, „პირელი" „დიდ ცირკში" იაპონურ კონცერნ „ბრიჯსტოუნს" შეცვლის, რომელიც ამ სეზონის შემდეგ დატოვებს ფორმულა 1-ს. იტალიურ კომპანიას ტენდერში ორი კონკურენტი ჰყავდა - „მიშლენი" და „ევონი", თუმცა ყველა დარწმუნებული იყო, რომ გამარჯვებული სწორედ „პირელი" გახდებოდა.

ეს იტალიური კომპანიის პირველი მოსვლა არ არის ფორმულა 1-ში. კომპანიას 200 რბოლაში აქვს მიღებული მონაწილეობა და 44 გრან-პრიში გამარჯვებას მიაღწია. ბოლოს, იტალიური საბურავით გამარჯვება ბრაზილიელმა **ნელსონ პიკემ** მოიპოვა - 1991 წელს კანადის გრან-პრიზე. 1991 წლის შემდეგ ჩემპიონატში „პირელის" საბურავი აღარ გამოუყენებიათ.

დღეისთვის იტალიური კომპანიის საბურავებს იყენებენ რალის მსოფლიოს ჩემპიონატში, სუპერბაიკსა და GP3-ის სერიაში.

■ ■ ■

ამავე სხდომაზე გადაწყდა, რომ მომავალი წლიდან ფორმულა 1-ში დააბრუნებენ წესს, რომელსაც „107 პროცენტის წესი" ჰქვია. მისი მიხედვით, ის პილოტები, რომლებსაც პოულის მფლობელის შედეგზე 107 პროცენტით უარესი დრო ექნებათ, მეორე დღეს გრან-პრიზე არ დაიშვებიან.

შესაბამისი ცვლილება რეგლამენტში უკვე მიიღეს: *„2011 წლიდან პილოტი, რომლის საკვალიფიკაციო შედეგი 107 პროცენტით ჩამორჩება პოულის მფლობელის დროს, ის გრან-პრის სტარტზე არ გამოვა.*

*მაგრამ განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით, რბოლის სტიუარდებმა შეიძლება, ამ წესის დამრღვევი პილოტი სტარტზე დაუშვან".*

კალათბურთი

ევროლიგა

# 22 გუნდი ცნობილია

ბარსელონაში გაიმართა ევროლიგის აქციონერთა სხდომა, სადაც 2010-11 წლების სეზონის მონაწილეები დაასახელეს და ტურნირის ჩატარების თარიღი და რეგლამენტი დაადგინეს.

ჯერჯერობით ცნობილია 22 კლუბი, რომელიც ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებს. ესენი არიან: „ბარსელონა", „კახა ლაბორალი", „რეალი", „ვალენსია", „უნიკახა" (ყველა - ესპანეთი), „ოლიმპიაკოსი", „პანათინაიკოსი" (ორივე - საბერძნეთი), „ეფეს პილსენი", „ფენერბაჰჩე" (ორივე - თურქეთი), „მონტეპასკი", „რომა", „მილანი" (ყველა - იტალია), „ჟალგირისი", „ლეტუვოს რიტასი" (ორივე - ლიტვა), მაკაბი" (ისრაელი), „შოლე" (საფრანგეთი), „პარტიზანი" (სერბეთი), „ციბონა" (ხორვატია), „ოლიმპია" (სლოვენია), „ბამბერგი" (გერმანია), „პროკომი" (პოლონეთი) და ცსკა (რუსეთი).

ჯგუფური ტურნირის კიდევ ორი მონაწილე საკვალიფიკაციო ტურნირის შემდეგ გაირკვევა, რომელიც წელს ახალი ფორმატით ჩატარდება. საკვალიფიკაციოში 16 გუნდი ითამაშებს, ორი საუკეთესო ევროლიგის საგზურს მიიღებს, დანარჩენები ევროთასზე ითამაშებენ. შესარჩევი 21 სექტემბერს დაიწყება და გუნდები პლეი ოფის სისტემით ითამაშებენ. ორი საგზურისთვის შემდეგი გუნდები იბრძოლებენ: „ვილერბანი", „როანი", „ლე მანი" (ყველა - საფრანგეთი), „კაზერტა" (იტალია), „მარუსი" (საბერძნეთი), „შარლერუა" (ბელგია), „ბარონსი" (ლატვია), „ბუდუჩნოსტი", „ჰემოფარმი" (ორივე - სერბეთი), „ჰაპოელი" (ისრაელი), „ნიმბურკი" (ჩეხეთი), „გრონინგენი" (ჰოლანდია), „ალბა" (გერმანია), „ხიმკი", „უნიქსი" (ორივე - რუსეთი). მე-16 კლუბი სავარაუდოდ უკრაინიდან იქნება, რომელსაც უაილდქარდს გამოუყოფენ.

ჯგუფური ეტაპის წილისყრა 8 ივლისს ბარსელონაში გაიმართება.

TV პროგრამა

## 25 ივნისი. პარასკევი

### I არხი

**17:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**17:50** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. G ჯგუფი. ბრაზილია-პორტუგალია (LIVE).
**21:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**22:20** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. H ჯგუფი. ჩილე-ესპანეთი (LIVE).
**00:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.

### II არხი

**17:50** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. G ჯგუფი. კოტ დ'ივუარი-ჩრ. კორეა (LIVE).
**22:20** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. H ჯგუფი. შვეიცარია-ჰონდურასი (LIVE).

### მზე

**13:00** იმედის ფსონი.

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**07:30** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ბაიერნი.
**09:15** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**10:05** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. დინამო-ინტერი.
**12:00** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**12:45** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ქალები. რუსეთი-ისრაელი.
**14:35** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. რუბინი-დინამო.
**16:30** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**17:15** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ბაიერნი.
**19:00** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. რენი-ბორდო.
**20:55** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი.
**22:40** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-სევილია.
**00:30** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**01:15** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ფიორენტინა-ლიონი.
**03:05** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. მილანი-პალერმო.
**04:45** 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ
**05:45** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ბარსელონა.

### EUROSPORT

**10:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**11:00** მძლეოსნობა. ევროპის გუნდური ჩემპიონატი. I დღე. ბერგენი. ნორვეგია.
**12:30** მძლეოსნობა. ევროპის გუნდური ჩემპიონატი. II დღე. ბერგენი. ნორვეგია.
**12:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**13:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**14:00** სნუკერი. ჩინეთის ჩემპიონატი. ფინალი. პეკინი.
**16:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**16:30** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ჩემპიონთა ლიგა. გერმანია.
**17:30** ახალი ამბები.
**17:35** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**17:45** სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი.
**19:45** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. შესარჩევი ეტაპი. პორტუგალია-ესპანეთი. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
**20:50** ახალი ამბები.
**20:55** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**21:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. შესარჩევი ეტაპი. საფრანგეთი-პოლონეთი. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
**22:00** ახალი ამბები.
**22:05** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**22:15** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ჩემპიონთა ლიგა. ფინეთი.
**23:15** ბოულინგი. PBA. ტელეჟურნალი.
**00:20** მულტისპორტი.
**00:30** ახალი ამბები.
**00:35** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**01:10** ახალი ამბები.
**01:15** რალი. IRC-ის სერია. I დღე. ბელგია (LIVE).
**01:45** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
**02:15** ავტოსპორტი. რენოს მსოფლიოს სერია. ლე მანი. საფრანგეთი.
**02:45** მულტისპორტი.
**03:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.

ამბები

კალათბურთი

## ჯექსონი წასვლას აპირებს?

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მთავარმა მწვრთნელმა **ფილ ჯექსონმა** ერთი კვირით გადადო გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ძალიან აღელვებს კალიფორნიული კლუბის გულშემატკივრებს. ლეგენდარულმა დამრიგებელმა ჯერ ვერ გადაწყვიტა, აპირებს თუ არა მომავალ სეზონში „ლეიკერსის" მწვრთნელობას, თუმცა, სავარაუდოდ, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ NBA-ის ყველაზე ტიტულოვანი მწვრთნელი აღარ გააგრძელებს კარიერას.

*„ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ კარიერას დავასრულებ, თუმცა ეს ოფიციალური განცხადება არ არის"*, - ამბობს ფილ ჯექსონი.

64 წლის სპეციალისტი საბოლოო გადაწყვეტილებამდე სამედიცინო გამოკვლევის ჩატარებას აპირებს: *„საქმე ჩემს ჯანმრთელობაშია, ამიტომაც ყველაფერი კარგად უნდა მოვიფიქრო".*

ჯექსონმა ისიც დაამატა, რომ მომავალი კონტრაქტის ფინანსური მხარე ყველაზე ნაკლებად აღელვებს.

კრივი

## ერთ ადგილს ტკეპნიან

ერთი ნაბიჯითაც არ წასულა წინ ამერიკელი **ფლოიდ მეივეზერისა** და ფილიპინელი **მენი პაკიაოს** მენეჯერების მოლაპარაკებები. ამის შესახებ ჟურნალისტი **დევიდ მაიო** აცხადებს, რომელსაც ხშირად აქვს ურთიერთობა მეივეზერის ოჯახთან.

*„მართალია, პრომოუტერები ოპტიმისტურ განცხადებებს აკეთებენ, მაგრამ არ მგონია, რომ მხარეები ახლოს იყვნენ კომპრომისთან. ვფიქრობ, მეივეზერს ახლა ყველაზე ნაკლებად აინტერესებს ისეთი ადამიანების აზრი, როგორებიც არიან ბობ არუმი და ოსკარ დე ლა ჰოია. მას არ სჭირდებათ რჩევები მოლაპარაკების შესახებ"*, - ამბობს ჟურნალისტი.

მოტორბოლა

## როსის იაპონელი შეცვლის

მოტოსაჯინიბო „იამაჰას" ხელმძღვანელობამ ტრავმირებულ იტალიელ **ვალენტინო როსის** შემცვლელი მოუძებნა. მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს 40 წლის იაპონელი **ვატარუ ესიკავა** შეცვლის, რომელიც აქამდე ტესტ-პილოტის ფუნქციებს ასრულებდა.

იაპონელი მინიმუმ სამ გრან-პრიში მიიღებს მონაწილეობას: ეს არის კატალონიის, გერმანიისა და ამერიკის ეტაპები.

შეგახსენებთ, რომ ვალენტინო როსი იტალიის გრან-პრიზე პრაქტიკის დროს ჩამოვარდა მოტოციკლიდან და ფეხი მოიტეხა. მას, შესაძლოა, მთელი სეზონის გამოტოვებამ მოუწიოს.

ველოსპორტი

## ევანსი ისევ საუკეთესოა

ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირმა „კრიტერიუმ დოფინესა" და შვეიცარიის ტურის შემდეგ განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა.

კლასიფიკაციაში მცირე ცვლილებები მოხდა. მაგალითად, შვეიცარიის ტურის მოგების შემდეგ 51-ე ადგილიდან 10 პოზიციით წაიწია წინ **ფრანკ შლეკმა**. ამავე რბოლაში მონაწილეობამ მცირეოდენი წინსვლა მოუტანა **ფაბიან კანჩელარას** - მეცხრედან მეშვიდე ადგილამდე აინაცვლა, ხოლო ამ ველომრბოლების საჯინიბომ - Saxo Bank-მა მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა.

ახალი რეიტინგის პირველი ათეული ასე გამოიყურება:

1. კეიდელ ევანი (ავსტრალია, BMC Racing Team) - 384 ქულა
2. ფილიპ ჟილბერი (ბელგია, Omega Pharma-Lotto) - 304
3. ხოაკინ როდრიგესი (ესპანეთი, Team Katusha) - 300
4. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, Astana) - 260
5. ლუის ლეონ სანჩესი (ესპანეთი, Caisse d'Epargne) - 233
6. ტომ ბოონენი (ბელგია, Quick Step) - 223
7. ფაბიან კანჩელარა (შვეიცარია, Team Saxo Bank) - 210
8. ივან ბასო (იტალია, Liquigas) - 206
9. მიკელე სკარპონი (იტალია, Androni Giocattoli) - 203
10. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, Astana) - 185

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედოფლის თვალწინ

## მარათონული მატჩის მეხუთე სეტი 70:68 დასრულდა

რა თქმა უნდა, უიმბლდონის მეოთხე დღის მიმოხილვას იმ მარათონული მატჩით დავიწყებთ, რომელიც სამი დღე მიმდინარეობდა. შეგახსენებთ, რომ გუშინწინ შეხვედრა იმ დროს შეწყდა, როცა ანგარიში 59:59 იყო. ამერიკელმა **ჯონ ისნერმა** და ფრანგმა **ნიკოლა მაუმ** გუშინ გააგრძელეს ურთიერთობის გარკვევა და კიდევ 20 გეიმის ჩატარება დასჭირდათ გამარჯვებულის გამოსავლენად. ამ 20 გეიმში ერთადერთი ბრეიკპოინტი ისნერს ჰქონდა, რომელმაც შანსი ხელიდან აღარ გაუშვა და დაასრულა ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე გრძელი სეტი და მატჩი - 70:68 (!!!).

მოდით ჩამოთვალოთ ყველა ის რეკორდი, რომელიც ამ შეხვედრაში დამყარდა:

1. **ყველაზე გრძელი მატჩი**: 11 საათი და 5 წუთი.

წინა რეკორდი: 6 საათი და 33 წუთი - ფაბრის სანტორო-არნო კლემანი, როლან გაროსი, I წრე, 2004 წელი.

2. **ყველაზე გრძელი მატჩი (გეიმების რაოდენობა)**: 183 გეიმი

წინა რეკორდი: წყვილებში - 122 გეიმი: სტენ სმიტი/ერიკ ვან დილენი (აშშ)-პატრისიო კორნეხო/ჯეიმი ფილოლი (ჩილე), დევისის თასი, 1973; ერთეულებში - 112 გეიმი: პანჩო გონსალესი-ჩარლი პასარელი 22:24, 1:6, 16:14, 6:3, 11:9, უიმბლდონი, 1969.

3. **ყველაზე გრძელი მეხუთე სეტი და ყველაზე გრძელი სეტი დიდ სლემზე**: 70:68

წინა რეკორდი: ყველაზე გრძელი მეხუთე სეტი დიდ სლემზე - ენდი როდიკი-იუნეს ელ აინაუი 4:6, 7:6, 4:6, 6:4, 21:19, ავსტრალიის ღია, 2003; ყველაზე გრძელი სეტი - ჯუნ ნიუკომბი-მარტინ რისენი 4:6, 6:3, 6:4, 25:23, აშშ-ის ღია, 1969.

4. **ყველაზე მეტი ეისი (ერთი მოთამაშისთვის, სულ)**: ისნერი - 112, მაუ - 103

**წინა რეკორდი:** 78 - ივო კარლოვიჩი (ხორვატია) - დევისის თასი, 2009, რადეკ შტეპანეკის (ჩეხეთი) წინააღმდეგ.

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, უროლოგი
ალექსანდრე ხელაია გაგიწევთ
კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას შემდეგ დაავადებებზე:

- ერექციის დარღვევები
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები
- პროსტატიტი, პროსტატის ადენომა
- შარდის შეუკავებლობა
- უშვილობა

მის: თბილისი, M 300 არაგველი, წინანდლის ქ. 9.
უროლოგიის ეროვნული ცენტრი, IV სართული.
69 91 96, 855 30 50 51 www. tqveniurologi.ge




■ ■ ■

33-წლიანი პაუზის შემდეგ უიმბლდონს ბრიტანეთის დედოფალი **ელიზაბეტ II** ეწვია. საპატიო სტუმარმა ბრიტანული ჩოგბურთის მთავარი იმედის - **ენდი მიურეის** თამაშის ნახვა მოისურვა და ახალგაზრდა შოტლანდიელმაც არ გაუცრუა იმედები დედოფალს. ენდის ფინელი **იარკო ნიემინენის** სახით სერიოზული მეტოქე ჰყავდა, თუმცა ბრძოლა არ შედგა. როგორც ჩანს, ასეთი სტუმრის წინ მიურეიმ განსაკუთრებით მოინდომა და ძალიან მაღალი დონის ჩოგბურთი აჩვენა. ბრიტანელმა მხოლოდ შეხვედრის სტარტზე ანერვიულა საკუთარი გულშემატკივრები, როცა ოთხი ბრეიკ-პოინტის მოგერიება მოუხდა. ამის შემდეგ მასპინძელმა 18 ეისი ჩააწოდა, 49 „ვინერსი" მიითვალა და ოთხჯერ მოიგო მეტოქის მოწოდება. 6:3, 6:4, 6:2 - ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა მიურეიმ და მესამე წრეში **ჟილ სიმონს** შეხვდება.

ამის შემდეგ დედოფალმა ცოტა ხანი სტადიონის ტერიტორიაზე ისეირნა და **როჯერ ფედერერს**, **დებ უილიამსებს**, **ენდი როდიკს**, **მარტინა ნავრატილოვასა და ბილი ჯინ კინგს** გამოელაპარაკა.

როჯერ ფედერერისა არ იყოს, როგორც ჩანს, უიმბლდონს არც **რაფაელ ნადალი** შეხვდა ოპტიმალურ ფორმაში. მსოფლიოს პირველ ჩოგანს ხუთსეტიანი მატჩის ჩატარება მოუწია ჰოლანდიელ **რობინ ჰაასესთან**.

არავინ ელოდა, რომ ნადალს გაუჭირდებოდა რეიტინგის 151-ე ნომრის დამარცხება. ჰაასეს აქამდე მხოლოდ ორი მატჩი ჰქონდა მოგებული ბალახის საფარზე, „დიდი სლემის" ტურნირებზე კი რვა მატჩიდან ექვსჯერ იყო დამარცხებული. მიუხედავად ამისა, ჰოლანდიელი სეტებს შორის 2:1-ს უგებდა ნადალს და ეს პირველ რიგში კარგი მოწოდების ხარჯზე მოახერხა - ჰოლანდიელმა სულ 28 ეისი ჩააწოდა. მაგრამ მეოთხე სეტიდან მოყოლებული ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და აქაც ბევრი რამ კარგმა მოწოდებებმა გადაწყვიტა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მეხუთე სეტში ნადალმა თავის მოწოდებაზე ყველა გათამაშება მოიგო, რაც უშვიათესი მოვლენაა. საბოლოოდ, ბოლო ორ პარტიაში ნადალმა სულ 3 გეიმი დათმო და გაჭირვებით გავიდა მესამე წრეში.

მაყურებელმა კიდევ ერთი მარათონული მატჩი იხილა. 4 საათი დაყვეს კორტზე ფრანგმა **ჟო-ვილფრიდ ცონგამ** და უკრაინელმა **ალექსანდრ დოლგოპოლოვმა**. პირველი ორი სეტის მოგების შემდეგ, მე-11 ნომრად განთესილმა ფრანგმა დაძაბულ ბრძოლაში დათმო ორი პარტია, გადამწყვეტ სეტში კი 18 გეიმის ჩატარება გახდა საჭირო. ბოლოს მაინც ცონგამ იძალა და 10:8 მოიგო. ფრანგმა 33 ეისი ჩააწოდა და აქტიური მოქმედებით 72 ქულა აიღო.

■ ■ ■

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **მარია შარაპოვამ** მეორე ბარიერიც უპრობლემოდ გაიარა. შეგახსენებთ, რომ რუსმა პირველ წრეში მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო თანამემამულე **პივოვაროვას**, ამჯერად კი ხუთი გეიმი გაიმეტა 21 წლის რუმინელ **იოანა რალუკა ოლარუსთვის**.

შარაპოვა განსაკუთრებით კარგად ბადესთან თამაშობდა - ის წინ 23-ჯერ გავიდა და 21 ქულა აიღო, თუმცა მეტოქეზე მეტი უნებლიე შეცდომა დაუშვა - 16 7-ის წინააღმდეგ. მარიამ ოთხი ბრეიკი აილო, ოლარუმ კი მატჩის ბოლოს მოიგო მეტოქის მოწოდება, როცა შეხვედრის ბედი გადაწყვეტილი იყო.

სასტიკი დღე აყარა მოქმედმა ჩემპიონმა **სერენა უილიამსმა** რუს **ანა ჩაკვეტაძეს**. ამერიკელმა ზედიზედ 11 გეიმი აიღო და მხოლოდ ამის შემდეგ მოახერხა ანამ პრესტიჟის ერთი გეიმის მოგება - 6:0, 6:1. ამ ხანმოკლე მატჩში მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა 9 ეისის ჩაწოდება მოასწრო, მეტოქეზე ოთხჯერ მეტი „ვინერსი" მიითვალა და ხუთჯერ აილო ჩაკვეტაძის მოწოდება.

სხვა ფავორიტებმაც იოლ გამარჯვებებს მიაღწიეს. **ვიქტორია აზარენკამ** 6:1, 6:4 სძლია სერბ **ბოიანა იოვანოვიჩს**. აღსანიშნავია, რომ ბელარუსს 5:1-ზე ჰქონდა მატჩბოლი, მაგრამ ოდნავ ანერვიულა თავისი გულშემატკივრები.

დამაჯერებელი ანგარიში დააფიქსირა იტალიელმა **ფლავია პენეტამ**. 6:1, 6:1 - ასე გაანადგურა აპენინელმა რუმინელი **მონიკა ნიკულესკუ**. პენეტას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მხოლოდ ხუთი უნებლიე შეცდომა დაუშვა, გარდა ამისა, ისე კარგად აწვდიდა, რომ ნიკულესკუმ მიღებაზე მხოლოდ 10 ქულა აილო.

ქალებში ორი მოულოდნელი შედეგიც დაფიქსირდა. კერძოდ, სლოვაკმა **დანიელა ჰანტუხოვამ** ჩეხ **ბარბარა ზახვალოვასთან** წააგო, რომელიც ამჟამად 68-ე ადგილზე იმყოფება რეიტინგში - 6:1, 2:6, 4:6.

საინტერესოა, რომ ბოლო სეტში ჰანტუხოვამ 1:4-დან შეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ იქვე საკუთარი გეიმი დათმო და თამაშის გადარჩენა ვეღარ შეძლო.

ჰანტუხოვას ბედი გაიზიარა „დიდი სლემის" ტურნირების ორგზის ჩემპიონმა **სვეტლანა კუზნეცოვამ**. მანაც სამ სეტში წააგო ავსტრალიის სახელით მოასპარეზე რუს **ანასტასია როდიონოვასთან**. ამ უკანასკნელმა კარიერაში მხოლოდ მეორედ მოუგო რეიტინგის საუკეთესო ოცეულის წარმომადგენელს. აღსანიშნავია, რომ ეს ჩოგბურთელები წელს ავსტრალიის ღია პირველობის პირველ წრეში ხვდებოდნენ ერთმანეთს და მაშინ რუსმა მეტოქეს მხოლოდ სამი გეიმი მოაგებინა. ახლა კი როდიონოვამ იმ მარცხისთვის რევანშის აღება მოახერხა - 6:4, 2:6, 6:4.

### კაცები

#### I წრე

**ჯონ ისნერი (აშშ, 23)**-ნიკოლას მაუ (საფ) 6:4, 3:6, 6:7(7), 7:6(3), 70:68.

#### II წრე

**ფაბიო ფონინი (იტა)**-მაიკლ რასელი (აშშ) 3:6, 5:7, 7:5, 7:6(6), 6:3; **ჟულიან ბენეტო (საფ, 32)**-ანდრეას ბეკი (გერ) 3:6, 6:2, 4:6, 7:6(5), 6:3; **ტობიას კამკე (გერ)**-ანდრეას სეპი (იტა) 3:6, 6:2, 6:3, 6:4; **ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 10)**-ალექსანდრ დოლგოპლოვი (უკრ) 6:4, 6:4, 6:7(5), 5:7, 10:9; **ქსავიე მალისე (ბელ)**-იულიან რაისტერი (გერ) 6:7(7), 6:4, 6:1, 6:4; **სემ კუერი (აშშ, 18)**-ივან დოდიგი (ხორ) 6:2, 5:7, 6:3, 7:6(10); **ჟილ სიმონი (საფ, 26)**-ილია მარჩენკო (უკრ) მარჩენკოს უარი; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 6:3, 6:4, 6:2; **რობინ სიოდერლინგი (შვედ, 6)**-მარსელ გრანოლერსი (ესპ) 7:5, 6:1, 6:4; **ტომაშ ბელუჩი (ბრა, 25)**-მარტინ ფიშერი (ავსტრია) 6:7(11), 7:6(4), 7:6(1), 6:2; **ჟერემი შარდი (საფ)**-ლუკაშ ლაჩკო (სლოვაკ) 6:3, 7:6(4), 4:6, 6:7(5), 8:6; **დავიდ ფერერი (ესპ, 9)**-ფლორან სერა (საფ) 6:4, 7:5, 6:7(6), 6:3; **ფილიპ პეტცშნერი (გერ, 33)**-ლუკაშ კუბოტი (პოლ) 6:4, 3:6, 4:6, 6:3, 6:2; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-რობინ ჰაასე (ჰოლ) 5:7, 6:2, 3:6, 6:0, 6:3.

### ქალები

#### II წრე

**სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-ანა ჩაკვეტაძე (რუს) 6:0, 6:1; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ)**-აიუმი მორიტა (იაპ) 6:7(4), 7:6(2), 7:5; **ბარბარა ზახვალოვა (ჩეხ)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 24) 1:6, 6:2, 6:4; **მარია შარაპოვა (რუს, 16)**-იოანა რალუკა ოლარუ (რუმ) 6:1, 6:4; **ნა ლი (ჩინ, 9)**-კურუმი ნარა (იაპ) 6:2, 6:4; **ანასტასია როდიონოვა (ავსტრა)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 19) 6:4, 2:6, 6:4; **სარა ერანი (იტა, 32)**-არანჩა პარა სანტონხა (ესპ) 6:2, 6:2; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 7)**-ალბერტა ბრიანტი (იტა) 6:2, 6:0; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 3)**-კაი ჩენ ჩანგი (ტაივ) 6:4, 6:3; **ანასტასია პავლიუჩენკო (რუს, 29)**-რობერტა ვინჩი (იტა) 6:2, 7:6(1); **პეტრა კვიტოვა (ჩეხ)**-ჟიე ჟენგი (ჩინ, 23) 6:4, 2:6, 6:2; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 14)**-ბოანა იოვანოვსკი (სერ) 6:1, 6:4; **ფლავია პენეტა (იტა, 10)**-მონიკა ნიკულესკუ (რუმ) 6:1, 6:1; **კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ)**-არავან რეზაი (საფ, 18) 5:7, 6:3, 6:3; **ალექსანდრ დულგერუ (რუმ, 31)**-რომინა ოპრანდი (იტა) 6:2, 6:0; **კაია კანეპი (ესტ)**-ედინა გალოვიტცი (რუმ) 6:4, 7:5.

#### 1/16 ფინალი

ს. უილიამსი (1)-ციბულკოვა; ზახვალოვა-შარაპოვა (16); ნა ლი (9)-როდიონოვა; ერანი (32)-ა. რადვანსკა (7); ვოზნიაცკი (3)-პავლიუჩენკოვა (29); კვიტოვა-აზარენკა (14); პენეტა (10)-ზაკოპალოვა; დულგერუ (31)-კანეპი; კლაისტერსი (8)-კირილენკო (27); ანენი (17)-პეტროვა (12); ვიკმაიერი (15)-ზვონარევა (21); ა. ბონდარენკო (28)-იანკოვიჩი (4); პირონკოვა-კულიკოვა; არნი-ბარტოლი (11); კერბერიგროტი; კლეიბანოვა (26)-ვ. უილიამსი (2).

**გია თვალაბეიშვილი**

